

ასოცირება საკუთარ თავთან 83. 30
ინტერვიუ ალექსანდრე ელისაშვილთან 83. 24
ვისწავლოთ ერთად 83. 44
სირიის კრიზისი: ომის ეპიდემია 83. 20
ქართველების ოდისეა მსოფლიო ლიტერატურაში 83. 62
უსასრულო სერიალები... 83. 80



იბეჩანი

53 / ივლისი / 2014

1737
2014

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528
9 771987 752008



უჩან მომავალი

იოტა iOS-ისტვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!
იკითხე კომფორტულად!
www.lit.ge

იოტა iOS-ისტვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch

აპლიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მონეტორიტიდან iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER“





ლიბერალი

№ 153 / ივლისი / 2014

მთავარი რედაქტორი
ირაკლი აბსანძე

რედაქტორები
ლევან ზაკაშვილი
ზურაბ ვარდიანი

შინაწარმო:

ზურაბ ვარდიანი, ლევან
ზაკაშვილი, თათია ხალიანი,
გიორგი ჭიჭიანი, სოფო
ფიციაური, ეკა მაღალაძე,
ქეთევან ლევანი

კონსტრუქტორები:

პაატო ქურდაძე, ქეთი თუთბერიძე,
კლერი ძუცვეი, ვახო ხეთაგური,
ნინო ნატროშვილი, ლევან
ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე,
ირაკლი ხვადაგიანი, ცირა
ელსაშვილი, დავით ბუხრიკიძე

რედაქცია:

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
სტილისტი - კორექტორი
ნათა ორმოცაძე

გამომცემლობა:

შპს „ლიბერალი“

პარტნიორებთან

საერთაშორისო მენეჯერი:

ირმა მოსულიშვილი

დისტრიბუტორი:

გაგი გელაშვილი

ქუჩის გამონერის მსურველები

დავითაშვილი:

247 02 46



მონაბეჭის სფიქსი

თბილისის ყოფილი მერი „მატროსოვზე“ მოხვდა. ნეიმარი – საავადმყოფოში. ასოცირების შეთანხმება ხელმოწერილია, – დიადი ესპანური ეპოქის დასასრულიც. არჩევნების მეორე ტური მეტი კულტურის ნიშანია, სუარესის ანეკდოტი – უკულტურობის. ინგლისის ნაკრების გამოსვლა არაფრის მთქმელი იყო, ალექსანდრე ჭიკაიძის გამოსვლები – ყველაფრის.

როდესაც სხვადასხვა ადამიანი ერთსა და იმავეს ამბობს, ძალიან ხშირად ნათქვამს შეიძლება ერთი და იგივე მნიშვნელობა არ მიენიჭოს. როდესაც ქართველი სამართლადამცველები დედაქალაქის ყოფილ მერს აკავებენ, ამ ფაქტის შედარება ნიკოლა სარკოზის რამდენიმესაათიან დაკავებასთან, იგივეა რაც საბერძნეთის ნაკრებისა – მფრინავ ჰოლანდიელებთან. ორივე გუნდი ევროპულია, ორივე მწვანე მინდორზე თამაშობს, მაგრამ განზომილებები სხვადასხვაა. საერთაშორისო ორგანიზაციები ფრანგული სასამართლოსგან ან პროკურატურისგან პოლიტიკურ დევნას არ ელიან, ჩვენგან – სხვას არაფერს ელიან.

წარმოიდგინეთ ნიუსი: „საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესს გახსნის“ – ხომ არ გელიმებათ? აბა იგივე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრზე სცადეთ... არადა, ხომ გახსნა?

ამერიკის ელჩი გამოცდილი დიპლომატია. გიგი უგულავას დაკავებასთან დაკავშირებული მისი განცხადებით, მთავარი პრინციპებია და არა ინდივიდები. პრინციპი კი სამართლიანი, დამოუკიდებელი, გამჭვირვალე, ხელისუფლების გავლენისგან დისტანცირებული პროცესია. ეს კი ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით ოცნების სფეროა, ქართულის თუ არაქართულის...

ზურაბ ვარდიანი, რედაქტორი

8/1857





აქტიურობა

ჩან მოპვიტანს ასოსიხება?


ყველაფერი ისე გაფორმდა, როგორც დღის საზეიმო განწყობას შეეფერებოდა: 27 ივნისს, ბრიუსელში, საზეიმო ვითარებაში, საქართველომ, კერძოდ კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, ევროპასთან ასოცირების შეთანხმებას ხელი მოაწერა. იმავე საღამოს, თბილისში, ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებით არაბუნებრივად გადავსებული ევროპის მოედანი ევროპასთან ასოცირებას სპეციალური კონცერტით შეეგება, რომელზეც დაცვის არაადეკვატურად საგანგებო ზომები იყო მიღებული. იყო სიტყვით გამოსვლები, საოპერო არიები, ფოლკლორი, ჰიმნი, ფოიერვერკები... ეს ის დროა, როდესაც ბათუმში ჯერ კიდევ არ გაეჭრათ ლარიბაშვილის ხელმოწერით დამშვენებული ტორტი...

 ზურაბ ვარდიაშვილი
33:30

ეკონომიკური ბაზრების მაჩხიანი №X

რუსთავის მერიის მიერ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე გამოცხადებულ კონკურსში 26 მარტს შპს „ინტერ ტრანსმა“ გაიმარჯვა. კონკურსში „ინტერ ტრანსის“ ერთადერთი კონკურენტი „რუსთავის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო სანარმო“ იყო, რომელიც საჭირო დოკუმენტების მოუმზადებლობის გამო, კონკურსს პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა, რუსთავი-თბილისის მარშრუტზე კონკურსის გამოცხადებამდე რვა შპს და ინდემწარმე მუშაობდა, სადაც 300-მდე მძღოლი იყო დასაქმებული. კონკურსსა და შემდგომ უკვე კონკურსის შედეგებს მძღოლები აქციებზე აპროტესტებდნენ. ეს პროტესტი უკვე ხუთი თვეა გრძელდება.



 თათია ხალიანი, სოფო ავცილაური
33:36

ინტერვიუ

ინტერვიუ ჯეორჯიანული ენისაშვილთან


ჩემი მიზანია, ქალაქს ჰქონდეს გენგეგმა, იპოდრომზე გაგაშენოთ პარკი, არ გაიჩეხოს ინფექციურის ეზო, ისევე როგორც სკვერი ზაქარიასისა და ასათიანის კუთხეში; 1927 წელს აშენებული ზოოპარკი გადავიტანოთ უფრო დიდ და უსაფრთხო სივრცეში – დღეს პირდაპირ სამანქანო გზიდან შეიძლება ვოლიერში მოხვედრა; გარდა ამისა, იქ საშინელი სუნი დგას; მონესრიგდეს საცობები, ქალაქში დაიდგას საზოგადოებრივი საპირფარეშოები, შეიცვალოს ზონალური შეთანხმება, რომლითაც გიგი უგულავამ უკანონობა დააკანონა...

 გიორგი ჭეიშვილი
33.24

ფოსტოპოქატი

ჩინებზე შედგახი სსოპხება



 ვახო ხეთაგური
33. 50-59



გიორგიანთა

ქართული საბჭოთა პრესა და ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის პიხვილი სსოპ

1925 წელს გამოვიდა ფეხბურთის წესების წიგნი და მისი გადამუშავებული ვერსია, 1934 წელს, სახელგანთქმული გრომოვის რედაქციით. გამოცემა ინგლისური ტერმინების გადმოქართულების მცდელობა და იქ ნაიკითხავთ, რომ გოლკიპერს კარგუშაგი უნდა ერქვას, ბურთის კარზე გადაცდომას - ზეცდენი, აუტს - გარე, ტაიმებს შორის შესვენებას - ერთხანი და ასე შემდეგ. ამ გადმოსახედიდან ცოტა კომიკური რამ. ხოლო გაზეთი „ლელო“ 1934 წელს დაიბადა. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, როგორც უკვე გამცნეთ, მასზე წერა 1957 წელს დაიწყო - რა გასაკვირია და დათბობის პოლიტიკის ფარგლებში.

 გიორგი კეკელიძე
33.66

წიგნები:



ილუსტრაცია რუსულ პარკში

- 06 მოკლედ
- 08 ციტატები
ორი აზრი
- 12 არის თუ არა
თვითმართველობის
არჩევნების მეორე
ტური საზოგადოების
იმედგაცრუებით გამოწვეული?
თვალსაზრისი
- 14 ასოცირება საკუთარ თავთან
უცხოეთი
- 20 სირიის კრიზისი: ომის
ეპიდემია
პოლიტიკა
- 34 NATO საქართველოში –
სახიფათო იმედგაცრუება
განათლება
- 44 ვისწავლოთ ერთად
სამხრეთ კავკასიის ხმები
- 46 სამხრეთ ოსეთი ისევ
რუსეთის შემადგენლობაში
შესასვლელად ემზადება
ფოტოპროექტი
- 50 რელსებზე შემდგარი
ცხოვრება
ტექნოლოგიები
- 60 გადამდე განწყობა
ბიბლიოთეკა
- 62 ქართველების ოდისეა
მსოფლიო ლიტერატურაში
კულტურა
- 78 ანტიკური ხანის ნაკეთობები
- 80 უსასრულო სერილები...

ქანაქი

"შუაი ბინისკვათიდან" - ავიახის სტამბის უსოფი ისტორია

უანდარმთა ოფიცერმა ჭაში სიღრმის შესამონმებლად ცეცხლმოკიდებულო ქალაღდის ფურცელი ჩააგდო, ჭის ბოლოში სტამბისკენ გაჭრიღმა გვირაბმა კი ქალაღდი შიგნით გაიტაცა. ოფიცერი მიხვდა რომ შენობის ქვეშ რაღაც იყო. თუმცა სტამბის შენობის მეპატრონე დათიკო როსტომაშვილი, რომელიც მაშინვე დააპატიმრეს, უკვე ციხეში ყოფნისას დააეჭვა იმ ფაქტმა, რატომ დაინყეს სტამბის აღმოჩენამდე უანდარმებმა ეზოში ზუსტად იმ ადგილების გათხრა, სადაც ყუმბარები იყო ჩამარხული.

 ირაკლი ხვადაგიანი
33.68

ქანაქი

ღვით სახაჯიშვილი - ღაუსხუნეზი ისტორია



თანამედროვე თაობა ბევრს ვცოღავთ ამ ძვირფასი ადამიანების მიმართ, რადგან ვერ ვუბოვეთ შესაფერისი ადგილი სამუღამოდ განსასვენებლად. აღრე თუ გვიან ეს თემა აქტუალური უნდა გახდეს, იმიტომ, რომ ქალაქისათვის მნიშვნელოვანი მხოლოდ არქიტექტურა არ არის.

მაჩაბლის N13-ში დავითმა დატოვა თბილისისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სახლი, რომელიც მთელი არსებობის მანძილზე ემსახურებოდა საქვეყნო საქმეს, თუმცა ჩვენს ხელისუფლებას, საზოგადოებას, მათ მიმართ პატივისცემის დასტურად ისიც კი არ გაგვიკეთებია, რომ დავითსა და ეკატერინეს შესაფერისი საფლავები ჰქონდეთ!

 ცირა ელისაშვილი
33.72

გამოცემი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ინგოროყვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

გაქღვა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოღდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.
რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.



CELEBRATING
130 years
CONGRATULATIONS
— Years —
ANNIVERSARY



**FACEBOOK-ის ახსახიჩიხებთა
ახიხიჩა დაიხსახიჩა**

Facebook-მა ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ისე ჩაატარა, რომ ამის შესახებ სოციალური ქსელის მომხმარებლებმა არაფერი იცოდნენ. კომპანიაში აცხადებენ, რომ კვლევის მიზანი აღნიშნული სოციალური ქსელის მომხმარებლის განწყობაზე ზეგავლენის შესწავლა იყო. Facebook-ის პოსტებზე დაყრდნობით News Feed-ზე გარკვეული მანიპულაციების საშუალებით მკვლევრები ცდილობდნენ დაედგინათ, რამდენად იცვლება მომხმარებელთა ემოციური განწყობა და მათი კომენტარების ხასიათი. კვლევაში კორნელის, ასევე კალიფორნიის და სან ფრანცისკოს უნივერსიტეტების მეცნიერები მონაწილეობდნენ. აღნიშნულმა ექსპერიმენტმა მომხმარებელთა ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. მათი აზრით, Facebook მსგავსი ტესტებით ადამიანების განწყობებით მანიპულირების მექანიზმის გამოგონებას ცდილობს, რასაც შემდეგ უკვე პოლიტიკასა და სხვა სფეროზეც გამოიყენებენ. ტესტი 700 ათას შემთხვევით შერჩეულ მომხმარებელზე ჩატარდა.

**ლიე ბიხიტანეთში
ნახიხოპოლიხიხის
შახვანს ითხოპენ**

90-ზე მეტი ცნობილი ადამიანი, მათ შორის პოლიტიკოსები, მსახიობები, მუსიკოსები, იურისტები და სამედიცინო ექსპერტები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ნარკოპოლიტიკაში ცვლილებების შეტანას სთხოვენ. ღია წერილში, რომელსაც ხელს სტინგი და რიჩარდ ბრენსონიც აწერენ,

რენ, დევიდ ქემერონს ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა მიმართ მიდგომის შეცვლისკენ მოუწოდებენ. წერილში ნათქვამია, რომ არსებული მიდგომების გამო გასული 15 წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში მილიონ ნახევარი წამალდამოკიდებული მოქალაქის „უსაფუძვლო კრიმინალიზაცია“ მოხდა.

წერილის ავტორები ამ ფორმით ნარკოტიკებთან ბრძოლის მიღებული პრაქტიკის საწინააღმდეგო აქციას შეუერთდნენ, რომელიც 100-მდე სხვადასხვა ქალაქში მათ შორის პარიზში, რომში, ვარშავასა და მეხიკოში გაიმართა. პორტუგალიაში, ჩეხეთსა და ავსტრალიაში ჩატარებული ბოლო კვლევები მონიშნა, რომ წამალდამოკიდებული ადამიანების მკურნალობითა და მათთვის სათანადო რჩევების მიცემით შესაძლებელია ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება.

**"ბოლოხიხი მშვიდობის
ინდექსში" საქართველო 28
საფეხიხით დაინახიხა**

2014 წლის „გლობალური მშვიდობის ინდექსში“ საქართველო 28 საფეხურით დაინახურდა და 162 ქვეყანას შორის 2,22 ქულით 111-ე პოზიცია დაიკავა.

„ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ყველაზე დიდი ცვლილებები პოლიტიკური სტაბილურობის გაუმჯობესების კუთხით განხორციელდა.





რაც შეეხება რუსეთს, იგი 152-ე ადგილზე აღმოჩნდა, უკრაინა – 142-ზე, სომხეთი – 97-ზე, აზერბაიჯანი – 123-ზე, მოლდოვა – 71-ზე. 2014 წლის „გლობალური მშვიდობის ინდექსის“ თანახმად, უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, მსოფლიო ნაკლებად მშვიდობიანი ადგილი გახდა. მსოფლიოს 162 ქვეყნიდან 111 ქვეყანაში მშვიდობის კუთხით მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, 51-მა ქვეყანამ კი ინდექსში მდგომარეობა გაიუმჯობესა. ანგარიშის თანახმად, რიგ ქვეყნებში გაიზარდა როგორც იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, ასევე ტერორისტთა აქტივობა. „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ წლევანდელი მონაცემებით, ყველაზე მშვიდობიანი რეგიონი ევროპაა, რომლის 14 ქვეყანა ყველაზე მშვიდობიან ქვეყნებს შორის მოხვდა, მათ შორისაა ისლანდია, დანია, ავსტრია და შვეიცარია. ყველაზე არამშვიდობიან ქვეყნებად კი – სირია და ავღანეთი დასახელდა.

„გლობალური მშვიდობის ინდექსში“ საქართველო პირველად 2010 წელს მოხვდა და 149 ქვეყანას შორის 142-ე ადგილზე იყო, 2011 წელს – 153 ქვეყანას შორის 134-ე ადგილზე, 2012 წელს – 158 ქვეყანას შორის 141-ე, ხოლო 2013 წელს 162 ქვეყანას შორის 139-ე პოზიცია ეკავა.

**იხეთში ბაოიხითხეთა
66%-ს 2018 წახს ხვანს
პუხინის პიხიხიხებოტა სახს**

რუსეთის გამოკითხული მოსახლეობის 66% 2018 წლის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობაზე კვლავ ვლადიმერ პუტინს ისურვებდა. საპირისპირო პოზიციას კი 14% აფიქსირებს. გამოკითხვის მონაცემებს სააგენტო „ინტერფაქსი“ ფონდ „საზოგადოებრივ აზრზე“ დაყრდნობით ავრცელებს.

კვლევის თანახმად, ყოველ მეხუთე რესპოდენტს, რაც გამოკითხულთა 20%-ს შეადგენს, ამ საკითხთან



დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია.

ეპიდეიოლოგია და ხსენებენ უკრაინის სამხედრო დანახვების ბანკის

ლონდონში გამართულ შეხვედრაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და NATO-ს გენერალურმა მდივანმა უელსის სამიტის დღის წესრიგი განიხილეს. დევიდ ქემერონმა და ანდერს ფოგ რასმუსენმა ასევე განიხილეს, თუ როგორ უნდა უპასუხოთ ალიანსმა მსოფლიოში არსებულ ახალ რისკებს. დევიდ ქემერონმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ უელსის სამიტზე ალიანსმა უსაფრთხოების სფეროს გამყარებაში მხარდაჭერის საჭიროების მქონე ქვეყნებისთვის პრაქტიკული დახმარების განხორციელების საკითხები უნდა შეათანხმოს. ასეთ სახელმწიფოდ ქემერონმა საქართველოც დაასახელა. მისივე თქმით, ასეთ ქვეყნებში NATO-ს სპეციალისტების გაგზავნის საკითხი განიხილება, რათა ადგილობრივ ხელისუფლებას თავდაცვის გეგმის შედგენაში დაეხმარონ. დევიდ ქემერონის განცხადებით, მს-

გავსი მხარდაჭერით ძლიერი შეიარაღებული ძალები მეტ ქვეყანას ეყოლება და ისინი საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებასთან ერთად მსოფლიოში სტაბილურობის უზრუნველყოფაშიც შეიტანენ წვლილს. თავის მხრივ, NATO-ს გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რუსეთის აგრესიამ უკრაინაში საფრთხე შეუქმნა მსოფლიო წესრიგს, რის გამოც აუცილებელია მოკავშირეებმა სამხედრო სფეროს დაფინანსება გაზარდონ.

მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი რამდენიმე დღეში დასრულდება

მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, რიო-დე-ჟანეიროში ბრაზილიელ სამართალდამცავებსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებები მოხდა. რამდენიმე ათასი ადამიანი რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში ბრაზილიის ხელისუფლების მიერ საფეხბურთო ტურნირის გასამართად მილიარდობით თანხის დახარჯვას აპროტესტებდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, შეტაკების შედეგად რამდენიმე


ადამიანი დაშავდა. დაზიანდა ასევე ბრაზილიის ერთ-ერთი ტელეარხის სტუდია, სადაც დემონსტრანტები ცდილობდნენ შეჭრას. დაშავებულთა შორის იყვნენ CNN-ისა და AP-ის ჟურნალისტები. ამასთან, 2014 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებას ბრაზილიის სხვადასხვა ქალაქში ფართომასშტაბიანი აქციები უძღოდა. ირანისა და ნიგერიის მატჩის დაწყების წინ პოლიციამ 200-ზე მეტი მომიტინგის დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. აქციის მონაწილეები სანაგვე ყუთებს წვავდნენ და გულშემატკივრების სტადიონზე შესვლას უშლიდნენ ხელს, ქალაქ ნატალში, აშშ-სა და განას ნაკრების თამაშის წინ კი დემონსტრანტებმა დაწვეს აშშ-ის დროშა. □





„საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა. ქართველებმა ჩვენი უნიკალური კულტურით, ჩვენი ტრადიციებით უნდა შევაბიჯოთ თავისუფალ და დემოკრატიულ ერთა ევროპულ კავშირში და ჩვენი წვლილი შევიტანოთ მის მრავალფეროვან კულტურაში, მშვიდობის განმტკიცებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში“.

ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი



„საქართველო, უკრაინა და მოლდოვა დემოკრატიულ ღირებულებებს აღრმავენ. ევროპა ყოველთვის მხარს გიჭერთ თქვენ. ასოცირების ხელშეკრულებით კარი ევროპულ ბაზარზე იხსნება, რომელიც ყველაზე დიდი ბაზარია. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საკითხი. რუსეთი უკრაინასა და საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩაერია. ეს იყო უმძიმესი პროცესები, თუმცა ევროპა თქვენს ტერიტორიულ დამოუკიდებლობას აღიარებს და თქვენ გვერდითაა. ესაა ბრწყინვალე დღე ევროპისთვის“.

ჰერმან ვან რომპეი, ევროსაბჭოს პრეზიდენტი



„ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ NATO-ში განწევრიანებისთვის. ახლა გამოგვიცხადეს, რომ თქვენთან სტრატეგიულ დიალოგს დავინწყებთო, რაღაცაში ჩაგრთავთო. ეს დაახლოებით იმას ჰგავს – სადილზე მაგიდასთან მიწვევის ნაცვლად, ჩუპა-ჩუპსს რომ გიღებენ პირში. ჩვენ თავი არ უნდა მოვიტყუოთ და საზოგადოებას სიმართლე უნდა ვუთხრათ. პროცესი შენელდა, მაგრამ ეს საქართველოს მთავრობის ბრალი ნაკლებადაა“.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ექსპრეზიდენტი




თიბისი ბანკი
ლონდონის
საფონდო ბირჟაზე

მეტი შესაძლებლობებით
თქვენ გვერდით


TBC BANK ON LONDON STOCK EXCHANGE

 თიბისი ბანკი
TBC BANK
თქვენ გვერდით


☎ 227 27 27 | 📠 * 27 27
www.tbcbank.ge




განქორწინების საიღუმელო



ბოლო 4 წელიწადში განქორწინებაების რაოდენობა **71%-ით** გაიზარდა



2013 წელს დაფიქსირებული განქორწინებების პროცენტული განაწილება ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით



განქორწინებათა რაოდენობა **10000** კაცზე




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თავშესაფარი სახლის ნაცვლად



**ოჯახში
ძალადობის
საკონსულტაციო
სხელი ხაზის
სტატისტიკა**



თავშესაფრები
ადგილების
რაოდენობა

დაყოვნების დრო
3 თვე



თბილისი
2010
წლიდან




გორი
2010
წლიდან



ქუთაისი
2014
წლიდან

საქართველოში არსებული თავშესაფრები



თავშესაფრით
ისარგებლა

**რა უნდა
გააკეთოს
ქალმა
ძალადობის
შემთხვევაში**

მიმართოს:



გაეროს
79.20%



ახლობლებს
76.20%



ადვოკატს
73.70%



სერვისს
65.30%



ეკლესიას
62.80%



პოლიციას
53.30%

გამოკითხა 1500 ადამიანი: 65.1% ქალი და 34.9% კაცი თბილისში, კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში 2013 წელს
(კვლევა არ არის რეპრეზენტატიული ქვეყნის მასშტაბით)

წყარო: ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

სამოგადოებრივი კვლევის ინსტიტუტი, 2013 წლის აგვისტო-სექტემბერი, კვლევა მხარდაჭერილია გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) მიერ

ენა

კულენ ხომტარიანი
პოლიტოლოგი

ის, რომ ამდენი ადამიანი თვითმმართველობის არჩევნებზე არ მივიდა, ეს ამომრჩეველთა სერიოზულ ინციდენტურებლობაზე და ხელისუფლების იმ პოლიტიკაში კრიტიკულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, რომელსაც აქამდე მთავრობა ახორციელებდა.

თუმცა ეს არ ნიშნავს ოპოზიციის მხარდაჭერას. მაგრამ გამოიხიბებითაც და თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობის დაბალი აქტივობითაც ნამდვილად დასტურდება, რომ საზოგადოება იმედგაცრუებულია.

რა თქმა უნდა, ამ არჩევნებში პროგრესიც გამოჩნდა, ეს ფაქტია. ამის ნიშანი 50%-იანი ბარიერის შემოღება, მაგრამ ეს არანაირად არ გვაძლევს თვითკმაყოფილების საფუძველს, რადგან ქვეყანა და ხელისუფლება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის დევნითაა დაკავებული. ამ შემთხვევაში მხოლოდ დაქვრებზე არ ვსაუბრობ. ზოგადად ნაციონალური მოძრაობის განადგურების იდეით არიან შეპყრობილები. ამის ძალიან არაფანსალი გარემო შემოაქვს ზოგადდაც და არჩევნებზეც.

მე პირადად თვითმმართველობის არჩევნებზე არ ვიყავი დამკვირვებელი და შეფასებისას კატეგორიული ვერ ვიქნები. მაგრამ დასაფიქრებელია ის, რაც მარწმუნობს მოხდა, ასევე, კანდიდატების მოხსნის ფაქტები რეგონებში. მე ვენდობი ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორცაა საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაცია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა“. ისინი ავასტრუდენტ, რომ ასეთი შემთხვევები იყო. ეს შემთხვევებიცაა და არანაირ საფუძველს არ გვაძლევს თვითკმაყოფილებისთვის.

არჩევნების შემდეგ მთელი დარბაზი უნდა გავაცხადო, რომ მეორე ტურის მიუხედავად, ოპონენტი პრაქტიკულად არ არსებობს. პრობლემა არის ის, რომ რაღაც თვალსაზრისით მართია დაივადებულები არიან ამით. ■



PHOTO: NANA BALASHVILI/REUTERS

ჯიხს თუ ჯიხ თვითმმართველობის ჯიჩქვჯეახის ბაოჩა ტახი საზოგადოების იცაბასჯაჯით ბაომწვაიცი?

■ ამ არჩევნებში პროგრესიც გამოჩნდა, ეს ფაქტია. ამის ნიშანი 50%-იანი ბარიერის შემოღება. მაგრამ ეს არანაირად არ გვაძლევს თვითკმაყოფილების საფუძველს, რადგან ქვეყანა და ხელისუფლება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის დევნითაა დაკავებული. ამ შემთხვევაში მხოლოდ დაქვრებზე არ ვსაუბრობ. ზოგადად ნაციონალური მოძრაობის განადგურების იდეით არიან შეპყრობილები. ამას ძალიან არაფანსალი გარემო შემოაქვს ზოგადდაც და არჩევნებზეც.

ჯიხ

გახტავ ძაბრიანი
პოლიტოლოგი




PHOTO: NANA BALASHVILI/REUTERS

ცალსახად იმის თქმა, რომ თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დაწინაურება მხოლოდ საზოგადოების იმედგაცრუებამ გამოიწვია, რთულია. ასევე, რთულია ცალსახად იმის თქმა, რომ ეს ქვეყანაში ვანსალი პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის შედეგია.

იმედგაცრუება, რა თქმა უნდა, იყო. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობის ამ არჩევნების მსგავსი არჩევნები საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ვგულისხმობ იმას, რომ ამ არჩევნებისას საზოგადოებაში არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა და მოლოდინი, რომ არჩევნების შემდეგ რამე უბედურება მოხდება, არ გექონია. 1995 წლიდან დღემდე ყველა არჩევნებისას გექონდა მსგავსი მოლოდინი. მესამე ისაა, რომ ხელისუფლებამ არ იკადრა არჩევნების გაყვლა იმ სახელმწიფო რესურსის გამოყენებით, რისი გამოყენების საშუალებაც ჰქონდა. ჩვენ ისეთი გაყვალბების მომსწრნი ვართ, მგონია, რომ 3-10%-ის გაყვალბება საქართველოში გაყვალბებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ ამ ხელისუფლებამ ესეც არ გავაცია. მამის, როცა შეუძლო რაღაც მეტანჩხებში 3%-ით გაყვალბებინა არჩევნები და თბილისში მეორე ტური აღარ იქნებოდა. ასევე, ხელისუფლება ნაიფი 50%-იან ბარიერზე, რომლის არარსებობის შემთხვევაში ასევე არ იქნებოდა მეორე ტური. უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფლება ამ შემთხვევაში ძალიან პოზიტურად მოქცეა.

ის, რომ ამომრჩეველთა აქტიურობა იყო დაბალი, შეიძლება იმით აიხსნას, რომ არჩევნებზე არ მიდის ის ამომრჩეველი, რომელიც პოტენციურად „ქართულ ოცნებას“ დაუჭერდა მხარს და არა რომელიმე სხვა პოლიტიკურ ძალას. ოპოზიციის მხარდაჭერები, როგორც წესი, უფრო აქტიურობა მიდის არჩევნებზე. ამან გამოიწვია მეორე ტურის აუცილებლობა. გარდა ამისა, ეს იყო თვითმმართველობის არჩევნები, სადაც ყოველთვის დაბალია ხოლმე ამომრჩევლთა აქტივობა. მეორე ტურში ამომრჩევლთა აქტივობა კიდევ უფრო დაბალი იქნება. ■

■ იმედგაცრუება, რა თქმა უნდა, იყო. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობის ამ არჩევნების მსგავსი არჩევნები საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ვგულისხმობ იმას, რომ ამ არჩევნებისას საზოგადოებაში არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა და მოლოდინი, რომ არჩევნების შემდეგ რამე უბედურება მოხდება, არ გექონია. 1995 წლიდან დღემდე ყველა არჩევნებისას გექონდა მსგავსი მოლოდინი.

ასოსიხება სახეთი თვითონ

პაატა ქურდაძე

ქენის მიხედვით, აბსოლუტური ქუმარიტების შეცნობის გზაზე დასავლური აზროვნების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი არის ლოგიკა. ევას ცაშლი სინამდვილეში ლოგიკის ვაშლია. კითხვა – კვრეცი უფრო ადრე გაჩნდა თუ ქათამი, დასავლური აზროვნების საბირველში ჩადებული მთავარი ამსურდი, ამოუხსნელი და უსარგებლო დილემაა.

ამ მოსაზრების ანალოგი, ჩვენი კვრეცი და ქათამი საზოგადოებრივი აზრი და მედიაა. არაფერ იცის, მედიამ შობა საკუთარ სიჯიუტეში ჩაკორული, დროსა და სივრცეში დაკარგული საზოგადოებრივი აზრი თუ, პირიქით, საზოგადოებამ – ეს უიმედი, უპერსპექტივივ ბერნი ქართული მედია – ამოთხე ხელისუფლების“ პარიდია, რომელიც არა თუ კომუნიკაციას ვერ ამყარებს საზოგადოებასა და მის გარემომცველ სამყაროს შორის, პირიქით, გამუდმებით თიშავს მათ ერთმანეთისგან.

27 ივნისი საქართველოს ისტორიის წინამდებელი თარიღია. შეიძლება ითქვას დრამატულად მნიშვნელოვანიც კი, რადგან



შენი ქვეყნისათვის / საზოგადოებრივი აზრი

კაილიკის-პატრიარქი ილია, პრეზერვანტი არაკლი ლინამბული, პრეზდენტი გიორგი მარგველიანი და პარლამენტის იმედიმარე დეიტი უსუფუხელი ასოცირების ხელმძღვრელებსაში მიძღვნილ გალაკონცერტზე, თბილისი, 27 ივნისი 2014

საქართველოს სვლა ევროპისკენ სხვა არაფერია თუ არა გრძელი ისტორიული დრამა.

გაყალბებული გიორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობის საერთაშორისო დოკუმენტისთვის საქართველოს ნებაყოფლობით ხელი აღარ მოუწერია. ეს არის ჩვენ მიერ ხელმოწერილი პოლიტიკური ქეშმარიტება. ამ ხელმოწერის შემდეგ, როგორც ბატონმა პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა საზეიმო გამოსვლისას განაცხადა: „თამამად უნდა შევერიოთ დღევანდელ მსოფლიოს...“

როგორც ჩანს დღევანდელ მსოფლიოში ინტეგრაციისთვის რეზოლუცია გვჭირდება, რომელიც უკვე გვაქვს, მხოლოდ ისმის შეკითხვა, რა იცის საქართველოს მოსახლეობამ იმ მსოფლიოს შესახებ, რომელსაც „თამამად უნდა, შეერიოს“?

საშუალო ქართველმა ზოგადად დაახლოებით იმდენივე ან შესაძლოა ოდნავ მეტი იცის ევროპისა და მასთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, რამდენიც მისმა წინაპარმა იცოდა თითქმის ორნახევარი საუკუნის წინ რუსეთისა და გიორგიევსკის ტრაქტატის შესახებ. ქართველი მოქალაქისათვის ხეირიანად არავის აუხსნია, თუ რას ან ვის უნდა შეერიოს თამამად. ხელმოწერის წინა საღამოსაც კი ქართული მედია ძირითადად წარმანია-მელიას საარჩევნო ინტრიგითა და იმის გარკვევით იყო დაკავებული, თუ ვინ უფრო მეტი გააკეთა ევროპასთან ასოცირებისათვის.

27 ივნისს კი ხელისუფლებამ თბილისში საკუთარი გალაკონცერტი მოაწყო. ბრიუსელიდან დაბრუნებულმა დელეგაციამ ხალხს ევროპის კარის გაღება მიულოცა. გამოჩენილმა ქართველმა მომღერლებმა შეასრულეს საქართველოს ჰიმნი, მოუსმინეს ევროპის ჰიმნს... ყველა კმაყოფილი იყო. ყველამ ერთად იმხიარულა. პრემიერი და პრეზიდენტი ერთად ისე გულისამაჩუყებლად ხარობდნენ, თითქოს ევას ქართული ლოგიკის ვაშლი ჯერაც არ მოეწვიტოს; თითქოს სურეალისტულ დილემას – ევროპის კარების გამოღება ხელმოწერითა და რეზოლუციით ვის უნდა დაედასტურებინა პრემიერსა თუ პრეზიდენტს – შემეცნებისაკენ ლტოლვის პოტენციის მთელი ის უზადრუკი მარაგი არ შთაენთქა, რომელიც ზოგადად ცხოვრებასთან ბრძოლაში ქანცგანყვეტილ ადამიანებს ღმერთმა გარემომცველი სამყაროს აღსაქმე-

ლად უწყალობა... კონცერტმა წარმატებით ჩაიარა.

იმ საღამოს ქართული არხები თავგამოდებით ცდილობდნენ აეხსნათ თავიანთი მაყურებლისთვის, თუ რა არის ევროპა და რას მოვანერეთ ხელი. ქართველი პოლიტიკოსები როგორც ყოველთვის შეეცადნენ ჯერ გადამხტარიყვენ და მხოლოდ შემდეგ დაეძახათ „ჰოპლა“ მედიასთან ერთად – თუმცა ამ საქმიდან დროის სიმცირის გამო ცხადია არაფერი გამოვიდა – საღამოს ძირითადი ინტრიგა მაინც კლასიკა იყო, ვინ შეიყვანა საქართველო ევროპაში, ღარიბაშვილმა თუ სააკაშვილმა...

ერთადერთი რაზეც ყველა, ფუნდამენტალისტი ლიბერტარიანელებიდან დაწყებული კოალიციის ყველაზე აცდენილი, რომანტიკოსი წევრებით დამთავრებული, შეთანხმდა იყო ის, რომ ევროპა ბაზარია, სადაც მალე ყველანი უვიზოდ ვივლით ჩვენი პროდუქციის გასაყიდად, სასწავლებლად და დასასვენებლად, განსაკუთრებით ახალგაზრდები... ხელოვნების სფეროში დაკავებულებმა კი აღნიშნეს, რომ ევროპა მათთვის არის ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენის „ოდა სიხარულისადმი“ და აგრეთვე იმპრესიონისტები... ანუ ქართულ არხებს თუ დაუფჯერებთ, ქართული ხელოვნებისთვის, „ფეისებისთვის“ ევროპა ჯერ სადღაც მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებშია გაჭედილი.

ხელმოწერის მეორე დღე. პირველივე ევროპული უიკენდის შემდეგ, ორშაბათ დილიდან ქართველ პოლიტიკოსთა და მედიის წარმომადგენელთა ტანდემი ძირითადად უკვე გიგი უგულავას დაკითხვით დაკავდა, სამშაბათს მოძმე ევროპაში ნიკოლა სარკოზის დაკითხვაზე დაბარებამ, ცოტა ხნით შეგვახსენა. რომ ევროპა არსებობს...

არც 27 ივნისამდე და არც შემდეგ არავინ დაინტერესებულა, არავის დაუსვამს კითხვა, არც ერთ ტელეარხს არ გაუკეთებია ერთი სიუჟეტი მაინც იმის შესახებ, თუ რა იცის ევროპის შესახებ მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელსაც ხალხურად უბრალო ადამიანებს უწოდებენ.

ასეთი სიუჟეტი მაშინვე წარმოაჩენდა, რომ საქართველოში ადამიანების უმრავლესობას რეალობას აცდენილი წარმოდგენა აქვს ევროპასა და იქაურ საზოგადოებაზე. ამის დასტურად თუნდაც იმ აბსურდულ, პრიმიტიულ და აგრესიულ პოლემიკათა მთელი სერია შეიძლება მოვიტანოთ, რომელიც სა-

288



ქართველოში პერმანენტულად მიმდინარეობს: არის თუ არა ევროპა გარყვნილების, ინცესტის, სატანიზმის ბუდე? მასთან დაახლოება ქმნის თუ არა ტრადიციებისა და ეთნიკური იდენტობის გაქრობის საშიშროებას? და სხვ... მერე შესაძლოა ვინმეს ბუნებრივი კითხვა გასჩენოდა – თუ ვის უნდა ეზრუნა ადამიანების ინფორმირებულობაზე, თუ არა იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც დღეს ერთმანეთს არ აცლიან მოსახლეობისთვის ამ ხელმონერის დაყვედრებას; თუ არა მედიას, ქართულ ტელეარხებს, საზოგადოებრივ მაუწყებელს... არც ერთს აზრად არ მოსვლია გაეკეთებინა გადაცემათა ციკლი მსოფლიოს იმ ნაწილის შესახებ, რომელმაც როგორც იქნა საბრალლო სულხან საბასთვის ოდესღაც დაკეტილი ვერსალის კარი გაგვიღო...

პლატონისეულ ნადიმად ვასალებთ. ჩვენ ადამიანის სიკვდილის დამადასტურებელი ბოლო აკორდისთვისაც ბანკეტი, ანუ ქელები გვჭირდება, მხოლოდ სუფრასთან ვიჯერებთ სამყაროს ამ უდიდესი მისტერიის აქტს – სიცოცხლისა და სიკვდილის გასაყარს. ქელები ჩვენი რეზოლუციაა!

ამ შეთანხმების ხელმონერით, როგორც ამბობენ, გზა გვეხსნება ევროკავშირის 500 მილიონი მომხმარებლით გაჯერებული ბაზრისკენ, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 12.9 ტრილიონ ევროს უტოლდება... მართლაც შესანიშნავი მასალაა ყველაზე აღვირახსნილი ფანტაზმებისთვის. თუმცა ასევე ამბობენ, რომ დაახლოებით სამას ორმოცდაათამდე კანონი უნდა მივიღოთ და გავატაროთ ცხოვრებაში, რომელთა დიდი

■ გაყალბებული გიორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობის საერთაშორისო დოკუმენტისთვის საქართველოს ნებაყოფლობით ხელი აღარ მოუწერია. ეს არის ჩვენ მიერ ხელმონერილი პოლიტიკური ქეშმარიტება. ამ ხელმონერის შემდეგ, როგორც ბატონმა პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა საზეიმო გამოსვლისას განაცხადა: „თამამად უნდა შევერიოთ დღევანდელ მსოფლიოს...“

ეს კითხვა თავისთავად სხვა ასევე ბუნებრივ კითხვებს დაბადებდა, რომლებიც შესაბამისად პრობლემათა მთელ სერიად იქცეოდა ყველა იმ ხელისუფლებისთვის, რომლის ვალი იყო ეზრუნა თავისი მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათი განათლების იმ დონის უზრუნველყოფაზე, როცა ადამიანს უკვე შეუძლია დამოუკიდებლად, ცრუ რწმენების გარეშე გადანყვიტოს სურს თუ არა, რომ ცივილიზებული საზოგადოების ნაწილად მოიაზროს თავი და თავად გადანყვიტოს, თუ რა არის ცივილიზურობა და არა მისმა მოძღვარმა, თუ რომელიმე საკულტო პოლიტიკურმა პირმა. მე მხედველობაში მაქვს ის მინიმუმი, რაც ადამიანის კულტივირების ბაზისია. ჩვენ კი ჯერ გადავხტით და „ჰოპ“ მერე დავიძახეთ... თან ერთი არ ვიკმარეთ და გავაგრძელეთ – „ჰოპ, ჰოპ, ჰოპ!“... და პირდაპირ ბანკეტზე ამოვყავით თავი... ჩვენი ქეშმარიტების დასტური კი ბანკეტია, რომელსაც

ნაწილი სულაც არ შეეხება მხოლოდ ვაჭრობის რეგულაციებს. მათზე ტრიუმფატორ პოლიტიკოსებს რატომღაც ყურადღების გამახვილება არ უყვართ. ისინი გამუდმებით დიდ ბაზარზე და ევროპულ ტრილიონებზე აკეთებენ აქცენტს. ამასთან სრულიად არ აღელვებთ, რომ ევროპელისთვის ისეთივე უსიამოვნო შეიძლება იყოს მისი დიდ, კარგად მოვლილ, ფუმფულა, მენველ ძროხად აღქმა, როგორც ჩვენთვის სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ ჩვენი „უფროსი ძმებისა და დებისგან“ ჩვენი სამშობლოს ერთ დიდ რესტორნად აღქმა იყო.

თუ გავითვალისწინებთ იმ აურზაურს, რაც ერთი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას მოჰყვა, სამ ასეულზე მეტი კანონის მიღება ადვილი საქმე არ უნდა იყოს. საქართველოს მოსახლეობასა და ევროპულ კანონმდებლობას, ცხოვრების წესსა და ღირებულებებს შორის სერიოზული აცდენებია. მათი სინქრონი-



ზაციის გარეშე კი ევროპულ საზოგადოებაში ინტეგრაციაზე ფიქრიც წარმოუდგენელია. ამ ინტეგრაციის დარეგულირება რომ ბაზარს, ვაჭრობასა და გეოპოლიტიკურ საერთო მიზნებს შეეძლოს, თურქეთი კარგა ხნის წინ გახდებოდა ევროკავშირის წევრი.

ასოციირების ხელშეკრულებას ჩვენ განვიხილავთ როგორც რალაც ცალმხრივ დოკუმენტს. გვაინყვდება, რომ ნებისმიერ ხელშეკრულებას ორი მხარე აქვს. რამდენად შეუძლია ევროპას ჩვენთან თავის ასოცირება, იდენტიფიცირება? ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა არავითარ გარანტიას არ იძლევა იმისთვის, რომ საშუალო ევროპელმა საშუალო ქართველში საკუთარი კულტურის იდენტიფიცირება შეძლოს.

ჩვენ კულტურულ ასოცირებაზე ისევე უნდა ვფიქრობდეთ, როგორც ეკონომიკურზე, რადგან სწორედ კულტურას შეუძლია რეალურად დაახლოოს ადამიანები ისე, რომ მათ ერთმანეთის კომერციულ პარტნიორებად კი არა, ერთი „ოჯახის“ წევრებად იგრძნონ თავი... ქვეყნები, პირველ რიგში, ადამიანებია და მერე ტერიტორია და მისი პოლიტიკა.

ევროპა პირველ რიგში ბაზარი და ეკონომიკური ზონა კი არა, კულტურულ ფასეულობათა ერთობაა. ჩვენ ამ მხრივ უამრავი პრობლემა გვაქვს, არანაკლები ვიდრე ეკონომიკური ან გეოპოლიტიკური. მეტიც, რეალურად კულტური დაახლოება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეკონომიკური – და ჩვენ ამ პრობლემაზე აბსოლუტურად არ ვმუშაობთ. ვფიქრობთ, რომ თუ სტრასბურგში ჩვენს რანდენიმე დეპუტატს კომერციული ღიმილით ინგლისურად რამდენიმე სტანდარტული ფრაზის წარმოთქმა შეუძლია, ეს საკმარისია იმისთვის, რომ „მამასადამე ევროპელებად“ ჩაგვთვალონ იმ ევროპელებმა, რომლებსაც დასამტკიცებელი არ აქვთ თავიანთი იდენტობა.

ჩვენ კულტურულად ისევე შორს ვართ ევროპისგან, როგორც ეკონომიკურად და ამ დისტანციის შემცირებაზე მუშაობა, გონივრული კონცეფციების შექმნა და მათი რეფორმების სახით გატარება დაუყოვნებლივ არის საჭირო.

ეს ძალიან დელიკატური საქმეა, მას პოლიტიკას მიკედლებული ოპორტუნისტები ნამდვილად ვერ შეასრულებენ. მათი ღიმილი კულტურის სახელმწიფოებრივ ხარისხში აყვანილ მნიშვნელობაზე ისტორიული ძე-

გლებით ამოიწურება. მათ სჯერათ ჰომეროსის მიერ უნებლიეთ შექმნილი ჩვენი იდენტობის, სწამთ ოქროს საწმისის! უფრო მეტად, ვიდრე იაზონის მიერ მოტყუებულ კოლხებს და ფიქრობენ, რომ ის ჩვენი ევროპულობის გარანტია. საქართველოს ექსპრეზიდენტმა ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟები მონუმენტებში გააცოცხლა და მათგან მოოქროვილი გეოპოლიტიკური, ტურისტული კულტი შექმნა!

ცოცხალი სახელოვნებო პროცესი კი, რომელიც კულტურის მთავარი მკვებავია, კომატოზურ მდგომარეობაშია. შეიძლება დადასტურებით ითქვას, რომ საქართველოში დღემდე არსებული ყველა ხელისუფლებისთვის კულტურა ისტორიული მემკვიდრეობის კარგად მოვლა, ცოტა ფოლკლორი და კიდევ უფრო ცოტა კლასიკური მუსიკა – ფაქტობრივად სამთავრობო ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო ორსაათიანი რეპერტუარი... მხოლოდ კონფერანსიების ჩანართების, მთავრობის მეთაურთა გამოსვლისა და გულზეხელდადებული ჰიმნის ჩათვლით.

ახალ საქართველოში ლუი მეთოთხმეტე – მზე ჯერ არ დაბადებულა და როგორც ჩანს კიდევ კარგა ხანს არ დაიბადება.

თუმცა უსამართლობა იქნებოდა ყველაფრის მხოლოდ პოლიტიკოსებზე გადაბრუნება...

დააკვირდით – თავად ხელოვანთათვის ევროპა არის იმპრესიონიზმი, მოცარტი, ბახი, ბეთჰოვენი... დიდი კლასიკა! რომელმაც ასე თუ ისე საქართველოში საბჭოთა ეპოქაში მოიკიდა ფეხი, რადგან ფაქტობრივად ის ერთადერთი იყო ნებადართული დასავლურ კულტურასთან საიდენტიფიკაციოდ. სამაგიეროდ, საერთოდ არ შეგვეხო პოპკულტურა. ის თითქოს მხოლოდ ანდერგრაუნდში არსებობდა. ანდერგრაუნდში კი პოპკულტურას არ შეუძლია არსებობა – რადგან თავად სიტყვა პოპ შემოკლებით პოპულარულს, სახალხო ნიშნავს.

მოგვიანებით 80-იანი წლების ბოლოდან პოპი მაინც განვითარდა, მხოლოდ კულტურის გარეშე და მას რუსებმა შესანიშნავი სიტყვა „პაპსა“ დაარქვეს. ეს სწორედ ის არის, რაც დღემდე ქართულ კულტურაში ზედაპირზე ტივტივებს. პოპკულტურა კი ისევ ემბრიონალურ მდგომარეობაშია სადღაც ჭუჭყიან და უბადრუკ თბილისურ, ქუთაისურ თუ ბათუმურ ანდერგრაუნდში. ის არც



ადამიანებს აინტერესებთ, არც ბიზნესმენებს და არც სახელმწიფოს. ამ უკანასკნელებმა ბოლო წლებში ისწავლეს მიღებებზე, სიმეზიანი კვარტეტის ფონზე, ფურშეტზე ღვინის ყელიან ქიქებში ცხვირის ჩაყოფა და იქ გარგარისა და მინის არომატის პოვნა; მაღალი ღონის შეხვედრებზე რომელიმე ფავორიტი პიანისტით ან ოპერის მომღერლით თავის მონონება... სულ ეს არის.

ჩვენ ისეთივე „არაროკენროლი“ ერი დავრჩით, როგორც რუსები.

90-იან წლებში ქართული პოსტსაბჭოთა კულტურის ვექტორს ჯერ წვერებიანი „ჯოს ნაციონალისტები“ აკონტროლებდნენ, შემდეგ განგსტერთა საძმოები... შემდეგ კორუმპირებულთა დიდი ეპოქა დადგა! წარმატებული ადამიანის მოდელად მებაჟე

უუნარობაში, შეუძლებლობაში, ენების გაქვავებაში გამოიხატება... დღეს ჩვენ ყველანი გეები ან ჰომოფობები ვართ, ჩვენ დღეს ყველანი ვართ რასისტები ან გმირი ანტიფაშისტები! ჩვენ დღეს ყველანი აგრესიული მართლმადიდებლები ვართ! ან ვართ ასევე აგრესიული ათეისტები... ჩვენ დღეს ყველანი დეპრესირებული ექსტრემისტები ვართ... და სხვა არავინ...

ევროპაში ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან ზუსტად ერთ კვირაში, როდესაც სასამართლოს წინ უგულავას პროცესის შემდეგ გამართულ სრულ პარანოიას უყურებ, რომელშიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი განგსტერების, მებაჟეებისა თუ ენჯეოების კულტურათა შემოქმედები მონანილეობენ, ძალაუვნებურად გიჩნდება

■ შეიძლება დადასტურებით ითქვას, რომ საქართველოში დღემდე არსებული ყველა ხელისუფლებისთვის კულტურა ისტორიული მემკვიდრეობის კარგად მოვლა, ცოტა ფოლკლორი და კიდევ უფრო ცოტა კლასიკური მუსიკაა - ფაქტობრივად სამთავრობო ღონისძიების ჩასატარებლად საჭირო ორსაათიანი რეპერტუარი... მხოლოდ კონფერანსიების ჩანართების, მთავრობის მეთაურთა გამოსვლისა და გულზეხელდადებული ჰიმნის ჩათვლით.

იქცა... 2003 წელს კი მებაჟეების კულტურა არასამთავრობო ორგანიზაციების რევოლუციამ დაასამარა და ქართულ კულტურას სრულიად ახალი ენჯეო სახე და ენა მისცა, მის კულტურულ ლოკომოტივად გადაიქცა და ქვეყანა სულ მოკლე დროში პოლიტიკორექტულ დეკადანსში შეიყვანა... მისი აბსოლუტურად გაშეშებული ლოზუნგური ენით: „მე მინდა ვიცხოვრო ისეთ ქვეყანაში სადაც...“ „მე არ მინდა ჩემს ქვეყანაში...“ „ჩვენ დღეს ყველანი... ვართ“ და სხვა, და სხვა... მათ თავიანთი უგემური, პრეტენზიული პათეტიკით თავად გააღვიძეს არაპოლიტიკორექტული ღრმადმორწმუნე მონსტრი, რომელმაც თავის მხრივ პატარ-პატარა მონსტრები გამოაღვიძა, რომელმაც ენჯეოკულტურის ქართველი ვარსკვლავები ძალიან ადვილად შეახრამუნეს... ენჯეოდეკადანსი ტოტალურ და ყოვლისმომცველ რალაც ისტერიულ დეპრესიაში გადაიზარდა, რომელიც გაუთავებელ კონფრონტაციაში, დისკუსიის სრულ

ექვი, რომ იქნებ სულხან საბას წინ დაკეტილი და დღეს გამოღებული ეს მითოლოგიური კარი სულაც არ არსებობს და ის ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია. იქნებ ჩვენ თავად ავჭედეთ ის დიდი ჟანგისანი ლურსმნებით და მარადიულ დარაჯად საბრალო სულხან საბა მივუჩინეთ, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რომ ევროპა ისევე, როგორც ეს კარი, ჩვენშია. ევროპა მხოლოდ სიმბოლოა და კაპიკია ნებისმიერი გაფორმებული ხელშეკრულების ფასი, თუ ყველა ჩვენგანმა არ შეაღო ის. მთავარი მისკენ მიმავალი გზაა, რადგან ეს გზა პროცესია ჩვენი კულტივირების, ჩვენი განვითარების. ნებისმიერ შემთხვევაში, საერთოდაც რომ აღარ არსებობდეს ევროკავშირი, საქართველოსთვის ამ გზაზე სიარული სიცოცხლე იქნება, შეჩერება კი - სიკვდილი.

ევროპა ჩვენი პოზიტიური გოდოა, მხოლოდ ჩვენ, ესტრაგონები და ვლადიმირები, თავად მივდივართ მისკენ. ■

სიჩიოს ხიზინი: ოთხი აჯილათია


ქეთი თოთხერიძე

დამასკოში იქნის თბილი საღამოა. ბაზარ-
ალ ასადის მომხრეები არჩვენები რჩული
კანდიდატის გამარჯვებას ზეიმობენ. დედაქე-
ლათის ცენტრში სირიის დროებით ისე ფრიალე-
ბს, თითქოს ომი დიდი ხნის დასრულებულია.
დამასკო ერთადერთი ქალაქია, სადაც საომარ
მოქმედებების მოუხდავად, საცხოვრებელი
სახლები და კულტურული მემკვიდრეობა მებე-
ნაკლებად ზღვრულუბებულ დარჩა. დასახლების
უძველეს ქალაქად ნოღდედ დამასკოს დღეს
ასადის ციტადელი ჰქვია.

დასაფლვისგან უარყოფილმა პრეზიდენტ-
მა არჩევნებში ხმების 88,7% მიიღო. გაიმარ-
ტონი და ევროკავშირი არჩევნების შედეგებს
ლეგიტიმურად არ სცნობს, თუმცა სირიის
უახლეს ისტორიაში ეს პირველი შემთხვე-
ვა იყო, როცა საპრეზიდენტო არჩევნებში
ასადის გარდა, ორი სხვადასხვა კანდიდატი
იყრიდა კენჭს. მაგრამ ამ ფაქტები არაფერი
შეცვლილა. ასადის გამარჯვებაში მემბოხე-
ბი და ოპოზიცია უფრო მეტად განარისხა. ეს
სირიის სამოქალაქო ომს, რომელსაც ბოლო
სამი წლის განმავლობაში 150 ათასამდე ადამ-
იანის სიცოცხლე ემსხვერპლა, დაუსრულე-
ბულ პროცესად აქცევს.

გაეროსა და სირიის ადამიანის უფლება-
თა კვლევის ცენტრის მონაცემებით, სირიაში
ყოველ ათ წუთში ერთი ადამიანი იძულებულ
გადაადგილებული პირია, 2 მილიონზე მეტი
კი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ლტოლვილის
სტატუსით ცხოვრო-
ბს. სამოქალაქო ომი,
რომელიც სამი წლის
წინ მშვიდობიანი
საპარტისტო აქციებით
დაიწყო, დღეს ცივილი-
ზებული სამყაროსთვის
ერთ-ერთ ურთულეს
თავსატყვის წარმოად-
გენს.

306 არსი ასადის პრეზიდენტი მემბოხი
შარანს, როდესაც დადავლები ბაზარ ალ-
ასადის მთავრობის მიერ მშვიდობიანი მოსა-
ხლეობის წინადადება ქმნიერი იარაღის გა-
მოყენებაზე აღმარაკდა, განწინა მოიღობინი,



რომ ამერიკის ჯარები სირიაში შეიჭრებოდა
და ასადის რეჟიმი, მსგავსად სადამ ჰუსეინის
რეჟიმისა, დაეპოზობოდა. მაგრამ ვერცე ბუშის
გან განსხვავებით, ბარაკ ობამა ყოველთვის
ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასაერთო თავდასხ-
მა და არაფერი კონფლიქტის გადაჭრის ერთა-
დერთი სცენარი არ არის.

ვაშინგტონისა და მოსკოვის ინტერესები
სირიის საკითხთან დაკავშირებით რადიკალურ
რად განსხვავებულია. შარანს რუსეთმა ამერი-
კის შეერთებულ შტატების მთავრობას მინიჭ
დააჩვენა, რომ სირიის კრიზისს წერტილ-
შიზოლდ მოლაპარაკებების მეტეგასთან დგეზ
მებოდა. რუსეთმა პირბა შეასრულა და სო-



რის სამთავრობო დელეგაცია დენევაში ოპო-
ზიციასთან შეხასხვედრად გაგზავნა.
სირიის შეხვედრა, რუსეთის ინტერესები სი-
რიაში წინდა წყლის საშედრო ხასიათისა.
1971 წლიდან დღემდე რუსეთის საზღვაო
ფლოტი ქალაქ ტარტუსშია განლაგებული.
ცხადზე ცხადია, რომ რუსეთი ხელთაიშა ზე-
ვაზე გასასვლელს არასოდეს დასთმობს. რუსი
ანალიტიკოსები იმასაც ამტკიცებენ, რომ
ასადების ოჯახისა და მოსკოვის მეგობრობა,
რუსეთის მმართველებს მემკვიდრეობითი გა-
დევნებით. თუმცა შესაძლოა, რუსეთის ხელი-
შეწყობილ მოლაპარაკებებს მეტეგასთან დგეზ
არც განიხილავდეს. მისთვის სირიის მთავრო-

ბის მზარდაქტრა, როგორც სასიცოცხლოდ
მნიშვნელოვანი პოზიცია, ორი ძირითადი ფა-
ქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში,
ეს არის თეთრი სახლიდან მუდმივი პეტეციონი
პირველობისთვის – თუ ვინ იქნება პეტეციონი
ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მეორე მიზე-
ზი კი იმ მუსლიმ ექსტრემისტების ზრდილაა,
რომლებიც სირიის სამთავრობო ჯარებისთვის
მიიჯარე სამიზნეს წარმოადგენენ. თავის მხრივ,
მუსლიმების უკვლავ დიდ ტერორს სწორედ
მუსლიმი ექსტრემისტები განიხილვებან.
ამერიკული ანალიტიკოსების ნაწილი მიი-
წევს, რომ რუსეთი სირიის სამოქალაქო ომით
დასაფლვის რეგიონისთვის გამო სამთავრო-

უხდის. გარდა ამისა, სირიის კრიზისი, რომელსაც არაბული გაზაფხულის ყველაზე ბნელ მხარედ განიხილავენ, რუსეთს სამუალებას აძლევს, არაბულ გაზაფხულთან დაკავშირებით საკუთარი სიმართლით კიდევ ერთხელ „იზიჰიმოს“. რევოლუციას, რომელმაც 2011 წელს მთელი არაბული სამყარო მოიცვა, რუსეთი თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა, დასავლეთმა კი გულუბრყვილოდ იწამა, რომ ეს ქვეყნები დიქტატურული რეჟიმისგან სამუდამოდ გათავისუფლდებოდა. ეგვიპტისა და, მით უმეტეს, სირიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ არაბული გაზაფხული ფიასკოთი დასრულდა.

გმრილობიანი მოლაპარაკებების დასასრული

„დიქტატორებს არ ირჩევენ, ისინი ძალაუფლებას მოქალაქეების ტერორითა და დამინებით ინარჩუნებენ. ბაშარ ალ ასადმა სისხლიან არჩევნებში გაიმარჯვა“, – ეს სიტყვები სირიის რევოლუციისა და ოპოზიციური კოალიციის პრეზიდენტს, აჰმედ ალ-ჯარბას ეკუთვნის. სირიელმა პოლიტიკოსმა და ყოფილმა პოლიტპატიმარმა საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ „Washington Post“-ში ოპუსი გამოაქვეყნა, სადაც წერდა, რამდენი ადამიანიც არ უნდა მოკლას ასადმა, როგორი სასტიკი მეთოდებითაც არ უნდა ებრძოლოს მონინა-ალმდეგეებს, ის რევოლუციას ვერ შეაჩერებს.

2014 წლის ჟენევის მოლაპარაკებების დაწყებისთანავე აჰმედ ჯარბამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს სთხოვა, ბაშარ ასადი დაერწმუნებინა, რომ გადამდგარიყო. მშვიდობიან მოლაპარაკებებს არავითარი შედეგი არ ჰქონია, რადგან მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს, მთელი რიგი საკითხებისა კი გადაუჭრელი დარჩა.

გაეროს წარგზავნილი სირიაში, ლაჰდარ ბრაჰიმი ჟენევაში მხარეებს დახურულ კარს მიღმაც შეხვდა, თუმცა ალჟირელი დიპლომატის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ამის შემდეგ პრესკონფერენციაზე ბრაჰიმი განმარტა, რომ ოთახში ურთიერთბრალდებების გარდა არაფერი ისმოდა.

„სირიის სამთავრობო დელეგაცია შვეიცარიაში მხოლოდ იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ ანგარიში გაენია რუსეთისთვის, როგორც მთავარი მოკავშირისთვის. რუსეთის ხელისუფლებამ ასადს სთხოვა, რომ დასავლეთისთვის თვალუბის ასახვევად მაინც ჩასულიყო მშვიდობიან

მოლაპარაკებებზე, თუნდაც ოპოზიციასთან არავითარ დათმობაზე არ წასულიყო. ასადმა მოსკოვის ინსტრუქციები ზედმიწევნით გაიმეორა“, – განაცხადა ლაჰდარ ბრაჰიმი.

ერთადერთი, რაზეც მხარეები ჟენევაში შეთანხმდნენ, ქალაქ ჰომსში დროებით ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის საკითხი იყო, საიდანაც 2000-მდე ადამიანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანქანებით გამოიყვანეს. დღეს კი რევოლუციის დედაქალაქად წოდებულ ჰომსს კვლავ სამთავრობო ძალები აკონტროლებენ.

საპატიო ადგილი ღიღი დიქტატორების პანთეონში

ერთხელ გაეროს წარგზავნილმა სირიაში, ლაჰდარ ბრაჰიმი ინტერვიუში სინანულით აღნიშნა, რომ თავდაპირველად, როდესაც მან სირიის მთავრობასთან მოლაპარაკებები დაიწყო, იმედი ჰქონდა, რომ ომი იმ წელსვე დასრულდებოდა. დღეს სირიის მომავალი ბუნდოვანია. ბრაჰიმი კონფლიქტის ესკალაციაში უპირველეს ყოვლისა ბაშარ ალ-ასადს ადანაშაულებს.

„ის ჯიუტი და უკომპრომისო ადამიანია. იგი საკუთარ ხალხს განუდგა და ძალაუფლების წყურვილითაა შეპყრობილი“, – განაცხადა ლაჰდარ ბრაჰიმი.

ბაშარ ალ-ასადს გაცილებით ნეგატიური ეპითეტებით მოიხსენებენ ამერიკელი და ევროპელი ლიდერები. ის რობერტ მუგაბესა და პოლ პოტის მსგავსად, მმართველთა სწორედ იმ კასტას განეკუთვნება, რომელსაც ცივილიზებულმა სამყარომ ზურგი აქცია. დასავლეთში დღეს თითქმის აღარავის ეპარება ეჭვი, რომ ღიღი დიქტატორების პანთეონში ასადი საპატიო ადგილს დაიკავებდა. თუმცა მისი 14-წლიანი მმართველობა ყოველთვის ასეთი ბნელი და სიძულვილით აღსავსე არ ყოფილა.

2000-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ასადს სირიელების თითქმის 98% უჭერდა მხარს, როგორც დედაქალაქში ჰყვებიან, იგი სუპერმარკეტში დაცვის გარეშე დადიოდა. ის დრო დამასკოელებს კარგად ახსოვთ. დღევანდელ ქაოსში ალავიტი პრეზიდენტი მხოლოდ პირადი ვერტმფრენით გადაადგილდება.

Foreign Policy-ის ანალიტიკოსმა კალევ ლეთარუმ ირონიით აღნიშნა, რომ დასავლური მედია თავდაპირველად ასადს „სათნო ადამიანად“ მოიხსენებდა. მას მსოფლიოში ისლამური სამყაროს პროგრესულ ლიდერად განიხილა-

■ ერთი შეხედვით, რუსეთის ინტერესები სირიაში წმინდა წყლის სამხედრო ხასიათისაა. 1971 წლიდან დღემდე რუსეთის საზღვაო ფლოტი ქალაქ ტარტუსშია განლაგებული. ცხადზე ცხადია, რომ რუსეთი ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელს არასოდეს დასთმობს. რუსი ანალიტიკოსები იმასაც ამტკიცებენ, რომ ასადების ოჯახისა და მოსკოვის მეგობრობა, რუსეთის მმართველებს მემკვიდრეობით გადაეცემათ.



■ ბაშარ ალ-ასადს გაცილებით ნეგატიური ეპითეტებით მოიხსენებენ ამერიკელი და ევროპელი ლიდერები. ის რობერტ მუგაბესა და პოლ პოტის მსგავსად, მმართველთა სწორედ იმ კასტას განეკუთვნება, რომელსაც ცივილიზებულმა სამყარომ ზურგი აქცია. დასავლეთში დღეს თითქმის აღარავის ეპარება ეჭვი, რომ დიდი დიქტატორების პანთეონში ასადი საპატიო ადგილს დაიკავებდა. თუმცა მისი 14-წლიანი მმართველობა ყოველთვის ასეთი ბნელი და სიძულვილით აღსავსე არ ყოფილა.

ვინც, რომელიც სირიის არაბული რესპუბლიკის სეკულარულ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ცდილობდა.

„გზა „სათნო აღამიანობიდან“ „პირსისხლიან ტირანობამდე“ ასადმა საერთაშორისო მედიაში წარმატებით გაიარა. მედია მას ფეხდაფეხ სდევდა და 2011-დან დღემდე მისი სახელი პოლიტიკაში სისასტიკისა და მასობრივი მკვლელობების სიმბოლოდ იქცა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასავლეთში არსებობს მითი, თითქოს ასადის რეჟიმს დასასრული არ უჩანს“, – თქვა კალევ ლეთარუმ.

სამწლიანი ომის მიუხედავად, ასადს დამსკოში კვლავ საყვარელ მმართველად ასახელებენ. სირიაში მცხოვრები რელიგიური უმცირესობები, მათ შორის მართლმადიდებელი სირიელები ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს უჭერენ მხარს. დედაქალაქში დღესაც ბევრს სჯერა, რომ ასადმა იმ სისასტიკის შესახებ, რომელსაც სირიის ჯარი სხვადასხვა ქალაქებში სჩადის, არაფერი იცის. ქიმიური იარაღის გამოყენებაშიც პრეზიდენტის მომხრეები

მეამბოხე სუნიტ ექსტრემისტებსა და ჯიჰადის მიმდევრებს ადანაშაულებენ. რეალურად მსოფლიოში არსებობს მტკიცე ვარაუდი იმისა, რომ ქიმიური იარაღი მთავრობის გარდა ასადის მონინააღმდეგე, ალ ქაიდას მოკავშირე დაჯგუფებამ, ალ-ნუსრამაც გამოიყენა. თუმცა ფაქტი უცვლელი რჩება – სირიის ქიმიური არსენალი, რის შექმნაზეც მუშაობა სირიის მთავრობამ 80-იან წლებში საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით დაიწყო, მთელი მსოფლიოსთვის საფრთხეს წარმოადგენს.

სირიის სამოქალაქო ომი მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ომი არ არის, ის საზღვრებს დიდი ხნის წინ გასცდა და მთელი რეგიონი მოიცვა. ერთი მხრივ, ალ-ნუსრას ახალი პანისლამური სახელმწიფოს აღორძინების იდეა ერაყშიც ეპიდემიასავით მძვინვარებს. მეორე მხრივ, კი ორ მილიონზე მეტი სირიელი რეგიონის ხუთ ქვეყანაში სირიელ ლტოლვილთა ბანაკებს აფარებს თავს, რომელთა შინაგან ბოლო ორი წლის განმავლობაში მთავრობებს რამდენიმე მილიონი დაუჯდა. ■



ფოტო: ლეონიდა ბარბაქაძე

"მინდა დავამსხვავო დეპუტატის სტატუსი"

ინტერვიუ საკრებულოს დეპუტატ
ალეკო ელისაშვილთან

29 ივნისს გუდიაშვილის მოედანზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ტფილისის ჰამქარმა“ მისი უსტაბაშის, ალეკო ელისაშვილის თბილისის თვითმმართველობის 2014 წლის არჩევნებში გამარჯვება აღნიშნა. ყოფილი ჟურნალისტი საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდა კენჭს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ რა გეგმები გაქვთ, როგორც საკრებულოს ახალ დეპუტატს?

ჯერჯერობით საკრებულოს შეკრებას ველოდები, შემდეგ კი ის გეგმები უნდა შევასრულო, რომელთა შესრულებასაც ხალხს დავპირდი. მინდა დავამსხვრიო დეპუტატის სტერეოტიპი. დეპუტატის, რომელსაც მანქანა უნდა ემსახურებოდეს, დაღონებული სახით უნდა დადიოდეს და ხალხთან კონტაქტი უნდა ჰქონდეს განწყვეტილი.

დეპუტატი, საკრებულოს წევრი იქნება თუ სახელმწიფო მოხელე, საკუთარი კომფორტის მოწყობაზე კი არა, ქალაქსა და ხალხზე უნდა ზრუნავდეს. ამაზე საუბრობს ყველა. ყველასთან ერთად ამას ვამბობდი მეც. მინდა, რეალურად გავაკეთო ეს ყველაფერი, ახლა უბრალოდ ცოტა დასვენება მჭირდება.

საკრებულო, არის უწყება, სადაც წლების განმავლობაში მოვლენები „ცისფერი მთების“ სცენარით ვითარდებოდა და მისი წევრები 350%-იან პრემიებს ინერდენ. ყოველი არჩევნების წინ თუ შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ვილაც პრემიას არ გამოიწერს, ვილაც სახელმწიფო რესურსით არ ისარგებლებს. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი საკრებულოში, სადაც შეიძლება ასეთი პრეცედენტები დაიშვას?

ასეთი პრეცედენტები არ უნდა დავუშვათ. საკრებულო რეალურად თავის ფუნქციას თითქმის არ ასრულებდა. 2006-2010 წლების მოწვევის საკრებულო ერთმნიშვნელოვნად „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული და მათი საქმიანობა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილისა და გიგი უგულავას იდეებისთვის ბეჭდის დარტყმით შემოიფარგლებოდა.

შემდგომი მოწვევის შემადგენლობა იმდენად გაერთო ამ პარტიული

კინკლაობით, რომ თავისი ფუნქცია დაავიწყდა და ეგონა, რომ ყველაზე მთავარი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაპირისპირება და პრემიების გამოწერა იყო. საკრებულო პარტიული კინკლაობის ასპარეზი არ არის. ეს ქალაქის სამსახურში მდგომი დაწესებულებაა. სამარცხვინოა ის, რაც ხდებოდა. ბიუჯეტის ფულით ქველმოქმედება და „კაიტიპობა“ არ გამიგია. ჩემი აზრით, პრემიების ამ ბაკქანალიას და იმ გუნდს ხალხმა თავისი სახელი დაარქვა.

შეიძლება ვილაცებმა პრემიები აიღონ, მე ამას არ ვაპირებ, მაგრამ რა არის პრემიის არსი? ვილაცამ შეიძლება კიდევ იშრომა ისე, რომ

■ საკრებულო პარტიული კინკლაობის ასპარეზი არ არის. ეს ქალაქის სამსახურში მდგომი დაწესებულებაა. სამარცხვინოა ის, რაც ხდებოდა. ბიუჯეტის ფულით ქველმოქმედება და „კაიტიპობა“ არ გამიგია. ჩემი აზრით, პრემიების ამ ბაკქანალიას და იმ გუნდს ხალხმა თავისი სახელი დაარქვა.

წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ პრემია მიიღოს. საკრებულოში გაკეთებული ერთი საქმე გამახსენეთ, მით უფრო ისეთი, რის გამოც ვინმე პრემიას იმსახურებდეს! საქმეს თუ აკეთებდნენ, ამისთვის ხელფასი ჰქონდათ დანიშნული.

საკრებულომ უნდა დაიბრუნოს თავისი ფუნქცია. წინასწარჩევნო შეხვედრებზე ხალხს არწმუნებდნენ, თქვენი პრობლემების მოსაგვარებლად მოვდივართო. აჰა, ბურთი და აჰა, მოედანი.

შესაძლოა ახალი შემადგენლობიდან პირადად მე ვილაცისთვის აუტანელი პიროვნება ვიყო, ვილაცისთვის სასურველი, მაგრამ ასეთ ბაკქანალიას გასაქანს არ მივცემ. პირველივე ჩემი ინიციატივა, რომელსაც ახლა ვამუშავებ, პერსონალურ მანქანებზე უარის თქმაა. ჰყავდეს საკრებულოს ავტობარკი, მაგრამ მისი გამოყენება მხოლოდ საჭიროების მიხედვით ხდებოდეს. ეს ხარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას მოგვცემს და ამდენი ფული აღარ გაიფლანგება.

ცოტა ხანში თბილისს ახალი მერი ეყოლება.

ვინც ქალაქისთვის სასარგებლო საქმეს გააკეთებს, მე არც მის მხარდაჭერას ვითაკილებ და არც მის გვერდით დგომას. გიგი უგულავაც კი შემეჩია, როცა მან ლევთახევი გახსნა, რის შედეგადაც აბანო-თუბნის უკან ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის მანძილზე ბეტონის კოლექტორში ჩაკეტილი მდინარე ნაკვისსწყალი გამოჩნდა. გაკეთდა ჩანჩქერამდე მისასვლელიც, თუმცა ისე, როგორც სჩვეოდათ, ფართხა-ფურთხით, ხელახლა რომ გახდა გასაკეთებელი. მომეწონა ეს საქმე და ამაზე ღიად ვსაუბრობდი ჩემს სტატიაში „აფერუმ მერიას“, მიუხედავად იმისა, რომ უგულავა ჩემთვის კორუფციის ფორმულაა. ამ სტატიასთან დაკავშირებით მერიიდან დამირეკეს და მკითხეს, გულწრფელად აქვთ თუ ფარულად სხვა რამეს გულისხმობთ?!

ჩვენთან ასეთი სტერეოტიპიც არსებობს, რაც განსაკუთრებით „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაამყარა – თუკი ოპოზიციონერი კრიტიკულადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ, ეს მის სიძულვილს უნდა ნიშნავდეს, შენი ქმედებები ზიზღით, სიძულვილით უნდა იყოს ნაკარნახევი და ერთი სული უნდა გქონდეს, რომ დაამხო, ციხეში ჩასვა. ნორმა-

ლურ ქვეყანაში ოპოზიციაში ყოფნა სულ სხვა რამეს ნიშნავს – არ მისცე ხელისუფლებას შეცდომის საშუალება, რადგან საერთო ჯამში ორივე ერთ მიზანს – ქვეყნისა და ქალაქის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს.

აი, ამისთვის მივდივარ საკრებულოში, რომ შეცდომების უფლება არ მივცე. თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ კარგი იდეა ექნება, არ მომერიდება და ვიტყვი – მხარს ვუჭერ-მეთქი; თუ „ქართულ ოცნებას“ ექნება – ორი ხელით დავეთანხმები. ვითანამშრომლებ ყველასთან, ვისგანაც ქალაქისთვის სასარგებლო იდეას მოვისმენ.

საკრებულოს სხვა წევრებისგან განსხვავებით, არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად იყრიდით კენჭს. პოლიტიკური „ზურგის“ არქონის გამო ხომ არ შეგექმნებათ სირთულეები ინიციატივების გატანასთან დაკავშირებით?

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემს ზურგს უკან ხალხი დგას. საბურთალოს ამომრჩევლებმა მხარი დამიჭირეს და მანდატი მომანიჭეს. საკრებულოში მოხვედრილი სხვა პარტიების წარმომადგენლებიც ხალხის მხარდაჭერით მოხვდნენ იქ – კარდაკარ დადიოდნენ და ესაუბრებოდნენ მოსახლეობას.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ რომ იცის ხალხის ძალა, ცოდნაც მასეთი უნდა – 2012 წელს ხალხის აქტივობით დაკარგეს ხელისუფლება. „ქართულმა ოცნებამ“ ახლა იგრძნო რას ნიშნავს ხალხი, როგორ არ შეიძლება მათი უგულვებელყოფა – აი, ასე, გაერთობი ციკნის მწვადებითა და შავი ჯიპებით და საყოველთაო ზემოთ მოსულ ხელისუფლებას მეორე ტური სახვეწარი გაგიხდება.

ხალხმა მაჟორიტარებიც ისევე აირჩია, როგორც მე. ამიტომ მიმაჩნია, რომ თანაბარ მდგომარეობაში ვართ. ისე არ არის, რომ მარტო საბურთალოზე მიჭერდნენ მხარს და სხვაგან – არა. ეს ყველამ კარგად იცის, ჩემს ზურგს უკან ათასობით საბურთალოელი ამომრჩეველი დგას,

ჩემი ამომრჩევლებიც და ისინიც, ვინც არჩევნებზე მხარი არ დამიჭირეს. დიდი გეგმები მაქვს, თუ როგორ უნდა ვითანამშრომლო მათთან კარგი საქმეების საკეთებლად.

■ ჩემი მიზანია, ქალაქს ჰქონდეს გენგეგმა, იზოდრომზე გავაშენოთ პარკი, არ გაიჩეხოს ინფექციურის ეზო, ისევე როგორც სკვერი ზაქარიაძისა და ასათიანის კუთხეში; 1927 წელს აშენებული ზოოპარკი გადავიტანოთ უფრო დიდ და უსაფრთხო სივრცეში – დღეს პირდაპირ სამანქანო გზიდან შეიძლება ვოლიერში მოხვედრა, გარდა ამისა, იქ საშინელი სუნი დგას; მოწესრიგდეს საცობები, ქალაქში დაიდგას საზოგადოებრივი საპირფარეშოები, შეიცვალოს ზონალური შეთანხმება, რომლითაც გიგი უგულავამ უკანონობა დააკანონა – გადაიხდიდი თანხას და ააშენებდი იმხელა შენობას, რამხელაც გინდოდა, ასეთი იდეებით გამოვალ და მარტო როგორ ვიქნები, რატომ უნდა წავიდნენ ამის წინააღმდეგ?!

გარდა ამისა, „ნაციონალურ მოძრაობაშიც“, „ქართულ ოცნებაშიც“, ბურჯანაძის პარტიაშიც მეგულებიან თანამოაზრეები. ასევე, ინიციატი-

ვები არ იქნება ჩემს კომფორტზე ორიენტირებული. ყველას შეიძლება შეეშალოს, მათ შორის მეც, მაგრამ, ვფიქრობ, ჭკუათმყოფელი, ქვეყნისა და ქალაქის სიყვარულით მათ არ შეენიანაღმდეგება, ან ამით თვითლუსტრაციას მოახდენს. საკრებულოს რომ პერსონალური ავტოპარკი არ ჰქონდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ კომისიის, ფრაქციის, საკრებულოს თავმჯდომარეები და მოადგილეები მანქანით აგარაკებზე ვერ ისეირნებენ და ბაზარში ოჯახის წევრებს ვერ ატარებენ. ამაში იხარჯებოდა სახელმწიფოს რესურსი, ამიტომ იქმნებოდა ფრაქციები – „ნაციონალურ მოძრაობას“ შვიდი ფრაქცია ჰქონდა, „ქართულ ოცნებას“ – ხუთი, რადგან სამკაცრიანი ფრაქციის თავმჯდომარეს მანქანა ემსახურება. ხომ საინტერესოა, ვინ წავა ამის წინააღმდეგ? ეს დაზოგავს ფულს, დაამსხვრევს დეპუტატობის და ფრაქციის თავმჯდომარეობის სტერეოტიპს და ხალხის სამსახურში ჩააყენებს მათ – იარონ ფეხით, საქმეზე კი – მანქანით.

საჭიროა „სი-ტი პარკ“-ის კონტრაქტის გაუქმება. ამბობენ პოპულისტები ხარო, მაგრამ, ჩემი აზრით, იმით, რომ ეს არის ბანდიტური ორგანიზაცია, რომელიც ქალაქში პარკინგის მოწესრიგების ნაცვლად მძღოლების ძარცვაზეა ორიენტირებული, ვამბობ ყველას სათქმელს, სიმართლეს.

ამაზე მეტყველებს ყველაფერი – როგორ შეიძლება ტროტუარი, ჩემი სივრცე, ფეხით მავალის სივრცე დახაზო და სადგომად გადააკეთო?! რატომ არ არის მოწყობილი ნორმალური სადგომები და, ყველაფრის თავი და თავი, რატომაა კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება 7 წლის მანძილზე გასაიდუმლოებული? რა კომპანიაა ასეთი, ატომურ ბომბებს ამზადებენ თუ პარკინგის მოწესრიგებაზე არიან პასუხისმგებლები? მაქვს ინიციატივა, რომ გაუქმდეს მიმდინარე კონტრაქტი, გამოცხადდეს ახალი ტენდერი ადამიანური პირობებით და ერთად

შევარჩიოთ ისეთი კომპანია, რომელსაც გავაკონტროლებთ, რათა „სი-ტი პარკით“ არ „გაუტისო“.

ჩემი მიზანია, ქალაქს ჰქონდეს გენგეგმა, იპოდრომზე გავაშენოთ პარკი, არ გაიჩეხოს ინფექციურის ეზო, ისევე როგორც სკვერი ზაქარიაძისა და ასათიანის კუთხეში; 1927 წელს აშენებული ზოოპარკი გადავიტანოთ უფრო დიდ და უსაფრთხო სივრცეში – დღეს პირდაპირ სამანქანო გზიდან შეიძლება ვოლიერში მოხვედრა, გარდა ამისა, იქ საშინელი სუნი დგას; მონესრიგდეს საცობები, ქალაქში დაიდგას საზოგადოებრივი საპირფარეშოები, შეიცვალოს ზონალური შეთანხმება, რომლითაც გიგი უგულავამ უკანონობა დააკანონა – გადაიხდოდა თანხას და ააშენებდა იმხელა შენობას, რამხელაც გინდოდა, ასეთი იდეებით გამოვალ და მარტო როგორ ვიქნები, რატომ უნდა წავიდნენ ამის წინააღმდეგ?!

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, სხვადასხვა მონვევის საკრებულოში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არცთუ იშვიათად წარმოდგენა არ ჰქონდათ ქალაქსა და მის საჭიროებებზე...

მე და ჩემმა მეგობრებმა 2006 წელს შევექმენით არასამთავრობო ორგანიზაცია „ტიფლის ჰამქარი“ სლოგანით – „ერთად ვიზრუნოთ ქალაქზე“, ალალი და უსაყვედურო იყოს, ვინც ეს სლოგანი გამოიყენა, ოღონდ ქალაქზე იზრუნონ და სხვა სლოგანსაც დაუფუნონ. ჰამქარის – თბილისზე მზრუნველთა გაერთიანების დაარსებისას ვფიქრობდით, რომ სულაც არ იყო აუცილებელი ხელისუფლებაში ყოფნა და რიგით მოქალაქესაც შეეძლო კარგი საქმეების კეთება – დასუფთავების აქცია, გამოფენა, საჭიროებისამებრ საპროტესტო აქცია და ა.შ. მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ გარედან მეტის შეცვლა შეუძლებელი იყო და შიდა ურბანული ინსტრუმენტების ხელში აღება იყო საჭირო.

გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: რაც არ უნდა კარგად შეისწავლო და იკვლიო თბილისის მოყვარულმა, მას უფრო კარგი, კვალიფიციური სპეციალისტები ჰყავს. ამ ადამიანების აზრი დაკარგული იყო და, შესაბამისად, ქალაქში ჩარევა მექანიკურად ხდებოდა.

ეს პრაქტიკა წარსულს უნდა ჩაჰბარდეს, პრობლემების მოსაგვარებლად სხვანაირი რეგულაციაა საჭირო, აუცილებელია კვალიფიციური, პროფესიონალი ადამიანების აზრის გათვალისწინება, მათი რჩევებისა და რეკომენდაციების მიღება. ჩემს ერთ-ერთ ფუნქციად იმასაც ვხედავ, რომ ასეთი ადამიანების ხმა, რომელთა ცოდნა და გამოცდი-

■ „თბილისობა“ უხეში, ყურით მოთრეული, მწვადის ჭამასთან ასოცირებული მოვლენაა, რომელსაც მოგვიანებით ყურძნის დანურვაც მიაბეს, რაც თბილისთან არანაირ კავშირში არ არის, რადგან ქალაქში ყოველთვის მზა ღვინო შემოდის. „თბილისობის“ ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ხალხი უბრალოდ მომხმარებლის როლშია, ქვეყნდება პროგრამა და სულ ესაა, არანაირი თანამონაწილეობა.

ლება დაკარგული იყო, მძლავრად გაჟღერდეს საკრებულოში, რადგან საკრებულოში მაინც პოლიტიკოსებს ირჩევენ, ხოლო პოლიტიკოსებმა პროფესიონალთა ცოდნა უნდა გამოიყენონ.

კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა წლიდან-წლამდე უარესდება...

ჩემი საკრებულოში შესვლის ერთ-

ერთი მიზეზი ისიც არის, რომ, როცა იბრძვი იმელის შენობისთვის, გუდიაშვილის მოედნისთვის, ამასობაში საკრებულოში, რომელიც დაზგას ჰყავს, ათობით ისეთ გადანყვეტილებას ბეჭდავენ, რომელთა წინააღმდეგ წასვლასაც ვეღარ აუდიხარ, ამიტომაც გადავწყვიტე, იქ შევჩერო პროცესი, სადაც საქმე ფუჭდება.

ბევრი რამ გამოუსწორებლად გაფუჭდა, თუმცა არის რაღაცები, რის გამოსწორებაც შესაძლებელია, მთავარია, პროცესი შეჩერდეს. ამ პრობლემას მასშტაბურად უნდა შევხედოთ, მასშტაბურად უნდა შევხედოთ ისტორიულ ქალაქს, ისევე, როგორც ზოგადად ქალაქს მთლიანობაში.

შემთხვევით აქ არც ხე დგას, არც შენობა და არც მიწისქვეშა კომუნიკაციაა გაყვანილი, ყველაფერი ერთმანეთს ემსახურება და ერთის მორყევა დანარჩენის პარალიზებას იწვევს. მაგალითად ქალაქში გაფუჭებულია ერთ-ერთი სანიაღვრე სისტემა, რომელსაც ვერავინ ხედავს, თუმცა საკმარისია წვიმის მოსვლა და ამას ყველა ვგრძნობთ.

ისტორიული ქალაქი მოსაწესრიგებელია. ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. აქამდე საქმე კორუფციული ინტერესის, ან კერძო პირების ხუშტურების გამო არ კეთდებოდა. აღმაშენებლის გამაზირის რეაბილიტაციისთვის უზარმაზარი ფული „გავისროლეთ“, გაკეთების ნაცვლად კი საქმე გაფუჭდა. შეიძლებოდა ამ ფულის გაცილებით რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება.

ეს გზა თითქმის ყველა ევროპულ ისტორიულ ქალაქს გავლილი აქვს – ისტორიულ ქალაქში შენობები მძიმე მდგომარეობაშია და ამ შენობებში ძირითადად ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობს – ეს მოცემულობა ყველგან იყო და ყველამ მონახა გამოსავალი. არსებობს სხვადასხვა მეთოდი, ჩვენ ეს შემუშავებული გვქონდა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კულტურის სამინისტროს ჰოლანდიელი ექსპერტები ჩამოვაყვანილეთ. კულტურის, ისევე

როგორც ეკონომიკის სამინისტრო-ები ცალკე პრობლემაა. ამ ექსპერტებმა კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმა შეიმუშავეს. ამ გეგმის პარალელურად არსებობს ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა – ძველი თბილისის კონსტიტუცია, 2007 წელს მომზადებული სერიოზული დოკუმენტი, რომელიც გიგი უგულავამ თავის დროზე თაროზე შემოიღო. მას უბრალოდ განახლება სჭირდება, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გავყვეთ მას და განვაერთა-როთ.

რაც შეეხება ძეგლის სტატუსს, აქამდე ასე იყო – ვინც ძეგლის სტატუსის მქონე შენობაში ცხოვრობდა, ვერაფერს აკეთებდა, შესაბამისად შენობის მდგომარეობა დღითიდღე მძიმდებოდა, რაც არც-თუ იშვიათად ნგრევით სრულდებოდა. ამ მოსახლეებს სახელმწიფო განუმარტავდა, რომ ძეგლის სტატუსის მქონე შენობასთან მიმართებაში ვერაფერს გააკეთებდა და ეს ვირემშაკური პოზიცია გამონევეული იყო იმით, რომ შენობის დანგრევას ელოდებოდნენ, რათა შემდეგ სახელმწიფოს იაფად გამოესყიდა, ანუ გეტოს მიდგომა ჰქონდათ. ეს უნდა შეიცვალოს, ასეთ საკითხებს გლობალურად უნდა მივუდგეთ, საქმე გულითა და სიყვარულით უნდა ვაკეთოთ და ძეგლი არ უნდა აღვიქვათ, როგორც მინის ნაკვეთი, სადაც კორპუსებს ავაშენებთ, როგორც გუდიაშვილს უყურებდნენ. ეს გეგმა ჩვენ მზად გვაქვს და ისტორიულ ქალაქთან მიმართებაში მას გავყვებით. აღნიშნული გეგმა მერობის ყველა კანდიდატს გავუგზავნეთ გამოსაყენებლად.

„თბილისობა“ და ფესტივალები ქალაქში...

„თბილისობა“ უხეში, ყურით მორთული, მწვადის ქამასთან ასოცირებული მოვლენაა, რომელსაც მოგვიანებით ყურძნის დანურვაც მიაბეს, რაც თბილისთან არანაირ კავშირში არ არის, რადგან ქალაქში ყოველთვის მზა ლვინო შემოდიო-

და. „თბილისობის“ ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ხალხი უბრალოდ მომხმარებლის როლშია, ქვეყნდება პროგრამა და სულ ესაა, არანაირი თანამონაწილეობა.

თბილისის ჰქონდა ტრადიციული ათასწლოვანი ფესტივალი – „ყეენობა“. ამ ურბანული დღესასწაულის მთელი ემში იმაში მდგომარეობდა, რომ მასში მთელი ქალაქი მონაწილეობდა. ერთ-ერთ ფოტოზე „ყეენობის“ მონაწილე ილია ჭავჭავაძეც

■ ვოცნებობ თანამონაწილეობით ქალაქზე, რადგან ხალხმა ყველაზე უკეთ იცის, რა უნდა. მაგალითად, გერმანიის ზოგიერთ ქალაქში ასეთი ნესი არსებობს - სკვერის გაშენებისას ბილიკები არ გაჰყავთ, მოსახლეობა რომ გაკვალავს, იმ გაკვალულზე აგებენ ბილიკს. ჩვენთან თუ დააკვირდებით, ნებისმიერ პარკში ბილიკები თავისთვისაა, ადამიანები თავისთვის დადიან, ხალხმა იცის, რა უფრო მოსახერხებელია, როდესაც მათ ფეხის ხმას ყურს უგდებ, აი სწორედ ესაა თანამონაწილეობა.

არის დაფიქსირებული. გუდიაშვილის ბაღში გამართულ ე.წ. „მინიფესტი“ , ის მომწონდა, რომ ხალხი თავად ქმნიდა ფესტივალს: ზოგი წიგნებს ყიდდა, ზოგი ბუშტებს ბერავდა, ზოგი რას შვებოდა, ზოგიც – რას. ჩვენ მაშინ ერთად შევქმენით ფესტივალი და „ყეენობაც“ სწორედ ასეთი თანამონაწილეობითი ფესტი-

ვალი იყო. რამდენჯერმე გვექონდა ამის აღდგენის მცდელობა, მაგრამ არ გამოვიდა.

ვოცნებობ თანამონაწილეობით ქალაქზე, რადგან ხალხმა ყველაზე უკეთ იცის, რა უნდა. მაგალითად, გერმანიის ზოგიერთ ქალაქში ასეთი ნესი არსებობს – სკვერის გაშენებისას ბილიკები არ გაჰყავთ, მოსახლეობა რომ გაკვალავს, იმ გაკვალულზე აგებენ ბილიკს. ჩვენთან თუ დააკვირდებით, ნებისმიერ პარკში ბილიკები თავისთვისაა, ადამიანები თავისთვის დადიან, ხალხმა იცის, რა უფრო მოსახერხებელია, როდესაც მათ ფეხის ხმას ყურს უგდებ, აი სწორედ ესაა თანამონაწილეობა.

გამწვანების პრობლემა, სკვერებისა და პარკების გაჩეხვა...

ვფიქრობ, ქალაქმა უნდა შექმნას ფონდი, რათა გაყიდული შიდა ეზოები, ან ის ტერიტორია, რომელიც პარკის სტატუსის შეცვლის შემდეგ გაასხვისეს, მფლობელებისგან გამოვისყიდოთ და უკან დავიბრუნოთ. ამას სხვანაირად ვერ მივალწევთ. „ნართმევეები“ რომ განახლდეს, ამით ისევ სააკაშვილის ეპოქაში დავბრუნდებით.

ჩვენი ქალაქი ჩვენ თვითონ უნდა დავიბრუნოთ. თუმცა ასეთი არეალების გამოსასყიდად თანხა ბიუჯეტიდანაც უნდა გამოიყოს, რათა შემდეგ ჩვენივე ხელით გავაშენოთ პარკები. ასევე, გასათვალისწინებელია მეორე ფაქტორიც – როგორც მთაში არსებობს ხატის ტყეები, რომლებიც ხელშეუხებელია, ასევე უნდა იყოს ქალაქშიც. ხატის ტყეებად უნდა გამოვაცხადოთ ჩვენი მწვანე არეალი. ორი ხეც რომ იდგას, ის წმინდა ადგილი უნდა იყოს.

დაბინძურებული მტკვარი – მდინარე როგორც გამოუყენებელი რესურსი...

ჩემი აზრით, მტკვრის საკითხი შემდგომი ეტაპისაა, რადგან ზოგიერთი პრობლემა ისეთია, პირდაპირ გახრჩობს, თუმცა მტკვართან

დაკავშირებით მუშაობა დღესვე უნდა დაიწყოთ.

მდინარესთან მიმართებაში ორი მომენტი: პირველი ის, რაც ბერია მდინარე, კანდიდ ჩარკვიანმა გააგრძელა და შემდეგ შევარდნაძემაც. ქალაქს სანაპიროს გასწვრივ ორი მაგისტრალი რომ არ ჰქონდეს, მოძრაობა შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა მეორე საკითხია ის, რაც ამ პროცესმა გააფუჭა – ადრე ქალაქი პირდაპირ ურთიერთობდა მტკვართან, ყოველგვარი პოეტური პათეტიკის გარეშე, აივნები მტკვარზე იყო გადაკიდული და მდინარესთან პირდაპირი, ძალიან უშუალო ინტერაქცია გვექონდა. მტკვარი რომ დაბეტონდა, მისკენ თითქმის აღარაფერი იხედება, ქალაქმა მდინარეს ზურგი აქცია და მტკვარი მას მოსწყდა.

მტკვართან ურთიერთობა უნდა განახლდეს, სხვაგვარად შეუძლებელია – გვაქვს მდინარე, რომელიც ყველამ დაივიწყა. დღეს ის ერთი აყროლებული სითხეა. არ შეიძლება

შუა ქალაქში მდინარეს სამარცხვინო მიზეზის გამო სუნი ასდიოდეს. მტკვარი უნდა დავიბრუნოთ და მტკვარს უნდა დავეუბრუნდეთ. დღეს ამაზე ფიქრი აუცილებელია, უბრალოდ ეს ხვალინდელი და ზეგინდელი პერსპექტივაა, ისევე, როგორც ველოსიპედების ქალაქი. დღეისათვის იმ ტიპის სამარცხვინო პრობლემები გვაქვს, როგორებიცაა საზოგადოებრივი საპირფარეშოებისა და ნორმალური, ეკოლოგიურად სუფთა, ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა.

ქალაქისთვის ავტენტური სხვადასხვა დეტალი, რომელთა ნაწილი ძველმანების ბაზრობაზე იყიდება, ან საერთოდ იკარგება...

ჩემი ყველაზე დიდი ოცნება თბილისის შეგროვება და ექსპონირებაა. ვხედავ როგორ ქრება ქალაქი და არ მინდა, რომ ის თბილისი, რომელიც მიყვარს, მხოლოდ ფოტოებსა და საცავეებს შემორჩეს.

სამწუხაროა, რომ არ გვაქვს ნორმალური მუზეუმი, სადაც შეხვალ და გაიგებ ქალაქის ისტორიას, არადა – გვაქვს შენობა, ფონდებში არსებობს მასალა, თუმცა ყველაფერი უთავბოლოდაა გაკეთებული.

უკვე არაერთი ნივთი გვაქვს სახლებში, როგორც მე, ისე „ტიფლისის ჰამქრის“ სხვა წევრებს და ასევე არაერთი ადამიანი მეგულება, რომელიც სახლში ინახავს თბილისის იმ „დეტალებს“, რომლებსაც დაკარგვა და გაქრობა ემუქრებოდა. ერთი სული გვაქვს, შევექმნათ სივრცე, სადაც ასეთი ნივთების ექსპონირება იქნება შესაძლებელი. ჩემი ოცნებაა, თბილისთან დაკავშირებული მუზეუმის შექმნა, ან არსებული მუზეუმის გადაკეთება, მაგრამ ჯერჯერობით „ვეშაპ“ საქმეებს უნდა შევეჭიდო: დღის წესრიგში ჯერ პრემიები, მანქანები და „სი-ტი პარკია“.

ესაუბრა გიორგი ქვიშვილი

RadioCommerciant

ბიზნესის პერსონალური რადიო



ბაიბა, როგორ გახდე წარმატებული

“ჯანსაღი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთად”, – თქვენ უსმენთ ყოველდღიურ რჩევებს წარმატებული ადამიანებისგან, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი დილა იმისთვის, რომ დღის ბოლოს ის წარმატებულად ჩაითვალოს.

გადაცემის ყოველდღიური სტუმრები ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან და საკუთარ რჩევებს რადიო კომერსანტის მსმენელს უზიარებენ.

ისინი იწყებენ საქმიანობას ადრე დილით, ადგენენ გეგმებს და ანაწილებენ დროს პროდუქტიულად. მსმენელი იღებს პასუხს კითხვებზე, საქმიანობის პირველ საათთან დაკავშირებით.

ყოველ დილით, რადიო კომერსანტის ეთერით, გაიგებ ჯანსაღი ცხოვრების მარტივი წესი, როგორ დავეხმაროთ გონებას და სხეულს აქტიურად მუშაობისთვის.

„ჯანსაღი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთად“

ყოველდღე 09:45. 11:45 საათზე

FM 95.5 სიხშირეზე, - გადაცემა თქვენი წარმატებისთვის!

marketing@commerciant.ge

+995 32 2505 955

Commerciant.ge



ჩანსი მოხვდება თუ არა საქართველოსთვის?

იხე მოხდა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეწყობამდე და მას შემდეგაც, ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ინტერაგდა საქართველოს დელეგაციის შემადგენლობის საკითხი განიხილებოდა და განიხილება, ანუ ის ფაქტი, რომ დელეგაციას, დეპუტატ თინა ხიდაშელის გამოითქმა რომ გამოვიყენოთ, „ხელისშემოქმედდაც“ კი არ ახლდა საქართველოს პრეზიდენტი. ეს თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხია, ამაზე უკვე მრავალი იტყვა და დაინერა, რასაც ვერ ვიტყვით თავად შეთანხმების მინარასობრივ ასპექტებზე.

ზურაბ ვარდიაშვილი

ყველაფერი იხე გაფორმდა, როგორც დღის საზოგადოებრივი განწყობის შედეგები და ლექსებ-ბურჯის მიედანვე ევროკავშირისა და საქართველოს დროშები იყო გამოქვეყნდა. დამოუკიდებლობის საქართველოს შესახებ ინფორმაციის ამოკითხვა საინფორმაციო და მხარდასაჭერად შედეგად... - 27 ივნისს,

ბრიუსელში, საზოგადოებრივად, საქართველომ, კერძოდ კი ქვეყნის პრეზიდენტის ირაკლი ლარიაშვილმა, ევროპასთან ასოცირების შეთანხმებას ხელს მოწერა.

იმევე საღამოს, თბილისში, ძალაში იქნა აღიარებული თანამშრომლობით არაუპრობლემატურად გადაწყვეტილი ევროპის მიერ ევროპასთან



ასოცირებას სპეციალური კონცერტით შედეგად, რომელზეც დაიცვის არაადეკვატურად საგანგებო ზომები იყო მიღებული. იყო სიტყვით განხილვები, საიდან არიები, ფოლკლორი, პიში, ფორმირდები... ეს ის დროა, როდესაც ბაუშუმი ვერ კიდევ არ გაქვითი ღარიბაშვილის ხელშეწყობით დამშვენებული ტორტი...

ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის მოლაპარაკებები ვერ კიდევ 2010 წლის ივლისში დაიწყო და 15 პულნარული სესიის, 6 რაუნდისა და 100-მდე ვიდეოკონფერენციის შემდეგ, 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთი პარტნიორობის ევროპის ფარგლებში, პარიზში, ანუ მხარეთა ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვ.

DC FTA-ს უზრუნველყოფის საქართველოს ეკონომიკის სფეროს მარკეტულიზაციის განხორციელების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და აღმნიშვნალების მექანიზმების დანერგვა.

ასოცირების შეთანხმებას ოფიციალურად ასოცირების შესახებ შეთანხმება, ღარიბაშვილის

მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს, და შორეულ მხრე საქართველოს შორის" ეწოდება. ეს შეთანხმება მოიცავს არა მხოლოდ ისეთ სფეროებს, რომლებზეც კომპეტენციას ევროკავშირი ექსკლუზიურად ფლობს, არამედ ისეთებსაც რომლებზეც კომპეტენციას წევრ სახელმწიფოებთან ინანილებს, სწორედ ამიტომ გამოდინა ეს უკანასკნელი მხარეებზე ევროკავშირთან ერთად. ევროპის ატომური გაერთიანება – ფრაგმენტი, კი ის სუბიექტია, რომელმაც ცალკე სამართლებრივი სტატუსი ევროკავშირის ჩამოყალიბების შემდეგ შეინარჩუნა, და ვინაიდან ასოცირების შეთანხმება მის კომპეტენციებში შეხვედრის საკითხებსაც მოიცავს, ამიტომაც იგი შეთანხმების კიდევ ერთი მხარეა.

შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან დაახლოების გულისხმობს. ის პარიზში 3 ნაწილად შედგენილია დაიცავს: 1. "პოლიტიკური თანამშრომლობა", 2. "დარგობრივი თანამშრომლობა" და 3. "რწმინდა და ყოველმხრივად თავისუფალი ვაჭრობის სფერო". დოკუმენტს თან ერთვის 4 ოქმი და 34 დანართი.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება" ჩაანაცვლებს 1996 წლის ხელშეწყობილ "პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას" (Partnership and Cooperation Agreement - PCA).

DC FTA

DC FTA - „Deep and Comprehensive Free Trade Area“ არეულობა და ყოველმხრივად თავისუფალი ვაჭრობის სფეროზე გულსმობის, როგორც საქართველო, ისე არასტაბილური პარიზების აღმოფხვრება, და ვაჭრობისთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს მოიცავს, როგორც ვაჭრობის სფეროში, პრედუქციის უსაფრთხოება, კონტრაქტების პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვ.

DC FTA-ს უზრუნველყოფის საქართველოს ეკონომიკის სფეროს მარკეტულიზაციის განხორციელების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და აღმნიშვნალების მექანიზმების დანერგვა.

DC FTA-ს ნარმატიული იმპლემენტაცია შესაძლებელს გახდის ეკონომიკური ზრდის

სახებ შეთანხმებაზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის მოლაპარაკებები ვერ კიდევ 2010 წლის ივლისში დაიწყო და 15 პულნარული სესიის, 6 რაუნდისა და 100-მდე ვიდეოკონფერენციის შემდეგ, 2013 წლის 29 ნოემბერს, აღმოსავლეთი პარტნიორობის ევროპის ფარგლებში, პარიზში, ანუ მხარეთა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და აღმნიშვნალების მექანიზმების დანერგვა.



■ უმცირესობათა უფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობათა დაახლოება და სხვა მრავალი სიკეთე, რაც სტატიაში არ გვისხენებია, უბრალოდ დეკლარირებული აქტები არ არის, ამას თან ახლავს იმპლემენტაციაში დახმარების მზადყოფნა. ევროკავშირი გაცხადებული მიზნების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური დახმარების ვალდებულებას იღებს.

სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში – 4,3%-ით; მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის – 9%-ით, ხოლო იმპორტის – 4,4%-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის – 12 %-ით, ხოლო იმპორტის 7,5%-ით ზრდას.

კონფლიქტები

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ თავდაპირველი პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მუხლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე, თუმცა მოგვიანებით მოლაპარაკებების შედეგად ეს მუხლიც გაჩნდა.

შეთანხმებაში აღნიშნულია ევროკავშირის ვალდებულება, მხარი დაუჭიროს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.

მითითებულია მხარეთა ვალდებულება, ევროკავშირთან საქართველოს მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი გავრცელდეს საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით.

ყურადღება ეთმობა კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება – როგორც მხარეთა შორის, ასევე, სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან – პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება.

მიზალიბერალიზაცია

დოკუმენტის მიხედვით, შეთანხმებამ ხელი უნდა შეუწყოს „მოქალაქეთა მობილურობას“, შესაბამის ეტაპზე კი უფიზო მიმოსვლის შემოღებას – „უსაფრთხო და კარგად მართულ გარემოში“.

თუმცა თავისთავად სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია დამოუკიდებელი პროცესია, და ის საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფორმატში მიმდინარეობს. ევროკავშირთან უფიზო რეჟიმის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ეფექტიანი შესრულებაა.

ევროკავშირის წევრ, შენგენის სივრცის ქვეყნებში უფიზო მიმოსვლა მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც წარმატებით განხორციელდება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, შეფასდება სავიზო რეჟიმის გაუქმების გავლენა და იარსებებს შესაბამისი პოლიტიკური გადანყვებილება.

განათლება და მიცნობა

შეთანხმება ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში საქართველოს დაახლოებას ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან, განსაკუთრებული აქცენტით უმაღლეს განათლებაზე.

უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება თანხვედრაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა“ (Modernisation Agenda for Higher Education) და ბოლონის პროცესთან.

გაძლიერდება თანამშრომლობა აკადემიურ სფეროში, რაც გულისხმობს, როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის გაზრდას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ასევე ევროპული გამოცდილების გაზიარებას კურიკულუმების შემუშავების, უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ადმინისტრირების ახალი მეთოდების დანერგვისა და სხვა საკითხებში; ასევე სტუდენტებისა და უნივერსი-

ტექტების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამების გაზრდასა და პარტნიორი ქვეყნების სტუდენტების მონაწილეობას ერთობლივ სამაგისტრო ხარისხის პროგრამების სრულ ციკლში.

დემოკრატიული რეფორმები

კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა, მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა... შეთანხმება ამ და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან სფეროებში გულისხმობს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

უმცირესობათა უფლებების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობათა დაახლოება და სხვა მრავალი სიკეთე, რაც სტატიაში არ გვიხსენებია, უბრალოდ დეკლარირებული აქტები არ არის, ამასთან ახლავს იმპლემენტაციაში დახმარების მზადყოფნა. ევროკავშირი გაცხადებული მიზნების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური დახმარების ვალდებულებას იღებს.

* * *

როგორ დაიწყო ერთიანი ევროპის ისტორია? პირველი ევროპული გაერთიანება წევრმა ქვეყნებმა სწორედ იმ პრობლემების მოსაგვარებლად შექმნეს, რაც საქართველოსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს დღეს აწუხებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, სამომავლოდ სისხლიანი ომების თავიდან ასაცილებლად გაერთიანებულიყვნენ. ყველაფერი იქაც ეკონომიკით დაიწყო. „ნახშირისა და ფოლადის ევროპული კავშირი“, რომელიც რამდენიმე წელში ევროპის ეკონომიკურ კავშირად იქცა, დამფუძნებელმა წევრებმა – ბელგიამ, გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა 1950 წელს შექმნეს.

საბჭოთა კავშირის მიერ დაწყებულმა ცივმა ომმა ეს ქვეყნები კიდევ უფრო დააკავშირა. 60-იან წლებში კი დასავლეთ ევროპაში გაღვივებულმა ახალგაზრდულმა მოძრაობამ კულტურულ რევოლუციას დაუდო სათავე. აქვე

ინყება ევროპელთა ისეთი თანამშრომლობა, რაც ჩვენთვის ახლა განსაკუთრებულად აქტუალურია.

გაერთიანებამ ევროპის ეკონომიკურ კავშირში შემავალი ქვეყნების სწრაფი მოდერნიზაცია გამოიწვია. ახალი ტექნოლოგიებით წარმოებულმა სოფლის მეურნეობამ, 60-იანი წლების მეორე ნახევარში წვერი ქვეყნები სურსათით სრულად უზრუნველყო და საჭიროზე მეტი პროდუქტიც კი შექმნა. ევროპაში არავინ უნდა შიმშილობდეს – ესეც იმდროინდელი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტენდენციაა.

60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანების დასაწყისში კავშირს საკუთარი ნებით დანია, ირლანდია და ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო შეუერთდნენ.

და მივადექით ფაქტებს, რაც საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა. 70-იან წლებში ორ სამხრეთევროპულ ქვეყანაში, რომელიც ჩვენს ქვეყანასთან გეოგრაფიულადაც და მენტალურადაც ახლოა, დასრულდა ავტორიტარული რეჟიმები. გენერალ ფრანკოსა და სალაზარის ფაშისტური დიქტატურებისაგან გათავისუფლებული ესპანეთისა და პორტუგალიის ეკონომიკური სტაბილურობა ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა 1974-1975 წლებში საკუთარ ამოცანად გამოაცხადა. ამ დროს ცენტრალური ქვეყნებიდან ამ ორი ჩამორჩენილი სამხრეთული ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ინვესტირებული უზარმაზარი თანხები ესპანეთისა და პორტუგალიის დღევანდელი ეკონომიკური წარმატების საფუძველია.

ამ დროიდან მოყოლებული ევროპის წამყვანი ქვეყნები ერთგულდებნენ პრინციპს – არ არსებობს სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოება ეკონომიკური სტაბილურობის გარეშე.

ევროკავშირი დღესაც სწორედ სამხედრო-პოლიტიკურ საფრთხეებს გრძნობს რუსეთიდან თუ შუა და ცენტრალური აზიიდან. შესაბამისად აქტუალურია ფორმულაც – ევროპისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობა საკუთარი უსაფრთხოების ჭრილში.

ზემოთქმულის მიუხედავად, ასოცირების შეთანხმების გაფორმება ევროკავშირში განევრების წინაპირობა არ არის, ამგვარი დათქმა არც ხელმოწერილ დოკუმენტში არსებობს. ამისთვის ქართულ საზოგადოებასა და ხელისუფლებებს წინ დიდ გზა უდევთ. ■



NATO სანახიოვანოში - სანოფათო იოებანსიუბა

„ვფიქრობ, რომ საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხი ნატო-ს მომდევნო სამიტის თემა არ იქნება“, – თქვა გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა ანგელა მერკელმა 2 ივნისს ბერლინში ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. საქართველოს ახალი პრემიერისთვის ეს პირველი დიდი საჯარო მარცხია საერთაშორისო არენაზე.

ირაკლი აბსანძე

MAP-ი ქართულ პოლიტიკაში უკვე კარიკატურაა. NATO-ს წევრობის სამოქმედო გეგმა, რომელიც ალიანსმა ჯერ თავად შემოგვთავაზა, შემდეგ კი, მასზე უკეთესის მოცემის პირობით, თვალსა და ხელს შუა აგვაცაღლა, ბოლო წლებში საქართველოს შიდაპოლიტიკაში სპეკულაციის საგნად იქცა. მისით ქულების ჩანერას ყველა ცდილობს – NATO-ში ინტეგრაციის მომხრეებიც და მონინააღმდეგეებიც. დოკუმენტი, რომელზეც ქართულ საზოგადოებას საკმაოდ ზოგადი წარმოდგენა აქვს, ქვეყნის დასავლური კურსის დადასტურების რუბიკონად და რუსულ-დასავლური ორიენტაციის დებატებში საჯილდაო ქვად ვაქციეთ.

ამაში რაღაც დოზით თავად ალიანსმაც ითამაშა. ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო ბლოკი საქართველოსთან მიმართებაში მკვეთრად გამოხატული ორმაგი სტანდარტით თამაშობს: გაფართოების საკითხში სკეპტიკურად განწყობილი წევრი ქვეყნებისთვის სხვა გზავნილები აქვს, ალიანსის კართან მომლოდინე ქვეყნის შიდა მოხმარებისთვის განკუთვნილ ოპტიმისტურ ფრაზებს კი ჯეიმს აპატურაის ახმოვანებინებს. საშუალო რგოლის ეს ჩინოვნიკი, რომელიც ქართული მედიისთვის უკვე რუტინულ რესპონდენტად იქცა, საშუალო სტატისტიკური ქართველისთვის NATO-ს განსხეულებად აღიქმება.

ის, რომ უელსის სამიტზე საქართველოსთვის MAP-ის მიცემის საკითხი პირველად გერმანიის კანცლერმა განმარტა, მასპინძელ ქვეყანაში ყველას არ მოსწონება. „ლიბერალმა“ იცის ამ საკითხზე საქართველოსთან დაკავშირებული ბრიტანელი დიპლომატის მოსაზრება. ის ამბობს, რომ, თუ MAP-ის მიცემის თემა სამიტამდე უნდა გამხდარიყო მსჯელობის საგანი, უპრიანი იქნებოდა, თუ ამას მასპინძელი ქვეყანა იზამდა. ამავე დიპლომატისგან „ლიბერალმა“ MAP-ის ჩამნაცვლებელი შემოთავაზებათა პაკეტის შესახებ ბრიუსელის მინისტერიალამდე შეიტყო.

ასეა თუ ისე, დღეს უკვე ყველამ ვიცით, რომ უელსში სექტემბერში MAP-ის არავინ შემოგვთავაზებს. რაც არ უნდა ერთხმად ამტკიცონ ქართველმა და დასავლელმა პოლიტიკოსებმა რომ MAP-ზე უკეთესზე უკეთესი პაკეტი შემუშავდეს, ფაქტი ფაქტად რჩება – 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის NATO-ში განევრიანების სამოქმედო გეგმის მიცემის დაპირება დე ფაქტო შეუსრულებელია. სულ უფრო მეტი დასავლელი ექსპერტი ამტკიცებს, რომ საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანება რეალური აღარ არის.

საკითხში უკეთ გასარკვევად შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის მოსაზრებები გავიხსენოთ. გერმანული საზოგადოებრივი მაუწყებლის, ZDF-სათვის მიცემულ ინტერვიუში კლინტონი ამერიკის პრეზიდენტობისთვის ბრძოლას არ გამოირიცხავს და ევროპას აქტიურობისკენ მოუწოდებს.

„ჩვენ ვიცით, რომ უდიდესი საფრთხე (რუსეთიდან) უშუალოდ ჩვენკენ არ არის მომართული. ცხადია, ჩვენ ინტერესითა და შემოფოთებით ვაკვირდებით, რა ხდება ევროპის გულში. გაზრობი რომ პოლონეთს გაზს გადაუკეტავს, ბულგარეთს დააშინებენ, რა თქმა უნდა, ჩვენი ზრუნვის საგანია. მაგრამ ევროპამ საკუთარ თავს უნდა ჰკითხო – რა იქნება შემდეგ? რა მოჰყვა საქართველოს 2 რეგიონის ანექსიას?

თავდაჯერებულად გრძნობ თავს, როცა საქართველოს 2 ნაწილი მიითვისე, თანაც ძალიან მნიშვნელოვან ადგილზე, შავი ზღვის სანაპიროზე, სოჭის სამხრეთით, სადაც ოლიმპიური თამაშების ჩატარებას აპირებ. მან (პუტინმა) ძალიან ბევრი იმუშავა იმისთვის, რომ ევროპა რუსულ გაზზე დამოკიდებული გაეხადა. ევროპელებმა კი ამის ნება დართეს და ზედმეტად შორს შევიდნენ ამ დამოკიდებულებაში. ალტერნატიული წყაროები არ უძებნიათ, არ უზრუნვიათ ახალი მილსადენებისთვის“, – უთხრა ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი

კლინტონმა ZDF-ის სთარ-მედერატორ კლაუს კლებერს.

ამავე ინტერვიუში საინტერესოა ალტერნატიული კლინტონის მიერ დანახული პუტინის ფენომენი:

„ვფიქრობ, მას დიდი რუსეთის აღდგენა უნდა და ამას, ძირითადად, მეზობელი ქვეყნების დაშინებაში მოიაზრებს. დიდი რუსეთის აღსაწერად ბევრი შესაძლებლობა არსებობს. მან ეს აირჩია. პუტინს ცენტრალურ აზიაში დომინანტობა უნდა. მას უნდა, რაც შეიძლება ბევრი ქვეყანა დაიბრუნოს თავის ევრაზიულ კავშირში და ევროპაში გავლენის სფეროები დაიბრუნოს. უნდა თავად გადაწყვიტოს, უკრაინა ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერს ხელს თუ არა – არა უკრაინის ხალხმა, არამედ თვითონ. ასეთი ძველმოდური მართვის პირობებში, რუსული დომინანტობის დიდი ისტორია 21-ე საუკუნეში უნდა გადმოიტანოს. ამას დამაჯერებლად და თანმიმდევრულად უნდა აღვუდგეთ წინ. ეს პირველ რიგში ევროპამ უნდა გააკეთოს. ... (ელცინის მმართველობაში) ევროპის ქვეყნებმა იფიქრეს, რომ რუსეთშიც ახალი ერი გაჩნდა, რომელსაც თანამედროვეობისთვის ფეხის აწყობა შეეძლო. თავად პუტინმა კი, როგორც ელცინის მემკვიდრემ, წლების განმავლობაში ცხადად დაგვანახა, რომ მას სხვა ხედვა ჰქონდა. ვფიქრობ, ევროპელებს ეს უფრო ადრე უნდა ეგრძნოთ. არც ერთმა ქვეყანამ არ უნდა დაუშვას, რომ საკუთარი ეკონომიკა და ენერჯია სხვაზე დამოკიდებული გახადოს“.


როგორც ჩანს, ეს ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულებაა. ჰილარი კლინტონს არ დაუმალავს, რომ ამერიკელები ნაწყენები არიან ევროპის ქვეყნების მორალისტური განცხადებებით, როცა შეერთებული შტატები რომელიმე უცხოურ ქვეყანაში სამხედრო ოპერაციას აწარმოებდნენ. თეთრხელთათმანიანი ევროპელები ამერიკის მიერ ნაკისრი „მსოფლიო პოლიციელის“ როლით კარგად ხეირობდნენ, მაგრამ სამხედრო მეთოდებს, ხშირად, მკაცრად აკრიტიკებდნენ.


მოკლედ, ამერიკა ევროპას გაა-

ქტიურებას ურჩევს და აგრძნობინებს, რომ აღარ აპირებს მათ მაგივრად შეასრულონ ბინძური სამუშაო. ამ ტენდენციას თუ დავაკვირდებით, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამერიკა საქართველოს NATO-ში განევრიანების ისეთივე ანთებული მომხრე აღარ არის, როგორც ეს 2008 წელს იყო. ეს პრეზიდენტმა ობამამ მარტის ბოლოს ღიადაც განაცხადა.

საქართველოს NATO-ში სრულფასოვანი ინტეგრაციის შემაფერხებელი მთავარი ფაქტორი ძველებურად რუსეთია. 2008 წლის თბილისში ომის შემდეგ 2 სეპარატისტული რეგიონის სრულად საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევით რუსეთმა საქართველოს NATO-ში განევრიანების საკითხზე არაფორმალური ვეტოს უფლება მოიპოვა. ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა აქვს, ალიანსში არავინ მიიღებს. ამავე სქემით ვეტოს უფლების მოპოვებას რუსეთი ახლა უკრაინაშიც ცდილობს.

ეს რთული ვითარება საქართველოს კიდევ ერთ სერიოზულ გამოწვევას უქმნის. NATO-ში ინტეგრაციის შეფერხება და რუსულ აგრესიაზე დასავლეთის არადამაჯერებელი, ლამის ცვედანი პასუხი ქვეყანაში ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს. ჩვენ პირდაპირ ეთერში ვადევნებთ თვალს, როგორ სამაგალითოდ სჯის რუსეთი უკრაინას მსხვილმასშტაბიანი ომით, როგორ იხოცებიან ადამიანები და როგორ არაფერს აკეთებს ამის წინააღმდეგ დასავლეთი – აშშ, ევროკავშირი და NATO. ევროკავშირმა პროდასავლური ქართველი პოლიტიკოსებისათვის სულ მცირე რამაც არ გააკეთა. NATO-თი იმედგაცრუებულ ქართველებს ევროკავშირისგან უფიზო მიმოსვლა რომ მიეღო მოლდოველებისავით, პოლიტიკოსებს ამომრჩეველთან სასაუბროდ დამაჯერებელ რიტორიკას შესძენდა.

ჯერჯერობით კი პროდასავლელი პოლიტიკოსები უსუსურ მდგომარეობაში არიან – მათ უნდათ დაგვარწმუნონ, რომ უელსის სამიტზე მისაღები უხერხემლო პაკეტი MAP-ზე უკეთესზე უკეთესია. 



მახშახაბი №X



© 2014 შურნალისტური გამოძიება

სამარშრუტო ტაქსების ფლოტი საბურთალოს რაიონში, 2014

რუსთავის მერიის მიერ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე გამოცხადებულ კონკურსში 26 მარტს შპს „ინტერ ტრანსმა“ გაიმარჯვა. კონკურსში „ინტერ ტრანსის“ ერთადერთი კონკურენტი „რუსთავის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმო“ იყო, რომელიც საჭირო დოკუმენტების მოუწოდებლობის გამო კონკურსს პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა, რუსთავი-თბილისის მარშრუტზე კონკურსის გამოცხადებამდე რვა შპს და ინდემნარმე მუშაობდა, სადაც 300-მდე მძღოლი იყო დასაქმებული. კონკურსსა და შემდგომ უკვე კონკურსის შედეგებს მძღოლები აქციებზე აპროტესტებდნენ.

ეს პროტესტი უკვე ხუთი თვეა გრძელდება. მათი მოთხოვნა უცვლელია, ისინი ტენდერის შედეგების გაუქმებას ითხოვენ და პროკურატურას კონკურსის საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდებენ. ვის ეკუთვნის „ინტერ ტრანსი“ და რა კავშირი აქვს მის მფლობელს პრემიერ-მინისტრის ნათესავთან?

თათია ხალანი, სოფო აფიკაურა

■ მძღოლები რუსთავის საკრებულოს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, სატრანსპორტო საშუალებების ტენდერში რუსთავი-თბილისის მარშრუტზე კომპანია „ინტერ ტრანსს“ საკრებულომ სანებართვო პირობების შესრულების ვადა ორი თვით გაუგრძელა. 25 მაისს იწურებოდა დრო, როდესაც კომპანიას კონკურსით გათვალისწინებული პირობები უნდა შესრულებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტენდერი უნდა გაუქმებულიყო. თუმცა საკრებულომ კომპანიას ეს ვადა 26 ივნისამდე გაუგრძელა.

აქციის დროს მძღოლებთან შეხვედრა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა მაიორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა გადარწმუნეს.

„ქართული ოცნების“ ოფისის საკონფერენციო დარბაზის გრძელ მაგიდის ერთ მხარეს რუსთავის სამარშრუტო ტაქსის მძღოლები სდგან, მეორე მხარეს – ადგილობრივი მაიორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. მაგიდის თავში კი კოალიციის თანამშრომელი, ე.წ. მომრეგებელი, რომელიც დისკუსიას უნდა წარმძღვს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე დაახლოებით 2 კვირაა დარჩენილი.

27 მაისს, რუსთავში „ქართული ოცნების“ ოფისის წინ რუსთავის სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებში შორეი აქციის მართავენ.

მძღოლები რუსთავის საკრებულოს განაწვევებულს აპროტესტებენ, რომლის მიხედვითაც, სატრანსპორტო საშუალებების ტენდერში რუსთავი-თბილისის მარშრუტზე კომპანია „ინტერ ტრანსს“ საკრებულომ სანებართვო პირობების შესრულების ვადა ორი თვით გაუგრძელა. 25 მაისს იწურებოდა დრო, როდესაც კომპანიას კონკურსით გათვალისწინებული პირობები უნდა შესრულებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტენდერი უნდა გაუქმებულიყო. თუმცა საკრებულომ კომპანიას ეს ვადა 26 ივნისამდე გაუგრძელა.

მოლაპარაკების მცდელობის დაწყების კოალიციის წევრებმა მძღოლებს სთხოვეს, რომ მივიწყებინათ საკუთარი პირობების შესახებ. მაგიდასთან მძღოლების 15-მდე წარმომადგენელი იჯდა. მათ შორის ერთ-ერთმა, ვასილ სულაშვილმა პოლიტიკოსებს საქმის ვითარება აუხსნა. მან ქრონოლოგიურად მოყვა, რატომ არიან მძღოლები კომპანია ინტერ ტრანსის“ რუსთავში შემოსვლის წინააღმდეგები. მძღოლები თქმით, გარდა იმისა, რომ ტენდერი არ უნდა ჩატარებულიყო, რადგან ადგილობრივ სატრანსპორტო ბაზარზე არსებულ დანაშაურზე რვა კომპანია გაქრულა უცქრება, სატენდერო პირობებით მძღოლების დასაქმება იყო გათვალისწინებული. მძღოლები

პარტიის წარმომადგენლებს უხსნიდნენ, რომ კომპანია ინტერ ტრანსსა“ ეს პირობა არ შესრულდა, არც შრომითი ხელშეკრულება წარმოდგინა ამ დრომდე, არც საკმარისი ავტომანქანები შეყვა. გარდა ამისა, როგორც მძღოლები ამბობენ, კომპანია მთავან ყოველდღიურად 75 ლარის გადახდას ითხოვდა, რაც, მათი თქმით, შეუძლებელია.

მძღოლებმა შეხვედრაზე თავიანთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაზეც ისაუბრეს და პარტიის წარმომადგენლებს დახმარება სთხოვეს. „ქართული ოცნების“ ადგილობრივმა წარმომადგენლებმა მძღოლებს მოუხსნეს და თქვეს, რომ საკითხი კარგად არ იკადრებდა და გასარკვევად დრო ითხოვენ.

მოლაპარაკება 27 მაისს მალევე დასრულდა, თუმცა გამოსულმა მძღოლებმა თქვეს, რომ უშედეგო იყო და ისინი ტენდერის გასაუქმებლად დავას მერიასთან გადაცემულდნენ.

შალტერაძე თეიმურაზი ომანური
2014 წლის 14 თებერვალს რუსთავის მერის N56 ბრძანებით, რუსთავი-თბილისის M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სატაქსოვრო გადაყვანებზე ნებართვის მიძღვრებითაივის კონკურსი გამოცხადდა. კონკურსის ჩატარებისა და გამარ-

■ შპს „ინტერ ტრანსი“ კონკურსში მონაწილე ერთადერთი კომპანია იყო, რომელმაც განაცხადი თერთმეტივე ლოტზე წარადგინა. კონკურსში ასევე მონაწილეობას შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმო“ (რომელსაც განაცხადი სამ ლოტზე ჰქონდა წარდგენილი) და შპს „საქართველოს სატრანსპორტო კომპანია“ (ე.წ. ალდაგი) იღებდა. თუმცა ამ უკანასკნელმა განცხადების წარდგენიდან მეორე დღესვე კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და საბუთები უკანვე გაიტანა.

ჯვებულის გამოსავლენად საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით სპეციალური კომისია შეიქმნა, რომლის მიზანიც კონკურსში მონაწილეობაზე მსურველი კომპანიის წერილობითი განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შემოწმება, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით კი – კომპანიის შეფასება და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა იყო.

კომისია რუსთავის საკრებულოს წევრებისა და მერიის თანამშრომლებისგან, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების და მოწვეული სპეციალისტებისგან დაკომპლექტდა. კომისიის თავმჯდომარე რეზო თედორაძე იყო, მოადგილე – ელგუჯა მეტრეველი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადების და ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიღება 2014 წლის 17 თებერვალს დაიწყო და 17 მარტს დასრულდა.

შპს „ინტერ ტრანსი“ კონკურსში მონაწილე ერთადერთი კომპანია იყო, რომელმაც განაცხადი თერთმეტივე ლოტზე წარადგინა. კონკურსში ასევე მონაწილეობას შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმო“ (რომელსაც განაცხადი სამ ლოტზე ჰქონდა წარდგენილი) და შპს „საქართველოს სატრანსპორტო კომპანია“ (ე.წ. ალდაგი) იღებდა. თუმცა ამ უკანასკნელმა განცხადების წარდგენიდან მეორე დღესვე კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და საბუთები უკანვე გაიტანა.

კომპანია „ინტერ ტრანსის“ დირექტორი მამუკა მუმლაძე ამბობს, რომ „საქართველოს სატრანსპორტო კომპანიას“ ოფისში მძღოლები მიუცვივდნენ და განაცხადი ძალით გამოატანინეს. რუსთავის მძღოლების ადვოკატი და ერთ-ერთი შპს „სამება 7777“-ის იურისტის რეზო რიჟამაძის თქმით კი, კომპანია საკონკურსო პირობების გაცნობის შემდეგ მიხვდა, რომ ვერ გაიმარჯვებდა, ამიტომ მონაწილეობაზე უარი თქვა.

ამ ფაქტის გადამოწმება „ლიბერალმა“ რამდენჯერმე უშუალოდ „საქართველოს სატრანსპორტო კომპანიის“ მფლობელთან დავით გიორგობიანთან სცადა, თუმცა უშედეგოდ.

ხუთ დღეში კონკურსს შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმო“ გამოეთიშა. ლოტების გახსნის დროს აღმოჩნდა, რომ მას საბანკო გარანტიაც კი არ ჰქონდა წარდგენილი.

2014 წლის 26 მარტს კომისიამ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ კომპანიად შპს „ინტერ ტრანსი“ დაასახელა. კომპანია ერთადერთი პრეტენდენტი აღმოჩნდა, რომელმაც საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები დააკმაყოფილა, შესაბამისად, ნებართვა რუსთავი-თბილისის მარშრუტის თერთმეტივე ლოტზე მოიპოვა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, რეზო თედორაძემ კონკურსის შედეგების გამოცხადებისას აღნიშნა,

რომ შპს „ინტერ ტრანსი“ კონკურსში 287 ერთეული M2 კატეგორიის ახალი, ნულოვანი გარბენის მქონე, ევრო 4 სტანდარტის სატრანსპორტო საშუალებებით შემოვიდა; რომ ავტომობილები აღჭურვილია GPS ნავიგაციური სისტემით და თანამედროვე ტიპის, ელექტრონული გადახდის ტერმინალებით; რომ გამარჯვებული კომპანია შეინარჩუნებს მგზავრობაზე არსებულ ფასს და დაასაქმებს მარშრუტებზე მომუშავე მძღოლებს.

„კომისიამ კომპანიის ყველა ავტომანქანა დაათვალიერა და დაადგინა შესაბამისობა. რუსთავის მერია კომპანიასთან ხელშეკრულებას გააფორმებს და გადასცემს ნებართვებს. „ინტერ ტრანსი“ კი, თავის მხრივ, მძღოლებთან დადებს ხელშეკრულებას. მძღოლების უმრავლესობა, 95% ან მთლიანად, როგორც ეს საკონკურსო წესითაა გათვალისწინებული, იქნებიან ისინი, ვინც ამჟამად მუშაობენ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე, შესაძლოა დაემატონ სხვებიც, თუმცა აუცილებლად ადგილობრივები“, – განაცხადა რეზო თედორაძემ.

რუსთაველი მძღოლების პროტესტი ჯერ კიდევ კონკურსის გამოცხადებისას დაიწყო. ოცამდე მძღოლმა რუსთავის მერიასთან შიმშილობა გამოაცხადა. ისინი კონკურსის გადავადებას ითხოვდნენ. აქციები რამდენჯერმე თბილისში, მთავრობის კანცელარიასთანაც გაიმართა. მძღოლები ამბობდნენ, რომ ისინი მცირე ბიზნესს ეწევიან, ტრანსპორტი მათი ერთადერთი შემოსავალია, რაზეც ბევრი ოჯახის არსებობაა დამოკიდებული. კონკურსის შედეგად კი რუსთავი-თბილისის მიმართულებით მგზავრობა გადამყვანი რვა მდე შპს ბაზრიდან ქრება და მხოლოდ ერთი, გამარჯვებული კომპანია რჩება.

გარდა ამისა, დაახლოებით ერთი წლით ადრე რუსთავის მერიამ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მომუშავე ყველა კომპანიას ავტოპარკების განახლების რეკომენდაცია მისცა, ამის შესახებ რუსთავის მერის მოადგილე დავით სხირტლაძე ქვემო ქართლის საინფორმაციო პორტალს

„kkpress.ge“-ს ესაუბრა. შესაბამისად, მძლოლებმა ავტოპარკების განახლება დაიწყეს და შედარებით ძველი ავტოტრანსპორტი ახალი ავტომანქანებით ჩაანაცვლეს. როგორც მძლოლები ამბობენ, უმეტესობამ ბანკის ვალი აიღო, რომ ახალი სამარშუტო ტაქსები შეეძინათ.

მიუხედავად ავტოპარკების განახლებისა, მძლოლების ადვოკატის, რეზო რიჟამაძის თქმით, რომელიც ასევე საკონკურსო კომისიის წევრიც იყო, რუსთავი-თბილისის მარშუტზე მომუშავე ვერც ერთი კომპანია კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგან კომისიამ ისეთი საკონკურსო პირობები შეიმუშავა, რომლის დაკმაყოფილებაც მისი დაცვის ქვეშ მყოფი შპს-ებისთვის შეუძლებელი იყო.

„რუსთავი-თბილისის სამარშუტო სამგზავრო გადაყვანებზე კონკურსი რუსთავის მერიამ ისე გამოაცხადა, რომ კონკურსზე გასატანი ლოტები საკრებულოს არც დაუმტკიცებია.

გარდა ამისა, მერიაში თვითნებურად დაადგინეს საბანკო გარანტიები განაცხადის შეტანისთვის – 50 000 ლარი, ხოლო საკონკურსო პირობების შესრულებისთვის – 100 000 ლარი, ჯამში – 150 000 ლარი. შეიმუშავეს დებულებები სადაც ეწერა, რომ 2012 წელს და უფრო ადრე გამოშვებული მანქანები ყველაზე მაღალ 50 ქულას მიიღებდა. ჩვენი მანქანები 2008 წელს იყო გამოშვებული. მათ კარგად იცოდნენ, რომ „ინტერ ტრანსის“ ყვითელი მიკროავტობუსები ზუსტად 2012 წელს იყო გამოშვებული“, – ამბობს რეზო რიჟამაძე.

შპს „ინტერ ტრანსმა“ კომისიის მიერ დადგენილი საბანკო გარანტია პირველ ეტაპზე, განაცხადის შეტანისთვის საჭირო 50 000 ლარი „პროგრეს ბანკიდან“ წარადგინა. საკონკურსო პირობების შესრულებისთვის კი საჭირო იყო 100 000 ლარი, რომელიც კომპანიამ უკვე სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფისგან“ მიიღო.

მძლოლებმა რუსთავის მერიის წინააღმდეგ სარჩელით პროკურატურას მიმართეს. ისინი კონკურსის გამოცხადებას არაკანონიერად მიიჩნევენ და გამოძიებას ითხოვენ. თუმცა საქმის განხილვა პროკურატურას ამ დრომდე არ დაუწყია.

როგორც ადვოკატი რეზო რიჟამაძე გვიყვება, 2002 წელს რუსთავის ტრანსპორტზე ტენდერი ჩატარდა. გამარჯვებულ კომპანიებს კი ათწლიანი მუშაობის ნებართვა მიეცათ. სულ 8 კომპანია იყო და მასში როგორც საქალაქთაშორისო (რუსთავი-თბილისი), ასევე შიდა, რუსთავის საქალაქო გადაადგილება შედიოდა.

10 წლის განმავლობაში თბილისის მარშუტზე ეს რვა კომპანია მუშაობდა: შპს „სამება 7777“, შპს „ექსპრეს 96“, შპს „საქართველოს სატრანსპორტო კომპანია“, შპს „თომი“, შპს „რუსთავის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმო“, შპს „სოვრაკი“, შპს „მაგისტრალი XXI“, შპს „სტარტი“.

სანჯახითოვო პირობები

კონკურსის გამარჯვებულის გამოცხადების დღიდან, საკონკურსო განაცხადით წარმოდგენილი გრაფიკით, მაგრამ არაუგვიანეს ორი თვის განმავლობაში, მომსახურების განხორციელება დაიწყოს და ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში განაგრძოს მხოლოდ მისი საკონკურსო განაცხადებით განსაზღვრული ტექნიკური მონაცემების ავტობუსებით.

დაკისრებული ვალდებულების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ნებართვის მფლობელს უფლება აქვს: გააფორმოს სათანადო ხელშეკრულებები გადაამზიდავებთან (გადამხდელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან), რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ ანგარიშსწორებას როგორც ნებართვის მფლობელის, ასევე ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მომსახურების განხორციელებისას ავტობუსების შენახვა-ექსპლუატაციის წესების, უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი სპეციალური საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების დაცვა.

უზრუნველყოს ხაზზე გაშვებული თითოეული ავტობუსის ტექნიკური გამართულობა და ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. დაიცვას ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტობუსების ექსპლუატაციის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ნორმები და მოთხოვნები.

სამუშაოზე მუშაკთა მიღებისას დაიცვას პროფესიული შე-

სატყვისობის მოთხოვნები და დაასაქმოს კონკურსში მის გამარჯვებამდე მარშუტზე მომუშავე მძლოლები და მხოლოდ ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში შესთავაზოს დასაქმება სხვა პირებს კვალიფიკაციის შესაბამისად.

არ დაუშვას ავტოსატრანსპორტო საშუალების დამაზღავებლის მიერ დადგენილ მგზავრტევალობაზე მეტი მგზავრის გადაყვანა.

გასწიოს მომსახურება დადგენილი ტარიფის (თუ რეგულირებადი ეკონომიკური სფეროა) ან მის მიერ განსაზღვრული მგზავრობის ფასის (თუ ეს არ არის რეგულირებადი ეკონომიკური სფერო) შესაბამისად.

შეასრულოს საკონკურსო პირობებით აღებული ვალდებულება, კერძოდ შეინარჩუნოს ხელშეკრულების გაფორმებისას საბაზრო პირობებით განსაზღვრულ ლოტზე მგზავრთა გადაყვანის ფასი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მგზავრობის ღირებულების შეცვლა განპირობებულია ფასზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვლილებებით.

მძლოლების ან სხვა ტექნიკური პერსონალის გაფიცვის, ადმინისტრაციული ლოკაუტის შემთხვევაში არ დაუშვას მომსახურების სრული შეწყვეტა რომელიმე მარშუტზე 3 (სამ) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს. ამასთან ნებართვის გამცემს 2 დღით ადრე წინასწარ წერილობით შეატყობინოს მოსალოდნელი გაფიცვის ან ლოკაუტის თაობაზე.



ფოტო: სურენ აფხაზაძე

სამარშრუტო ტაქსების მძღოლების საპროტესტო აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან, თბილისი, 2014

2005 წელს მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებითა და პარლამენტის საკანონდებლო აქტით, საქალაქთაშორისო გადაყვანაზე სანებართვო საქმიანობა გაუქმდა.

„გაუქმდა სატენდერო სისტემა, რაც სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება იყო. საერთაშორისო პრაქტიკაა, რომ საქალაქთაშორისო გადაყვანაზე სახელმწიფო რეგულაციები არ უნდა მოქმედებდეს. მიუხედავად იმისა, რომ

ამას კანონი და საერთაშორისო ვალდებულებები უკრძალავდა. 2011 წელს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ კანონში ცვლილება შევიდა“, – ამბობს რიფამაძე.

ამ ცვლილების მიხედვით, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო გადაყვანა ნაცვლად საქალაქთაშორისო გადაყვანისა, შიდა, ადგილობრივ საქალაქო ტრანსპორტირებაში ჩაითვალა. შესაბამისად, მასზე სატენდერო პირობები გავრცელდა.

2012 წლის თებერვალში რუსთავი-თბილისის მარშრუტზე კონკურსი გამოცხადდა, სადაც ნებართვა სხვადასხვა მარშრუტების მიხედვით თერთმეტ ლოტზე ბაზარზე არსებულმა 8 კომპანიამ 1 წლის ვადით მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ რუსთავის საკრებულომ ამ კომპანიებს ვადა მომდევნო კონკურსის ძალაში შესვლამდე გაუგრძელა. თუ როდის იქნებოდა მომდევნო კონკურსი, რუსთავის მერიის გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული.



კონკურსის შემდეგ

რუსთაველი მძღოლების პროტესტი შპს „ინტერ ტრანსის“ გამარჯვების შემდეგაც გაგრძელდა. გამარჯვებულმა კომპანიამ რუსთაველი მხოლოდ რამდენიმე ყვითელი სამარშრუტო ტაქსი შეიყვანა, სადაც, როგორც მძღოლები ამბობენ, მანამდე მომუშავე სამასამდე მძღოლიდან მხოლოდ ოცდაათი მუშაობს, დანარჩენები კი მგზავრებს თავიანთი სატრანსპორტო საშუალებებით ემსახურებიან.

სანებართვო პირობების მიხედვით, გამარჯვებული კომპანია ვალდებულია დაასაქმოს კონკურსში მის გამარჯვებამდე სამარშრუტო ტაქსიზე მომუშავე მძღოლები და მხოლოდ ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში შესთავაზოს დასაქმება სხვა პირებს.

იურისტი რეზო რიყამაძე ამბობს, რომ ამ დრომდე კომპანიას ხელშეკრულება არც ერთ მძღოლთან არ გაუფორმებია.

„მხოლოდ ზეპირი მოლაპარაკება ხდება. კომპანია ამბობს, რომ მანქანები საბანკო კრედიტით აქვს გამოტანილი, ანუ ეს ვალი დასაფარი მაქვსო და მძღოლებს ასეთ პირობებს სთავაზობს: 43 ლარი ბანკის პროცენტი, ამას უნდა დამატოს ცვეთა – 23 ლარი, გარდა ამისა, გეგმა 35 ლარი, ანუ ფირმის მოგება. და საბოლოოდ, კომპანია მძღოლების დასაქმების ნაცვლად, მათ გადასახადს აკისრებდა“, – ამბობს რიყამაძე.

„ინტერ ტრანსში“ ამბობენ, რომ კომპანიას კონკურსით გათვალისწინებული ყველა ავტომანქანა საკუთრებაში ჰყავს და მან 280 მანქანა „საქართველოს ბანკისგან“ შეიძინა. ბანკს სხვა კომპანიის ტრანსპორტზე ყადაღა ჰქონდა დადებული და „ინტერ ტრანსმა“ ეს მანქანები გადმოიფორმა. რუსთაველი მანქანების შეყვანას კი კომპანია ეტაპობრივად აპირებს.

მძღოლები ჩვენთან საუბარში ადასტურებენ, რომ კომპანია სათითაოდ მძღოლებს, ყოველგვარი ხელშეკრულებების გაფორმების გარეშე, კაბალურ პირობებს სთავაზობდა და ზეპირი შეთანხმების მიღწევას ცდილობდა.

შპს „ინტერ ტრანსის“ დირექტორი

მამუკა მუმლაძე ამბობს, რომ მხოლოდ შპს „სამება 77777“-თან არსებობს პრობლემები, დანარჩენთან მოლაპარაკება შედგა და ამჟამად კონკურსამდე მომუშავე ყველა მძღოლი დასაქმებულია და მათთან როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ხელშეკრულება არსებობს. თუმცა წერილობითი ხელშეკრულების მოპოვება ჩვენ ვერ შევძელით.

რუსთავეის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ტაბატაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ კომპანია სანებართვო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ასრულებს და თითქმის ყველა მძღოლი დასაქმებულია.

„რაოდენობა ზუსტად არ ვიცი, სანებართვო წესში წერია, რომ კომპანიამ მძღოლები უნდა დაასაქმოს, მათი სახელი და გვარები არ არის ჩამონერილი, ვისაც უნდა, ის დაიწყებს მუშაობას. ხელშეკრულებებიც გაფორმებულია, მაგრამ მე არ მინახავს“, – ამბობს გიორგი ტაბატაძე.

შპს „ინტერ ტრანსი“

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ინტერ ტრანსი“ 2012 წლის 21 დეკემბერს დარეგისტრირდა. იმ დროისთვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გიორგი ანჩაბაძე იყო, კომპანიის დირექტორი კი დავით ცინცაძე. რამდენიმე დღეში, 2012 წლის 25 დეკემბერს გიორგი ანჩაბაძესთან ერთად კომპანიის მფლობელებს შორის 50%-იანი წილით ფირუზ ხურცილავა ჩნდება.

შპს „ინტერ ტრანსის“ ამჟამინდელმა მფლობელმა, ზაზა ლომიძემ კომპანიის 100%-იანი წილი 2014 წლის 6 თებერვალს გადაიფორმა. 8 აპრილს კი კომპანიის დირექტორი მამუკა მუმლაძე გახდა.

ზაზა ლომიძე ამბობს, რომ გიორგი ანჩაბაძე მისი ბავშვობის მეგობარია, ფირუზ ხურცილავა კი მისი მეგობრის მძღოლი. „მე და ჩემი მეგობარი საქართველოში არ ვიყავით, ამიტომ მეგობრის მძღოლს ვთხოვეთ, რომ აღნიშნული კომპანია დაეფუძნებინა. როცა ჩამოვედი მერე გადავიფორმე. სხვა არავითარი ურთიერთობა ამ ადამიან-

ზვინა ჯანყარაშვილი

ზვიად ჯანყარაშვილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის სიამარვის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილია.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, ჯანყარაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ხდება, მანამდე ის სიღნაღში „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელია.

მის მიერ შევსებული დეკლარაციის მიხედვით, ჯანყარაშვილი ფლობდა შპს „ტოპ ტრანს სერვისს“, რომლის საქმიანობაც საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა იყო. სხვადასხვა პერიოდში ჯანყარაშვილი ასევე ფლობდა შპს „სმარტ ვეი გრუპს“, შპს „კონპიქსს“, შპს „სთულ ფაუნდს“.

გარდა ამისა, ჯანყარაშვილი შპს „სითის“ ერთ-ერთი მფლობელია და ამავე კომპანიაში შპს „ინტერ ტრანსის“ მფლობელის, ზაზა ლომიძის ბიზნესპარტნიორია.

შპს „სითიში“ ჯანყარაშვილისა და ლომიძის პარტნიორი იყო ასევე ამჟამინდელი საავტომობილო დეპარტამენტის უფროსი დავით შავლიაშვილი. რომელმაც თავისი წილი 2013 წლის 14 ივნისს ერთ-ერთ თანამფლობელს გადაუფორმა.

თან არ მქონია“, – ამბობს ლომიძე. ის არ ასახელებს იმ მეგობრის ვინაობას, რომლის მძღოლიც რეესტრში კომპანიის დამფუძნებლად მითითებული ფირუზ ხურცილავაა.

„ინტერ ტრანსის“ დირექტორი მამუკა მუმლაძე, როგორც თვითონ ამბობს წლებია სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს, თუმცა მანამდე ის შპს „რუსთავეის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო სანარმოს“ დირექტორი იყო, შემდეგ კი 8 წელი შპს „სამება 77777“-ში მუშაობდა. „ინტერ ტრანსის“ დირექტორობამდე მუმლაძე რუსთავეის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომელი იყო და როგორც ამბობს, სატრანსპორტო საკითხები ჰქონდა დავალებული.

კონკურსის პერიოდში მუმლაძე რუსთავეის მერიაში მუშაობდა და ამას

■ „რუსთავი-თბილისის სამარშრუტო სამგზავრო გადაყვანებზე კონკურსი რუსთავის მერიამ ისე გამოაცხადა, რომ კონკურსზე გასატანი ლოტები საკრებულოს არც დაუმტკიცებია. გარდა ამისა, მერიამ თვითნებურად დაადგინეს საბანკო გარანტიები განაცხადის შეტანისთვის – 50 000 ლარი, ხოლო საკონკურსო პირობების შესრულებისთვის – 100 000 ლარი, ჯამში – 150 000 ლარი. შეიმუშავეს დებულებები სადაც ეწერა, რომ 2012 წელს და უფრო ადრე გამოშვებული მანქანები ყველაზე მაღალ 50 ქულას მიიღებდა. ჩვენი მანქანები 2008 წელს იყო გამოშვებული. მათ კარგად იცოდნენ, რომ „ინტერ ტრანსის“ ყვითელი მიკროავტობუსები ზუსტად 2012 წელს იყო გამოშვებული“, – ამბობს რეზო რიჟამაძე.

მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ტაბატაძეც ადასტურებს. მას შემდეგ რაც კონკურსში გამარჯვებულად „ინტერ ტრანსი“ დასახელდა და დირექტორის თანამდებობაზე ვაკანსია გამოცხადდა, მამუკა მუმლაძე კომპანიის დირექტორად გადავიდა.

შპს „ინტერ ტრანსის“ მფლობელი ზაზა ლომიძე 2010 წლიდან შპს „სითიში“ ზვიად ჯანყარაშვილის პარტნიორია. ჯანყარაშვილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილია. ის 2012 წლის არჩევნების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის უფროსად დაინიშნა, მანამდე კი სიდნალში „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. ზვიად ჯანყარაშვილმა შსს-ს გენინსპექციის უფროსის თანამდებობა 2014 წლის 15 აპრილს დატოვა. გადადგომის მოტივად დაასახელა, რომ არ სურს „ადგილი ჰქონდეს სპეკულაციებს პრემიერ-მინისტრთან ნათესაობის გამო“.

ზაზა ლომიძე ამბობს, რომ მიუხედავად ბიზნესპარტნიორობისა ზვიად ჯანყარაშვილს მხოლოდ „გამარჯობით“ იცნობს და 6 წელია არ უნახავს.

„კომპანია „სითი“ აღარ არსებობს. ის არანაირ საქმიანობას არ ეწეოდა, კომპანიის საკუთრებაში მხოლოდ მინა

იყო, მერე ეს მინა გაყვიდეთ“, – ამბობს ლომიძე.

2013 წლის 15 იანვრის მდგომარეობით, შპს „სითიში“ პარტნიორები იყვნენ: გიორგი მჭედლიშვილი (5%), ზვიად ჯანყარაშვილი (4.5%), გურამ სულაბერიძე (5%), მიხეილ ბასილაშვილი (5%), ზაზა ლომიძე (10%), თეა ფალავანდიშვილი (10%), ირაკლი კასრაძე (5%), პაატა სირაძე (38%), დავით დოლიძე (10%), დავით შავლიაშვილი (4.5%), ალბერტ ვერნერ შვარცენბახი (3%).

საჯარო რეესტრის მიხედვით, შპს „სითიში“ ბოლო ცვლილებები 2013 წლის 14 ივნისს ფიქსირდება, როდესაც დავით შავლიაშვილმა თავისი წილი პაატა სირაძეს გადაუფორმა.

დავით შავლიაშვილი საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსია. ის ამ თანამდებობაზე 2013 წლის 2 მაისს დაინიშნა. მანამდე კი (2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის აპრილამდე) ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ „ბუნებრივი რესურსების სააგენტოს“ უფროსად მუშაობდა.

გარდა კომპანია „სითისა“ დავით შავლიაშვილი ზვიად ჯანყარაშვილის პარტნიორი იყო შპს „სმარტ ვეი გრუპში“ და შპს „კომპიქსში“. თუმცა ზვიად ჯანყარაშვილმა კომპანია „კომ-

პიქსის“ 50% შავლიაშვილს 2012 წლის 20 ივლისს გადაუფორმა.

რაც შეეხება შპს „ინტერ ტრანსის“ მფლობელის ზაზა ლომიძის სხვა ბიზნესსაქმიანობას, ის ყოფილი ფეხბურთელის მურთაზ ხურცილავას პარტნიორია შპს „მურთაზ ხურცილავას სახელობის საერთაშორისო საფეხბურთო სკოლა ჩემპიონი 2004“-ში. ის არის ასევე შპს „ჯეო ტრანსის“ 52%-იანი წილის მფლობელი და შპს „გლდანი ტრანსის“ დირექტორი და მენიჯერ-ლომბიდის თქმით, „გლდანი ტრანსი“ გლდანის ავტოსადგურად გადაკეთდა და კომპანიის დამფუძნებელი მისი მეუღლეა.

„ინტერ ტრანსის“ დირექტორი მამუკა მუმლაძე ჩვენთან საუბარში ჰყვება, რომ გლდანის ავტოსადგური და „ინტერ ტრანსი“ ფაქტობრივად ერთი კომპანიაა, ორივეს მფლობელი ზაზა ლომიძეა. „ინტერ ტრანსი“ არის გადამზიდავი კომპანია, გლდანის ავტოსადგური კი მიმღები სადგური იქნება. მათ შორის თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდება.

„სანამ კონკურსი გამოცხადდებოდა, „ინტერ ტრანსს“ შეძენილი ჰყავდა 280 სატრანსპორტო საშუალება. რადგან გლდანში სხვა ბიზნესაქტივობა ჰქონდა დაგეგმილი. მერე კონკურსი გამოცხადდა, სადაც მეტი პერსპექტივა დაინახა და ეს ავტომანქანები კონკურსისთვის გამოიყენა. გლდანისთვის კიდევ სხვა სატრანსპორტო საშუალებები ჰყავს, მაგრამ კანონი არ ავალდებულებს, რომ ეს სატრანსპორტო საშუალებები მის საკუთრებაში იყოს“, – ამბობს მუმლაძე.

კომპანია გლდანის ავტოსადგურის გაშვებას ერთ თვეში გეგმავს. როგორც კომპანიაში ამბობენ „გლდანის ავტოსადგურს“ თითქმის ყველა ქალაქში პატარა-პატარა ავტოსადგურები აქვს.

„ინტერ ტრანსი“ გლდანის ავტოსადგურთან ერთად საქალაქთაშორისო გადაყვანებზე მნიშვნელოვანი ადგილის დაკავებას აპირებს. რუსთავი-თბილისის შემდეგ, კომპანია „თბილისი-მცხეთა“, „თბილისი-ქუთაისი“, „თბილისი-ბათუმი“, „თბილისი-მარნეული“ და



სამარშრუტო ცალკეობის მძღველები სატრანსპორტო კონკურსში საქართველო-საქართველო კანცელარიათა, თბილისი, 2014

ფოტო: სოფო ავალიანი

მოტი

ერთი შესყიდვის ფარგლებში გამოცალკევებული შესყიდვის ობიექტი, რომელიც შემდგომ დაყოფას არ ექვემდებარება. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადება შეიძლება წარადგინოს მისთვის სასურველ ერთ ან მეტ ლოტზე, ხოლო გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს ყოველ ლოტზე ცალ-ცალკე. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.


სხვა მარშრუტებზე გაუნეწეს კონკურენციას ამჟამად ბაზარზე მოქმედ კომპანიებს. კომპანიაში ამბობენ, რომ გლდანის ავტოსადგური ბევრად კარგ პირობებს შესთავაზებს მგზავრებს, ვიდრე სხვა აქამდე არსებული სადგურები. მიუხედავად სატრანსპორტო სფეროში სერიოზული გეგმებისა, შპს „ინტერ ტრანსს“ რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოპოვებულ ნებართვაზე პირობები გამარჯვებიდან სამი თვის

შემდეგაც არ შეუსრულებია. რუსთავში არ შეუყვანია ყველა ის მანქანა, რომელიც კონკურსითაა განსაზღვრული. ასევე, არ არიან სრულად დასაქმებულები აქამდე მომუშავე მძღოლები. რუსთავის მერიაში კი ამბობენ, რომ კომპანიას ჯერ კიდევ აქვს ვადა და თუკი ის ამ პერიოდში ვერ მოახერხებს სანებართვო პირობების შესრულებას და რომელიმე ლოტზე დარღვევა დაფიქსირდება, კომპანია დაჯარიმდება. ■

ვისწავლოთ ერთად

განათლების სამინისტრო ინკლუზიური განათლების პროგრამის მხარდაჭერას აძლიერებს. ხარისხიანი ინკლუზიური განათლების სერვისების შეთავაზებაზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ხდება.

ლიკა ზაკაშვილი




24-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთი პიონერია, რომელმაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვა დაიწყო.

სკოლის პერსონალს ინკლუზიური განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს, თუმცა სკოლის დირექტორის შეფასებით, ამ მიმართულებით კიდევ ბევრი აქვთ შესასწავლი, შესაცვლელი და განსავითარებელი. მას მაგალითად სკოლის ფიზიკური გარემო მოაქვს. სკოლა ერთი შეხედვით ადაპტირებულია. ფიზიკური გადაადგილების პრობლემის მქონე მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ სკოლის შენობაში შესვლა, თუმცა შენობაში მოხვედრის შემდეგ ისინი ისევ შეზღუდული გარემოს პირისპირ რჩებიან და სხვა სართულზე დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ. სკოლის დირექტორი შეზღუდული გარემოს ნაკლოვან მხარეებზე ბევრს საუბრობს, წუხს და ამბობს, რომ ძალიან უნდა სკოლა აბსოლუტურად ადაპტირებული იყოს. ბავშვებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ სხვა მოსწავლეების მსგავსად სხვადასხვა ოთახში შესვლა და სართულიდან სართულზე დაუნმარებლად გადაადგილება, თუმცა ასეთი მასშტაბური სამუშაოების ჩატარება სკოლის ბიუჯეტით შეუძლებელია.

სკოლაში ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 21 ბავშვი სწავლობს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონედ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ის მოსწავლე, რომელიც ხასიათდება: 1. ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევებით; 2. მხედველობისა და სმენის დარღვევით; 3. მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევებით; 4. რომლებსაც სჭირდებათ გრძელვადიანი მკურნალობა/ჰოსპიტალიზაცია; 5. რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას.





რესობას; 6. არიან სოციალურად დაუცველნი და 7. რომლებსაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ.

თითოეული ბავშვისთვის სკოლაში მომუშავე ფსიქოლოგი და სპეცპედაგოგები ინდივიდუალური სასწავლო გეგმას ადგენენ, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმას ეყრდნობა. ის ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ამ საჭიროებების დაკმაყოფილების გზებსა და ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იწერება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა ან მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ყველა საგანში მუშავდება.

ფსიქოლოგის და სპეცპედაგოგების ხელფასებს სკოლა 2014 წლამდე სკოლის ბიუჯეტიდან იხდიდა, მიმდინარე წლიდან სკოლებში დასაქმებული ფსიქოლოგის და სპეცპედაგოგის ხელფასებს განათლების სამინისტრო ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაიხდის. სკოლის დირექტორი ამ ცვლილებას დადებითად აფასებს და ამბობს, რომ ახალი დებულებით ფსიქოლოგის და სპეცპედაგოგის შტატი სამინისტრომ სამშაბტო ერთეულებად დაამტკიცა და ის მოსწავლეთა რაოდენობაზეა მიბმული.

2012 წლიდან საქართველოს ნებისმიერი საჯარო სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვა. ინკლუზიური განათლების პროგრამა 2006 წელს პილოტირებით დაიწყო. პილოტირების დასრულების შემდეგ განათლების სამინისტრომ ინკლუზიური განათლება ზოგადი განათლების განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა.

„ინკლუზიური განათლების პროგრამის დაწერვა განათლების სამინისტრომ წულიდან დაიწყო. ამ წლების განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით, თუმცა ხარისხიანი ინკლუზიური განათლების სერვისების შესათავაზებლად კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი“, – ამბობს ეკა დგებუაძე, რომელიც განათლების სამინისტროში ინკლუზიური განათლების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

მისივე თქმით, ინკლუზიური განათლების სფეროში დღეს ბევრი სირთულეა. საქართვე-

ლოში ცოტაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილების მქონე სპეციალისტი. ასეთი ადამიანების გარეშე კი ინკლუზიური განათლების ხარისხიანი განხორციელება შეუძლებელი ხდება. მისივე თქმით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში შეიქმნა სპეციალური მასწავლებლების სატრენინგო მოდული. ყველა პედაგოგი, რომელსაც სპეცმასწავლებლად სურს მუშაობა, ვალდებული იქნება მუშაობის დაწყებამდე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში გაიაროს სპეციალური კურსი, რომლის გავლის შემდეგ სკოლაში სპეცმასწავლებლად მუშაობის ნებართვას მიიღებს.

ეკა დგებუაძის თქმით, ორთვიანი გადასამზადებელი პროგრამები საკმარისი არ არის. განათლების სამინისტრო მომავალში საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე სპეციალური მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამების დანერგვას გეგმავს, რაც ამ სფეროში პროფესიონალი კადრის გენერირებას შეუწყობს ხელს.

განათლების სამინისტრო სკოლებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასაც გეგმავს. პანდუსები საქართველოს ყველა სკოლაში გაკეთდება.

დასასრულს – სიტყვა „ინკლუზია“ ჩართვას ნიშნავს და სასწავლო პროცესში სხვა თანატოლებთან ერთად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების რაიმე ფორმით ჩართვას გულისხმობს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კი მაქსიმალურად ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებასა და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

აღწევნ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და როგორ ეხმარება სკოლა ბავშვებს უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაში? – ამ კითხვაზე პასუხის მიღება რთულია, რადგან განათლების სამინისტრო სკოლებში ინკლუზიური განათლების პროგრამის მიმდინარეობას ფრაგმენტულად აკვირდება. როგორც ეკა დგებუაძე ამბობს, ინკლუზიური განათლების პროგრამის მხარდაჭერასთან ერთად, სამინისტრო გეგმავს მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას, რომელიც სისტემას გაუმჯობესებაში დაეხმარება. ■

■ სიტყვა „ინკლუზია“ ჩართვას ნიშნავს და სასწავლო პროცესში სხვა თანატოლებთან ერთად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების რაიმე ფორმით ჩართვას გულისხმობს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კი მაქსიმალურად ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებასა და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე, ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

სამხრეთ ოსეთი ისევ ხუსათის შამადბანდობაში შესასვლელად ემზადება

ვალერი ძუცევი

სამხრეთ ოსეთის იენისის საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ერთიანი ოსეთის“ გამარჯვების შემდეგ სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კიდევ უფრო ხშირად აუღერებდნენ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე რეფერენდუმის ჩატარების საკითხს. მოსკოვის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ ისევ ბუნდოვანია, ვინაიდან რუსეთის ოფიციალურ პირებს არ გამოუხატავთ თავიანთი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციასთან შეერთება შეიძლებოდა „ბუნებრივი“ იარაღი გამხდარიყო იმისთვის, რომ საქართველოს თავი შეეკავებინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისგან. მით უფრო, რომ ხელშეკრულებას ხელი 27 იენისს მოეწერა. რუსეთისგან სამხრეთ ოსეთის ჩაყლაპვის მუქარა კი ჯერ კიდევ არ შესრულებულა. მოსკოვში, ცხადია, ადვილად მიხვდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის შემოერთებით ისინი ხელს კი არ შეუშლიდნენ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დოკუმენტზე ხელის მოწერას, არამედ დასავლეთის მეტ კრიტიკას დაიმსახურებდნენ.

რუსეთთან შეერთება თავისი არსით პარტია „ერთიანი ოსეთის“ პროგრამული პუნქტი იყო. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის ასეთ ნაბიჯს იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ის რუსეთის

შემადგენლობაში მყოფ ეთნიკურად მონათესავე ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებად აღიქმება. ამ ლოზუნგის პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა, რომელსაც ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში, ფიქრობს, რომ საკუთარ ეკონომიკურ პრობლემებს რუსეთის ბიუჯეტთან მიზმიტ გადაჭრის. პარტია „ერთიანი ოსეთი“ სამხრეთ ოსეთის ყველაზე ხალხმრავალი პარტიაა, რომელიც რამდენიმე ათასი წევრისგან შედგება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ძალა გარე წყაროებით ფინანსდება. ცხადია, რომ რესპუბლიკის რუსეთთან შეერთებაში ამ პარტიის გეზს დაფინანსების გარე წყაროები განსაზღვრავენ.

მოსკოვი არც ისეთი თავისუფალი თავის არჩევანში სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, როგორც ეს დამკვირვებლებს წარმოუდგენიათ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში სტრატეგიის არჩევისას გარეგნული შეზღუდვების გარდა არსებობს შინაგანი შეზღუდვებიც. კერძოდ, აღმოსავლეთ უკრაინის სეპარატისტული ანკლავების არალიარებისა და არშეერთების ფონზე სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთება რუს ნაციონალისტებს შორის უკმაყოფილების ზრდას უნდა ნიშნავდეს. ეთნიკურად არარუსი ოსების „საკუთარი ფრთის ქვეშ“ შეფარებას და ეთნიკური რუსების არშეფარებას უკრაინის აღმოსავლეთში ცუდად მიიღებდა რუსეთის ფედერაციის მოსახ-



ლეობის უმეტესობა – რუსები. ამგვარად, გამოდის რომ, სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთება საკმაოდ მჭიდრო კავშირშია როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან.

უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთისგან – 18 ივნისს ე.წ. „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“ და 20 ივნისს „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ – მოულოდნელი და უცნაური აღიარება იმის ნიშანია, რომ უკრაინისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაციები კიდევ უფრო მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

საიტ forum.msk.ru-ს ერთ-ერთმა ავტორმა, სერგეი ისრაპილოვმა, შესაფერისი როლი მოუძებნა სამხრეთ ოსეთისგან ლსრ-სა და დსრ-ს აღიარების პოლიტიკას. „ლსრ-ს აღიარებით მას თავისუფლად შეუძლია მასთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დადება, თუნდაც ასი ტანკის ჩაყენებით. ეს უკვე ძალების სულ სხვა განაწილებაა. რუსეთს შეუძლია, ხელი არ შეუშალოს ორის სახელმწიფოს ხელშეკრულებას და მისცეს მათ საეთაშორისო გადაზიდვებისთვის ტრანზიტის უფლება“, – ამბობს ისრაპილოვი. სახმრეთ ოსეთის შირმად გამოყენება უკრაინის შიდა საქმეებში რუსეთის ჩარევის დასაფარავად შესაძლოა, საკმაო მიზეზი აღმოჩნდეს სხვა ნახევრადაღიარებული ტერიტორიის მიერ უკრაინის ტერიტორიების აღიარებისთვის. თუმცა აღმოსავლეთ უკრაინელ „აჯანყებულთა“ ხელში რუსული იარაღი სამხრეთ ოსეთთან ყოველგვარი „საომარი თანამშრომლობის“ გარეშე აღმოჩნდა. სრულიად შესაძლებელ სცენარად შეიძლება განვითარდეს, რომ ლსრ-სა და დსრ-ს საკუთარ სატელიტებად აღიარებით მოსკოვმა გარეგნული ლეგიტიმურობას მისცეს თავის მოქმედებებს აღმოსავლეთ უკრაინაში. სამხრეთი ოსეთი, როგორც მოსკოვის სატელიტებს შორის „ყველაზე სუსტი რგოლი“, პირველი გამოვიდა ლსრ-სა და დსრ-ს აღიარებით, თუმცა თუ რესპუბლიკის მეთაურის, ლეონიდ თიბილოვის, წინა განცხადებებს დავუჯერებთ, ის სიტყვითაც კი არ აპირებდა იქ მომხდარში ჩარევას. ახლა უკვე სრულიად შესაძლებელია, რომ აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილები აფხაზეთმაც აღიაროს. ვინაიდან

თვალგასანვდენ მომავალში სნგ-ს არც ერთი ქვეყანა არ წავა ლსრ-სა და დსრ-ს აღიარებაზე. სამხრეთ ოსეთისა და, შესაძლებელია, აფხაზეთის მხრიდან აღიარება მეტ კარიკატურულობას შესძენს „ახლადშექმნილ“ სახალხო რესპუბლიკას. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა ნამვილად შეასრულეს მოსკოვში „უფროსი ძმის“ მიმართ ერთგულების გამოხატვისა და მისგან პოლიტიკური ინდულგენციების მიღების პერსონალური ამოცანა. გაუგებარია, როგორ უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში სამხრეთ ოსეთისგან ლსრ-სა და დსრ-ს აღიარება და იმავდროულად რუსეთთან შეერთებისკენ სწრაფვა. თუ სამხრეთ ოსეთი რფ-ს შემადგენლობაში შევა, მაშინ ამ ფაქტით ლსრ-სა და დსრ-ს აღიარება ანულირებული იქნება.

სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთება, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩრდილოეთ ოსეთის პოლიტიკურ ელიტაში არ სარგებლობს განსაკუთრებული წარმატებით. თუმცა მას სიტყვით ყველა ემხრობა, საქმით კი, ან სიჩუმეს არჩევენ, ან თითქმის ყველა სტატუს ქვოს შენარჩუნებას ითხოვს. ასეთი არაპატრიოტული მოქმედების მიზეზი ჩრდილოეთ ოსეთის ელიტის მხრიდან აბსოლუტურად გამჭვირვალეა. ჩრდილოეთ ოსეთი არის დოტაციური რეგიონი, ამიტომაც კიდევ ერთი ოსეთის ნებისმიერი შეერთება ნიშნავს, რუსეთის ფინანსური დახმარება კიდევ უფრო ბევრ ნაწილად გაიყოფა. ბუნებრივია, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ელიტას ეს არ უნდა. შესაძლოა სწორედ ამიტომაც სამხრეთ ოსეთის პარტია „ერთიანი ოსეთი“, რომელიც რეფერენდუმის იდეას ემხრობოდა, ახლა ამტკიცებს, რომ საუბარი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დამოუკიდებელ სუბიექტად შესვლაზეა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მოსკოვიდან ფინანსური შემოღინებების გაყოფა ნაკლებად შესაძლებელი იქნება ჩრდილოეთ ოსეთისთვის და რესპუბლიკის პუბლიკა უფრო კეთილგანწყობილი იქნება რუსეთთან სამხრეთ ოსეთის შეერთების მიმართ. მიუხედავად ამისა, ამ საკითხში განმსაზღვრელ ფაქტორად არა ოსი ხალხი ან მათი ლიდერი, არამედ მოსკოვის სურვილი და პრიორიტეტები გვევლინება, რომელიც ამ მომენტისთვის დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მდგომარეობა უკრაინაში. ■

■ ახლა უკვე სრულიად შესაძლებელია, რომ აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილები აფხაზეთმაც აღიაროს. ვინაიდან თვალგასანვდენ მომავალში სნგ-ს არც ერთი ქვეყანა არ წავა ლსრ-სა და დსრ-ს აღიარებაზე. სამხრეთ ოსეთისა და, შესაძლებელია, აფხაზეთის მხრიდან აღიარება მეტ კარიკატურულობას შესძენს „ახლადშექმნილ“ სახალხო რესპუბლიკას. მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა ნამვილად შეასრულეს მოსკოვში „უფროსი ძმის“ მიმართ ერთგულების გამოხატვისა და მისგან პოლიტიკური ინდულგენციების მიღების პერსონალური ამოცანა. გაუგებარია, როგორ უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში სამხრეთ ოსეთისგან ლსრ-სა და დსრ-ს აღიარება და იმავდროულად რუსეთთან შეერთებისკენ სწრაფვა. თუ სამხრეთ ოსეთი რფ-ს შემადგენლობაში შევა, მაშინ ამ ფაქტით ლსრ-სა და დსრ-ს აღიარება ანულირებული იქნება.

ჩემი გარემო



ჩემი გარემო - იმიტომ, რომ ჩვენ აქ ვცხოვრობთ

40 წელზე მეტია 5 ივნისს მსოფლიო გარემოს დაცვის დღეს აღნიშნავს. მწვანე მოძრაობას უკვე უამრავი ქვეყანა შეუერთდა. მათ შორისაა საქართველოც, სადაც ივნისში არაერთი გარემოსდაცვითი ღონისძიება იმართება.

წლებადელი ერთთვიანი კამპანია „ჩემი გარემო“ განსაკუთრებით მრავალფეროვანი აღმოჩნდა. მისი მიზანია შეგვახსენოს, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია, საკუთარი წვლილი შეიტანოს გარემოს დაცვის საქმეში.

„ვისაუბროთ იმაზე, რა გვაწუხებს და რა უნდა გავაკეთოთ, რომ სამყარო გახდეს უფრო მწვანე, სუფთა და ჯანსაღი“, – ამბობს ნილს სკოტი, გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში.

კლიმატის ცვლილება, ტყის შენარჩუნება, ნიადაგის დეგრადირება, საძოვრების მართვა, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება, დაცული ტერიტორიების განვითარება, გადაშენების პირას მყოფი ჯიშების დაცვა - საქართველოში ყველა ეს საკითხი

საკმაოდ მწვავედ დგას და სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება „ჩემმა გარემომ“.

მწვანე თვის მიმდინარეობაში თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებამ, ახალგაზრდულმა ჯგუფებმა და სხვადასხვა რეგიონის, ქალაქისა თუ სოფლის მაცხოვრებლებმა.

გაეროს განვითარების პროგრამა გარემოსდაცვით პროექტებს მხარს – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მეორე გრანტების პროგრამასთან, ფინეთის მთავრობასთან, ევროკავშირთან, ადაპტაციის ფონდთან და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად – უჭერს.

ნი ივნისს, ვაშლოვანში გაიხსნა გადაშენების პირას მყოფი კოლხური ხობის საშენი ცენტრი და ინკუბატორი. აქ უკვე 100 ზრდასრული და 150-მდე ხობის ბარტყი, იგივე ლაპი ბინადრობს. სულ მალე ისინი ბუნებრივ გარემოს – არწივის ხეობას, კოლხე-



ის ეროვნულ პარკს, ივრის, ალაზნისა და მტკვრის ტყეებს – დაუბრუნდებიან. ხობების გამრავლებას ეკონომიკური დანიშნულებაც აქვს, განმარტავს პროექტის ერთ-ერთი ავტორი ამირან კოდიამვილი. „ვეგემათ, რომ ხობები გადავცეთ მეზობელ საზონადირეო მეურნეობებს. ისინიც გამრავლებენ, ნაწილს ბუნებრივ პირობებში გაუშვებენ, ნაწილს კი გაყიდვას, რითაც გარკვეულ სარგებელს ნახავენ“.

7 ივნისს გარემოს დაცვის დღეს ბორჯომში უმასხანძლა, სადაც 2008 წლის აგვისტოში გადამწვარი ტყის აღდგენა მიმდინარეობს.

„20 ჰექტრით დავიწყეთ, ხოლო წელს უკვე 60 ჰექტარზე ვმუშაობთ. უკვე დარგულია 17 ათასი ნერგი, რომელთა მათ გახარებას ყოველდღიური მოვლა-პატრონობა სჭირდება“, – ამბობს პროექტის მენეჯერი ვლადიმერ ვალიშვილი.

„ტყის აღდგენაში ადგილობრივი მაცხოვრებლებიც მონაწილეობენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ისინიც თავად უვლი, შემდეგ უფრთხილდები კიდევ სხვებზე დროს, ეს დასაქმების საშუალებაცაა“.


„ხარაგაულში ნარჩენების გადამუშავების ახალი ტექნოლოგიების ჩვენება შედგა. პოლიეთილენის ბოთლებისა და პარკების შესაგროვებლად 26 ალტერნატიული ბუნკერი დაიდგა. ხოლო 7 ივლისს ამუშავდა სპეციალური პრესი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებლად.“

გარემოსდაცვით საქმიანობაში აქტიურად ჩაერთნენ ახალგაზრდებიც. ტიათურასა და ხარაგაულში ახალგაზრდულმა ჯგუფებმა გამართეს აქციები ნარჩენების მართვისა და დეგრადირებული ნიადაგის აღდგენის მხარდასაჭერად. ხოლო ბორჯომის, წალკერისა და დაბას ეკოკლუბებმა ველოტური და ინოვაციური მშვანე ტექნოლოგიების გამოფენა მოაწყვეს.

„გარემოს დაცვამ ფიქრი მასწავლა“, – ამბობს 15 წლის წალკერელი ირაკლი გოგოლაძე.


„გარემო ჩემია, იმიტომ რომ ყველანი ამ პლანეტაზე ვცხოვრობთ. ესე იგი, ჩემია, ჩვენია და უნდა მოვუაროთ“.







ხედავთ შედეგს სწრაფად



ვახუშტი

1872 წლის 10 თებერვლს თბილისიდან ფოთში პირველი მატარებელი ჩავიდა. ჩვენს ქვეყანაში რკინიგზის დაბადებად სწორედ ეს თარიღი ითვლება. მეოცე საუკუნის საქართველოში რკინიგზა კარგად განვითარებული სფერო იყო და მთელი საბჭოთა სარკინიგზო სისტემის ნაწილს შეადგენდა. ამან ხელი შეუწყო საქართველოს ინდუსტრიულ და ეკონომიკურ წინსვლასაც. თუმცა ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, რკინიგზა ყველაზე იაფ ტრანსპორტის საშუალებად და, შესაბამისად, სოციალურად დაბალი ფენისთვის ყველაზე ხელსაყრელ ტრანსპორტად გადაიქცა. სხვადასხვა რეგიონი დედაქალაქს ძველი მატარებლით უკავშირდება. ყოველდღიურად რაიონული ცენტრების, ქალაქებისა და სოფლების გავლით, ვაგონებს ასობით ადამიანი დედაქალაქისკენ მოჰყავს და შემდეგ უკან აბრუნებს. დასაქმების მაძიებელთა უმეტესობაც თბილისში მატარებლით ჩამოდის. ფოტოებშიც სწორედ ეს ყოველდღიურობაა ნაჩვენები - დედაქალაქში ლუკმა პურის სამოვენლად ჩამოსული ადამიანები, მათი მოლოდინი, ფიქრი და განცდები. ისინი სხვადასხვა საქმით ირჩენენ თავს. ზოგი ვაჭრობს, სოფელში მოყვანილ მოსავალს ქალაქში ეზიდება და ასე შოულობს ოჯახისთვის საჭირო ფულს; ზოგი მათგანი კი თავის გატანას მონყალების თხოვნით ცდილობს. მშობლებს ქალაქში შვილებიც დაჰყავთ. ბავშვების ნაწილი მშობლებთან ერთად მუშაობს, სხვებს კი უბრალოდ დედაქალაქის უწყვეტი, რუტინული რიტმი აინტერესებს. ასე რომ, მატარებლები და სარკინიგზო სადგურები მოვაჭრეების, მათხოვრებისა და სამსახურის მაძიებელთა თავშესაფარის ადგილად არის ქცეული. 













ბაღამდე ბანსობა

„მოაქვს თუ არა დეპრესია Facebook-ს“, „სოციალური ქსელის დაფარული ექსპერიმენტი“, „Facebook კრიტიკის ქარცეცხლში“ – იენისის ბოლოს ტექნოლოგიური გამოცემები ამ შინაარსის სათაურებით აჭრელდა. ამჯერად სოციალური ქსელის მიმართ უკმაყოფილების მიზეზი ის საიდუმლო კვლევა გახდა, რომელიც სოციალურმა ქსელმა 2 წლის წინ ჩაატარა.

ნინო ნატროშვილი

აუიოტაჟი სამეცნიერო ჟურნალ „Proceedings of the National Academy of Science“-ში გამოქვეყნებულ სტატიას მოჰყვა. მასალაში საუბარი იმ უნიკალურ კვლევაზე იყო, რომელიც კორნელისა და კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა Facebook-თან ერთად ჩაატარეს. ავტორებმა დაახლოებით 700 000 მომხმარებლის პროფილი შეარჩიეს და ერთი კვირის განმავლობაში მათ სიახლეების გვერდზე (news feed) პოსტების ჩვენების პრინციპი შეუცვალეს: ნაწილს პოზიტიური შინაარსის კონტენტი შეუზღუდეს, ნაწილს კი – ნეგატიურის.

მოკლედ, ახლა ალბათ ნაკლებად გემასხორებათ, მაგრამ თუ ორი წლის წინ 11-18 იანვრის შუალედში თქვენი მეგობრების პოსტები ზედმეტად ნეგატიურად ან, პირიქით, მხიარულად გამოიყურებოდა, ამ ექსპერიმენტის ერთ-ერთი მონაწილე იყავით. კვლევის ორგანიზატორი მეცნიერები კი აკვირდებოდნენ, სევდიანდებოდა თუ არა თქვენი და პროცესში ჩართული სხვა მომხმარებლების სტატუსები, როცა მხოლოდ ნეგატიურ კონტენტს ხედავდით და, პირიქით, ხდებოდა თუ არა ხალისიანი იმ ადამიანების პოსტები, რომლებსაც მხოლოდ პოზიტიური news feed ჰქონდათ და რამდენად გადამდებია ემოცია სოციალურ ქსელში. კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, მეცნიერმა ადამ კრამერმა ექსპერიმენტის მოტივად მომხმარებლებზე სოციალური ქსელის ემოციური ზეგავლენის ხარისხის შესწავლა დაასახელა: „გვინდოდა, დაგვემოტივებინა ან, პირიქით, გაგვექარწყლებინა გავრცელებული შეხედულება, თითქოს პოზიტიური შინაარსის პოსტები სხვა

მომხმარებლებში გაღიზიანებას და მარტოობის შეგრძნებას იწვევენ. ასევე, გვსურდა შეგვემოწმებინა, შესაძლებელია თუ არა მეგობრების უარყოფითმა ემოციებმა ადამიანს სოციალური ქსელის დატოვებისკენ უბიძგოს“, – აღნიშნა მან.

შედეგად აღმოჩნდა, რომ მომხმარებლები ხშირად ემოციების საერთო ტალღას მიჰყვებიან და ზოგადი განწყობა მათ ინდივიდუალურ განწყობაზეც აისახება: ის ადამიანები, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში თვალს მხოლოდ უარყოფით კონტენტს ადევნებდნენ, პოზიტიური შინაარსის სიტყვებს 0,1%-ით ნაკლებად იყენებდნენ, ის მომხმარებლები კი, რომლებიც დადებით პოსტებს ხედავდნენ, ნეგატიური კონტენტის გამოქვეყნებას 0,07%-ით ამცირებდნენ. საბოლოოდ კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ ემოციური მდგომარეობა გადამდები პირდაპირი კონტაქტის გარეშეც შეიძლება იყოს.

თუმცა მასობრივი კრიტიკა და უკმაყოფილება სოციალურ ქსელს ექსპერიმენტის შედეგების გამო არ დაუმსახურებია. საქმე ის გახლავთ, რომ 700 000-მდე მომხმარებლიდან ამ პროცესში მონაწილეობის შესახებ არცერთმა არაფერი იცოდა. შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ Facebook კვლევას მათი ნებართვის გარეშე ატარებდა. ბევრმა მათგანმა ექსპერიმენტს „ბოროტი“ უწოდა, უფლებადამცველებმა კი დასვეს კითხვა: კიდევ რა ფსიქოლოგიურ მანიპულაციებს მიმართავს Facebook, რომელთა შესახებაც ადამიანებმა არაფერი იციან და შეიძლება ვერც ვერასდროს გაიგონ? სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს სოციალურ ქსელებში ასეთი ტიპის საიდუმლო ექსპერიმენტებმა?

ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა ჯიმ შერიდანმა გამოძიების ჩატარებაც მოითხოვა და Guardian-თან საუბრისას აღნიშნა, რომ Facebook-ს ადამიანების განწყობებით მანიპულირება სხვადასხვა მიმართულებებით შეუძლია: „ეს ძალიან მძლავრი რამაა და თუ ამ შემთხვევაში მომხმარებლების დასაცავად შესაბამისი კანონმდებლობა არ გვაქვს, ის აუცილებლად უნდა შეიქმნას. თუ ადამიანების აზროვნების მართვას ასე ცდილობენ, მაშინ აქ საჭიროა მათი დაცვა ან უკიდურეს შემთხვევაში, გაფრთხილება მაინც“, – განაცხადა ჯიმ შერიდანმა.

მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს გრიმელმანმა კი აქცენტი კვლევის არაკანონიერებაზე გააკეთა. პროფესორმა აღნიშნა, რომ ექსპერიმენტი ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის სტანდარტებს და თავად სოციალური ქსელის წესებსაც არ შეესაბამება, რადგან პოსტებს, რომლებიც მომხმარებლებს „იძულებითი“ გზით უჩნდებათ, სპეციალური აღნიშვნა უნდა ჰქონდეთ, ისეთი, როგორიც, მაგალითად, სარეკლამო პოსტებს აქვთ. ამას გარდა, ექსპერიმენტი არ იყო შეთანხმებული ეთიკის კომიტეტთანაც.

თუმცა მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სპეციალისტი, მაგალითად ელმპერსტის უნივერსიტეტის პროფესორი კეტრინ სლეჯ მური მიიჩნევს, რომ ამ ექსპერიმენტში არაფერი სახიფათო ან კანონსაწინააღმდეგო არ არის: „სოციალური ქსელი ექსპერიმენტებს სიახლეების გვერდთან დაკავშირებით პერიოდულად ატარებს. თანაც არსებობს შეთანხმება მომხმარებლებთან, რომელსაც თითოეული ადამიანი ქსელში რეგისტრაციისას ადასტურებს. შესაბამისად,



არაფერი უჩვეულო და შემამოფოთებელი ამ კვლევაში არ არის“, – აღნიშნავს კეტრინ სლეჯ მური.

შეთანხმებაში, რომელსაც თითოეული ჩვენგანი ვეთანხმებით, მართლაც ნათქვამია, რომ ჩვენი ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იყოს შიდა ოპერაციებისთვის, პროგრამული შეცდომების გასასწორებლად, მონაცემების ანალიზისთვის, ახალი ოპერაციების ტესტირების, სერვისის გამოკვლევისა და გაუმჯობესებისთვის. ამას გარდა, იგივე შეთანხმება სოციალურ ქსელს საშუალებას აძლევს, საიტის კონტენტი თუ სიახლეების გვერდის ალგორითმი საკუთარი სურვილით შეცვალოს.

აღამ კრამერმა მომხმარებლებს მთელი გუნდის სახელით უკვე მოუბოდიშა და თქვა, რომ მეცნიერებს არავის გალიზიანება არ სურდათ: „ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რათა სერვისები გავაუმჯობესოთ და Facebook-ის კონტენტი რაც შეიძლება მიმზიდველი და რელევანტური გავხადოთ. ამისთვის კი მნიშვნელოვანია გავიგოთ, როგორ რეაგირებენ ადამიანები პოზიტიურ და

ნეგატიურ კონტენტზე. ვწუხვართ იმ შემოთვლების გამო, რომელიც ექსპერიმენტს მომხმარებლების მხრიდან მოჰყვა“, – აღნიშნავს ის.

თავად Facebook-ის წარმომადგენლები კი აღნიშნავენ, რომ კვლევის დროს არც ერთი ადამიანის პირადი მონაცემები არ ყოფილა გამოყენებული. ასეთი ექსპერიმენტები სოციალური ქსელის პირობებითაა დაშვებული და მათ ყველა მომხმარებელი ეთანხმება, თუმცა საჯაროდ მოიხადა ბოდიში მთავარმა ოპერაციულმა დირექტორმა შერილ სენდბერგმაც. „ეს იყო ხანგრძლივი კვლევის ნაწილი, რომლებსაც კომპანიები ახალი პროდუქტების დასატესტად მიმართავენ ხოლმე, თუმცა გვქონდა კომუნიკაციის ნაკლებობა და ამისთვის ბოდიშს გიხდით. ჩვენ არ გვინდოდა ვინმეს გალიზიანება“, – განაცხადა მან.

მიუხედავად ამისა, მომხმარებლების უკმაყოფილებას უკვე შესაბამისი ორგანოების რეაგირებაც მოჰყვა. აშშ-ს პირადი ელექტრონული მონაცემების დაცვის ცენტრმა (Electronic Privacy Information Center, EPIC) ქვეყნის ფედერა-

ლურ სავაჭრო კომისიას ექსპერიმენტთან დაკავშირებით საჩივარი გაუგზავნა და მომხმარებლის დაკავშირებით გამოძიების ჩატარება მოსთხოვა. „კომპანიამ მიზანმიმართულად შეიტანა მლელვარება ადამიანების ფსიქიკაში“, – ნათქვამია საჩივარში. EPIC საუბრობს იმაზეც, რომ ჩატარებული ექსპერიმენტი ეწინააღმდეგება ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც ამგვარ კვლევებთან მიმართებაში მოქმედებს. ამას გარდა, პირადი ელექტრონული მონაცემების დაცვის ცენტრი სოციალური ქსელისგან სიახლეების გვერდის ფორმირების ალგორითმის გასაჯაროებასაც მოითხოვს.

ფაქტთან დაკავშირებით ძიება დაიწყო დიდი ბრიტანეთის ინფორმაციის მართვის კომისარმაც. The Financial Times-ის ცნობით, მარეგულირებელი გამოიძიებს, დაარღვია თუ არა სოციალურმა ქსელმა კანონი მონაცემთა დაცვის შესახებ. თუ ეს ფაქტი დადასტურდება, სოციალურ ქსელს შესაძლოა 500 ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა და კონფიდენციალურობის პოლიტიკის წესების შეცვლაც დაეკისროს. ■

ქართვების ოღისაა მსოფლიო ინტერნეტში

ლევან ბერძენიშვილი

რა თქმა უნდა, მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს იმ მიზნით არავინ კითხულობს, რომ იქ საკუთარ სამშობლოზე, ქალაქზე, შეყვარებულზე, ბიოგრაფიაზე, საკუთარ თავზე რაღაც მინიშნებები იპოვოს. თუმცა, როცა ბევრს კითხულობ, იქედან მიღებული ინფორმაცია, რომ სადღაც ჩვენი ქვეყანა, ქალაქი, თვისებები, ქართველი პერსონაჟი ან რომელიმე ჩვენი დიდი პოეტია ნახსენები – მეხსიერებაში ილექება.

როცა ყურადღებით კითხულობ, შეუძლებელია ასეთი რამ გამოგეპაროს. ბევრმა კითხვამ კი ამ ყველაფერის სტრუქტურულად გამოკვეთა იცის და გეჩვენება, რომ მსოფლიო ლიტერატურა საერთოდ იმისთვის ინერება, რომ მასში ჩვენი ცხოვრება აისახოს. ეს არის პერსონოლოგიური მიდგომა, რომელიც იმ დიდი მწერლების ნააზრევს ეყრდნობა, რომლებიც ამბობდნენ, რომ ლიტერატურული ნაწარმოები დამთავრებული არასოდეს არის, მას მკითხველი ასრულებს. თუმცა მკითხველი მას კითხვისას ასრულებს და ერთხელ დასრულებული მასთან მეორედ, მესამედ, ან მეოთხედ მიახლებისას შეიძლება სხვაგვარად დაასრულოს. მკითხველი ასრულებს იმ აზრებსაც, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციას ეხება.

ქართველი პერსონაჟი, რა თქმა უნდა, ყურადღებას იქცევს. ევროპული ლიტერატურის პირველსავე ნაწარმოებში, რომელსაც „ილიადა“ ჰქვია, ქართველი პერსონაჟია, თანაც არც უმნიშვნელო და არც მეორეხარისხოვანი. მსოფლიოს პირველივე შედეგში არის ქალი, გარკვეული გაგებით ჩვენი მამიდა. მამიდას იმიტომ ვუწოდებ, რომ ჩვენ თავს ძირითადად მედეას თაობასთან ვათანაბრებთ. ჩვენი, ქართველების კულტურა

მსოფლიოსთვის არგონავტებით იწყება. უცხოურენოვან Wikipedia-ში მედეას შესახებ ინფორმაციას მისი სახელის ბერძნული და ქართული ფორმები აქვს მითითებული.

მსოფლიო ლიტერატურაში ჩვენ ნამლებთან, სანამლავებთან და მედიცინასთან დაკავშირებული ხალხი ვართ. ჩვენი პირველივე წარმომადგენელი ქალი გრძნეულია. ასე რომ, ჩვენ, ქარ-

■ ყველგან მსოფლიოში, სადაც არსებობს სკოლა და სწავლობენ წერა-კითხვას, აუცილებლად არსებობს სახელმძღვანელო, რომელშიც არგონავტების მითი ფიგურირებს და ყველამ ვიცით, რომ ამ მითის მთავარი მამოძრავებელი ძალა ხომალდი „არგო“ და იასონი კი არა, შოკისმომგვრელი ქართველი ფიგურა – ქალბატონი მედეაა.

თველებს ჯადოქრის როლი გვაქვს. მთავარი ჯადოქარი კი კირკეა. მასზე დიდ ჯადოქარს არც „ილიადა“ და არც ჰომეროსი არ იცნობენ.

კირკე მნიშვნელოვანი ქართველი პერსონაჟი ქალია, თუმცა მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს ერთი სახე, რომელიც გენდერზე საუბრისას ყველაზე მთავარია – ქალზე საუბრისას, მსოფლიო ლიტერატურაში არ არსებობს მედეაზე უფრო მნიშვნელოვანი სახე,

და არც იმდენი რემისცენცია არსებობს ვინმეზე, რამდენიც მედეაზე.

დარწმუნებული ვარ, ახლა, თქვენ მიერ ამ ტექსტის კითხვისას, მედეაზე ვილაც რომანს წერს. 2011 წელს მის შესახებ ახალი ოპერა დაიდგა, 2014 წელს რაღაც უკვე გამოიცა და ა.შ. ეს ამოუწურავი სახეა.

არსებობდა დავა – ცნობადობის თვალსაზრისით ვინ იყო „მსოფლიო ჩემპიონი“ ქართველი – სტალინი, ზვიად გამსახურდია თუ მიხეილ სააკაშვილი. სამწუხაროდ, ამ დავაში არ მონაწილეობდა შოთა რუსთაველი, ადამიანი, ვინც ყველაზე მეტად იმსახურებდა ამ სტატუსს. ეს დავა ყველას წაგებული აქვს. ყველგან მსოფლიოში, სადაც არსებობს სკოლა და სწავლობენ წერა-კითხვას, აუცილებლად არსებობს სახელმძღვანელო, რომელშიც არგონავტების მითი ფიგურირებს და ყველამ ვიცით, რომ ამ მითის მთავარი მამოძრავებელი ძალა ხომალდი „არგო“ და იასონი კი არა, შოკისმომგვრელი ქართველი ფიგურა – ქალბატონი მედეაა.

ამას გარდა, არსებობდნენ მწერლები, რომლებმაც, როგორც მწერლებმა, ფეხი თბილისში აიდგეს. თბილისის ისტორიკოსები და ქალაქის თუ ქვეყნის იმიჯმეიკერები რატომღაც ამას ხაზს არ უსვამენ. უცნაურია, იმიტომ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე დიდი მწერალმა სწორედ თბილისში აიდგა ფეხი და რომ არ არსებულიყო ქალაქი თბილისი, ის კაცი მწერალი არ იქნებოდა.

ეს ადამიანი ლევ ტოლსტოი გახლავთ, რომელიც, როგორც სამხედრო, თბილისში აღმოჩნდა და იმ სპეციფიკური გარემოებების გამო, რომლის


შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ, წერა დაიწყო.

ლევ ტოლსტოი იმ გვარის, წარმომავლობისა და სხვა სიკეთების კაცი იყო, რომელიც არ შეიძლებოდა მწერალი ყოფილიყო. როდესაც არისტოკრატი ხარ, შეიძლება ლექსებს წერდე და ამით ერთობოდე, როგორც ერთობოდა გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ არ შეიძლება ეს შენს ძირითად საქმიანობად აქციო. მისთვის სირცხვილი იყო მწერლობა, ადვოკატობა, ექიმობა. მისთვის დასაშვები ერთადერთი საქმიანობა სამხედრო სამსახური გახლდათ.

წარმოიდგინეთ 1850-იანი წლების თბილისი, მსოფლიოს მნიშვნელოვანი იმპერიის ერთ-ერთი სათადარიგო სატახტო ქალაქი, კავკასიის დედაქალაქი, სადაც მეფისნაცვალი „ზის“. ქალაქში თითქმის არ ცხოვრობენ ქართველები, ადგილობრივთა უმრავლესობას სომეხი და რუსულენოვანი მოსახლეობა შეადგენს. აქ ჯერ არ არსებობს არც ბიბლიოთეკა, არც მუზეუმი, არც თეატრი, არც რესტორანი, სადაც ტოლსტოი შეიძლებოდა წასულიყო. არის დუქნები, სადაც ინება „ხორევაცი“, ანუ დიდი მწვადი, სომხური მწვადი; არის კახური ლეინო, ქალაქური გინება, განევ-გამონევა, დუდუკი და სხვა. მოკლედ, ტოლსტოიმ იქ ერთი-ორჯერ შეიარა და მოიხინა. წარმოვიდგინოთ გენიოსი, რომელმაც ჯერ არ იცის, რაში მდგომარეობს მისი გენია, არის სამხედრო, სჭირდება ომი, ბრძოლა, არადა იყოფება მშვიდ თბილისში, სადაც არაფერი ხდება.

თავდაპირველად ტოლსტოიმ გრძელი წერილების წერა დაიწყო. მათი წერის დროს იგრძნო, რომ შეუძლია, აღწეროს თავისი ბავშვობა. ამ მოსაწყენ ქალაქში მონატრება მოაწვა. თბილისმა მსოფლიოს მწერალი სწორედ იმიტომ აჩუქა, რომ იმ მომენტში ის არ ვარგოდა, როგორც ქალაქი, სამაგიეროდ ივარგა, როგორც ამ კაცის აკვანმა.

ტოლსტოის „ბავშვობა“ თბილისში ყოფნის დროს დაიწერა. ეს ადგილი და დრო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწერლის დაბადების დროდ და ადგილად იქცა. ამის შემდეგ, ლევ



ტოლსტოის წანარმოებებში თბილისის, საქართველოს ან ქართული გვარის ყოველი გაეღვება სიკეთის ნიშნითა მარკირებული.

არ ვიცი რამდენად ცნობილია ეს ამბავი, მაგრამ 1910 წელს სახლიდან გაქცეული ტოლსტოი სასიკვდილოდ საქართველოში გამოიბოდა – ქართველები კარგი ხალხია, არაფერს ითვლიანო.

გარდა ამისა, არსებობენ პირდაპირი მოწმეებიც, რომლებმაც ჩვენი ქალაქი აღწერეს: დიუმა, რომელმაც შესანიშნავი ნიგნი დაწერა. ეს ნიგნი ყველა ქართველს უყვარს, ვინც ის ნაიკითხა. იმიტომ, რომ მასში მთელი რეგიონის მასშტაბით ქართველებს მიენიჭათ უპირატესობა. ეს უგემრიელესი ლუკმაა. უცხოზომაც კი დაინახა ჩვენი განსხვავებულობა. ამ ნიგნში ჩვენ მოგვწონს ჩვენი თავი.

ვიცნობთ სხვა ტიპის მწერალსაც, რომელიც საქართველოში ისე ჩამოვიდა, როგორც მანამდე ამერიკაში ჩადიოდა, ოცდაორი პროფესია გამოიცვალა, საქართველოში სამხედრო გზით ჩუმად შემოიპარა და დღევანდელ ათონელის ქუჩაზე, N31-ში, ყოფილ სასტუმრო „ლონდონში“ დაბინავდა.

კნუტ ჰამსუნმა დაწერა ნიგნი, რომელიც ამბივალენტურია იმ თვალსაზრისით, რომ სიკეთეც ბევრი დაინახა და ისიც აღნიშნა, რაც არ მოეწონა. ის ჩრდილოელი, ნორდიკული კაცი იყო, ყოველთვის ჰქონდა ნორდიკული გადახრა. ამიტომაც, არ უნდა გვეწყინოს, რომ თბილისშიც და ბათუმშიც ჰამსუნმა ჰიგიენა დაგვიწუნა. ჰამსუნმა ამბივალენტურად შეგვაფასა – ერთი მხრივ, მან ზღაპრის მხარე დაინახა, მეორეს მხრივ კი, არასწორად მოწყობილი ცხოვრება, რამაც გააოგნა კიდეც – მწერალი ევროპულ ქვეყანაში მოდიოდა, სადაც საკმაოდ არაევროპული ჰიგიენა და დროსთან დამოკიდებულება დახვდა. ახლა ეს ყველაფერი იცვლება.

გარდა ამისა, კნუტ ჰამსუნმა თავის შემოქმედებაში ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი მეფეთ-მეფე თამარს უძღვნა. ამ პიესასთან ჩვენ რთული დამოკიდებულება გვაქვს, იმიტომ, რომ იგი არ არის იმ თამარზე, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. თუმცა მასში ჩვენი მეფე მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ ფიგურადაა დახატული. ჰამსუნმა ქართულ სახელებში კარგად ვერ გაერკვა, ამიტომაც პიესაში ვილაც ფატიმებიც გვხვდებიან. ყველაფრის მიუხედავად, უნდა ვთქვათ, რომ ეს ერთ-ერთი ის შემთხვევაა, როცა ქართველი ქალი კვლავ ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზეც ის ევროპიდემ აიყვანა. აქ არ ვსაუბრობთ იმაზე საყვარელი

პერსონაჟია თუ არა, აქ ვსაუბრობთ სიმაღლეზე, იმიტომ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა თეატრის სცენაზე ეს პიესა დღესაც იდგმება – შესაძლოა საქართველოს ისტორიაში ვერ ერკვევიან, მაგრამ იმას ხომ მაინც ხვდებიან, რომ საქართველო და თამარი მნიშვნელოვანი იყო?!

საქართველომ მსოფლიო ლიტერატურას აჩუქა პერსონაჟები და ამ პერსონაჟებს ჰქვიათ მედეა, კირკე და თამარი. საქართველომ მსოფლიოს ვერ აჩუქა ტარიელი, ავთანდილი, თუმცა ამის მცდელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა. თავს ზემოთ ძალა არ არის, ჯერჯერობით ასეა.

მსოფლიო ლიტერატურაში არიან ადამიანები, რომლებიც შეცდომად მიიჩნევენ იმ აზრს, რომ შოთა რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა მსოფლიო კომპენდიუმის ნაწილი არ არის. ასეთია უმბერტო ეკო. მისი აზრით, შოთა რუსთაველს მსოფლიო უნდა იცნობდეს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მგონია საქართველოს გამოწვევანი მყარობი გაჩენა. მაგალითად, თითქოს არსებობს 1934 წელს თბილისში გამოცემული წიგნი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია უმბერტო ეკოს „ვარდის სახელის“ გასაგებად. რეალურად, ასეთი წიგნი არ არსებობს, უბრალოდ, ეკომ მოიგონა. ეს გარკვეული გაგებით არის ის მცდარი, ზოგჯერ განზრახ მცდარი მითითებები, რომლებსაც ნაწარმოებებში ხშირად ვაწყდებით.

აი, მაგალითად: კლავდია შოშას ქმარი ამიერკავკასიის დედაქალაქში „ზის“, გასაგებია, რომ თბილისში უნდა იყოს, მაგრამ რატომღაც ეს დედაქალაქი დალესტანშია, რატომღაც დალესტანი ამიერკავკასიაშია და ამავე დროს ის რუსეთის დაბლობია. არადა, თომას მანმა მშვენივრად იცოდა, სად იყო თბილისი. ეს არის მისი პერსონაჟების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

ნებისმიერმა ადამიანმა, რომელსაც ოდნავი შეხება მაინც ჰქონია ბიზნესთან, შესაძლოა არაფერი იცოდეს დედამიწის ზურგზე, მაგრამ იცის ბაქოსა და ბათუმის შესახებ. იცის იმიტომ, რომ ყველაზე მნიშვნელოვან ნავთობსადენს ბაქო-ბათუმის სახელი ერქვა.

იმ ეპოქაში, როდესაც ჰამსუნი ბათუმში მიდიოდა, ის მიდიოდა მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქში. ბიზნესის სფეროში თუ ვინმე ცნობილი გაგვიგია – სიმენსი, ნობელი თუ სხვა – საქართველოში ყველას ფილიალი ჰქონდა და აქვე ცხოვრობდა.

XX საუკუნის დასაწყისის უამრავ ნაწარმოებში, სადაც კი ნავთობის ამბავი, ინდუსტრია ნახსენები, ეს ადგილები ფიგურირებს. შემთხვევით არ არის, რომ კლავდია შოშას ქმარი ამიერკავკასიაში, ანუ თბილისშია, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა თბილისი და საქართველო „ჯადოსნურ მთაში“ ნახსენები არ არის.

მომისმენია ასეთი ფრაზა – „დოსტოვესკი რა მწერალია, თუ იგი კატკოვის მეგობარი იყო“. ვიცით ვინ

■ საქართველომ მსოფლიო ლიტერატურას აჩუქა პერსონაჟები და ამ პერსონაჟებს ჰქვიათ მედეა, კირკე და თამარი. საქართველომ მსოფლიოს ვერ აჩუქა ტარიელი, ავთანდილი, თუმცა ამის მცდელობა, რა თქმა უნდა, ჰქონდა. თავს ზემოთ ძალა არ არის, ჯერჯერობით ასეა.

იყო კატკოვი. ილია ჭავჭავაძემ სათანადო პასუხი გასცა მის დაცინვას – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა ქვეყანამ სცენაზე ისტორიული ქართული დროშები ააფრიალა. დაგვცინა კატკოვმა და ჩვენ სწორად გავეცით პასუხი, რადგან დავინახეთ დაცინვა, თანაც იმპერიალისტური, მაგრამ ვერ შევნიშნეთ ჩვენი მდგომარეობის სასაცილოობა – იმპერიის შემადგენლობაში ხარ, ქართულად საუბრის უფლება არ გაქვს, ერთმანეთს წერილებს რუსულად წერ და ამას ვერ აპროტესტებ. ამ დროს კი დროშებს აფრიალებ.

არადა დოსტოვესკი, რომელიც მხილებულია ანტისემიტობაში, სხვა ცუდ ამბებში, ქართველების „გინებით“ მაინც დამაინც არ იკლავს თავს, თუმცა არც გვაქვს... მისი ქება არავის უნახავს, შეურაცხყოფა კი – ბევრს. მან „აგინა“ ინგლისელებს, ფრანგებს, ებრაელებს, პოლონელებს...

მწერლებისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ განსაკუთრებულ აპოთეოზს მამინ მიაღწია, როდესაც თბილისში ჩამოვიდა კაცი, რომელიც კარგად მივიღეთ. მან ჩაატარა ლექცია, მოვეფერეთ. წასულს კი წყევლა და კრულვა მივაცოლეთ. თურმე მის რომანში ქართველი ქალი არასწორადაა დახატული. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ქართველი ქალის, როგორც მორალურად დაცემულის წარმოდგენა, არ შეიძლება. ანუ განმეორდა მიხეილ ჯავახიშვილის გასამართლება, რომელიც საბჭოთა საქართველოში მოხდა. ჯავახიშვილი მოკლეს, მაგრამ შემდეგაც არაერთხელ კლავდნენ მას. კლავდნენ მის სპექტაკლს, კლავდნენ ორი მოტივით: არ მოსწონდათ მარგო, არ მოსწონდათ ნანარმოები. თან მსახიობს ფეხიც გამოუჩნდა! ბევრი არაფერი, „ცოტა გამოუჩნდა“, მაგრამ გამოუჩნდა!

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა რომ, ის, რაც საქართველოში ორჯან ფამუქს დაემართა, დაემართება უამრავ მწერალს, თუ ჩვენი საზოგადოება კითხვას დაიწყებს. დაგისახელებთ მწერლებს, რომლებიც იმიტომ უნდა წავიკითხოთ, რომ მერე „ამოვთხაროთ, სანამ დროა“:



პინდარე – მეოთხე პითიური ოდა. აქ მედეაზეა საუბარი და ამოსადირკვია, რადგან ქართველ ქალზე არასწორად საუბრობს. ვერიპიდე გასაგებია. სერიოზულად გადასახედა თუკიდიდე და ჰეროდოტე, დიდი ისტორიკოსები, რომლებსაც ყოველთვის სწორად არ ესმით ქართული ტომების ფუნქცია მსოფლიო განვითარებაში და არ ახვედრებენ მათ მსოფლიოს ცენტრში. უნდა ვიცოდეთ, რომ დანტე ალიგიერიც შემწნეულია ქართველების ხსენებაში; ბოკაჩოც კი, ფანტასტიკურად კარგი და კეთილი კაცი, რომელსაც ზურიკელა ვაშალომიძეც კი კითხულობ-

და, ახსენებს ქართველებს. თამარის გამო ახლო პერიოდში არაერთხელ გვახსენეს. არ ვიტყვი რა ხდება ამ თვალსაზრისით სპარსულ პოეზიაში და რას ამბობენ არაბები, მაგრამ ვიცოდეთ, რომ პორტუგალიური ლიტერატურის საფუძველთა საფუძვლის წიგნში წერია, რომ ევროპის მოვალეობაა, გადაარჩინოს საქართველო, სომხეთი და საბერძნეთი თურქეთისგან. ასეთი რამის გაუღერება შეგვიძლია მსოფლიოს პლუსში ჩავუთვალთ. ქართველი ქალი ბალზაკმა მხოლოდ ფიზიკური თვისებების გამო მოიწონა. შეგვიძლია პრეტენზია წაუყენოთ – რატომ სულიერ თვისებებს არ გაუსვა ხაზი?!

მარტივ წარმოდგენას, თითქოს ქართველების გაკრიტიკების უფლება მხოლოდ ჩვენ გვაქვს, მივყავართ მთავარ სათქმელამდე:

ჩემს ახალგაზრდობაში, მაშინ, როდესაც ციხეში ვიჯექი, საქართველოში დიდი ნაციონალური სკანდალი მოხდა, რომელშიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, მთავრობა, მწერლობა, მალაროელები, კომპოზიტორთა კავშირი... ჩაერთო. ერთ-ერთმა ქართველმა მწერალმა რუსი კოლეგა – ვიქტორ ასტაფიევი – დაპატიჟა, რომელიც „სასტიკი“ ნაწარმოებების წერაში იყო შემჩნეული. მაგალითად, მან დაწერა ნაწარმოები, სადაც აღნიშნა, რომ რუსები ვერასოდეს იგებდნენ ვერცერთ ბრძოლას, სანამ გერმანელთა საცოდავი ოცეულის წინააღმდეგ დიდ არმიას არ შეკრებდნენ და 100-100 გრამს არ დალევდნენ. ასეთ რამეებს წერდა ასტაფიევი რუსებზე და რუსებს არ უყვარდათ ის; იგი ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა და თანამედროვე რუსეთის, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი მწერალი, კინალამ დაუმარხავი დარჩა.

მოთხრობაში „ციმორების ჭერა საქართველოში“, ის ყვება, რომ საქართველოში, როგორც ტარიელის ქვეყანაში რომანტიკული განწყობით ჩამოდიოდა, თუმცა ჩამოსულმა სხვა ტარიელების ქვეყანა აღმოაჩინა. აღმოაჩინა აქ არსებული კონფლიქტები, გაუტანლობა, მოხუც დედასთან დამოკიდებულება,



სიძუნე, რომელიც ჩვენც კარგად ვიცით და არ მოგვწონს.

ასტაფიევა ეს ყველაფერი აღწერა, ჩვენმა საზოგადოებამ კი აღიქვა, რომ ეს იყო განაჩენი, რომელიც მან ქართველობას გამოუტანა. არც ეს იქნებოდა ცუდი, ქართველს რომ გაეკეთებინა, მაგრამ რომელმა ქართველმაც ეს გააკეთა, ის ქართველის ხელითვე მოკვდა და არაფერია გასაკვირი, რომ ასტაფიევსაც კლავდნენ. ასტაფიევი „დამარხეს“, აფეთქდა მთელი საქართველო, დაიწყო კოლექტიური წერილების წერა, რომ

„მის ფეხქვეშ მინა უნდა ინვოდეს და რომ ჩვენ ამას ასე არ დავტოვებთ“. არადა არავინ წაიკითხა რა ეწერა მოთხრობაში, არ წაუკითხავთ მისი ღრმა სიმპათია იმ ქართველების მიმართ, რომელსაც ის ქართველებად მიიჩნევდა. ჩამოთვლილთაგან ეს ყველაზე მწვავე შემთხვევაა – ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა უცხოელის თვალთ დანახული საქართველო. არადა, იცით ეს რომელი საქართველოა? სწორედ ისაა, რომელიც ოცდახუთი წელია დამოუკიდებელია და ჯერ ვერ გავასწორეთ, რომელიც იქამდე იყო მისული, რომ მის გასწორებას ოცდახუთი წლის შრომა არ შეეღობა. აი, ამ ქვეყნის კრიტიკა ვერ ავიტანეთ.

მოთხრობაში წერია, რომ დედას სინათლე დარჩა ანთებული და შვილმა ეს ვერ აიტანა, რომ ვილაცხას ვილაცხისთვის რაღაც დაენანა და ა.შ. ტყუილი არაფერია, მაგრამ ასეთი ლიტერატურა არ გვინდოდა. ნაცვლად იმისა, რომ პრობლემას შევხედოთ და მადლობა ვუთხრათ ყველას, ვინც ამ პრობლემას დაგვანახებს, ჩვენ ასტაფიევს ისე დავეტაკეთ, რომ მან თქვა, ცუდი არაფერი მინდოდაო. კი ეწყინა, მაგრამ მისი წყენა „სად მოვა მის მიერ ჩვენს წყენასა და შეურაცხყოფასთან?!“

ველი, როდის დადგება დრო, როდესაც ქართველები კიდევ ერთხელ გადავიკითხავთ ამ მოთხრობას, აღმოვაჩინოთ, რომ ეს ის მოთხრობაა, რომელიც უნდა ვიცოდეთ, წავიკითხოთ და მივიღოთ. ჯერ არ დამდგარა დრო, როდესაც ჩვენ შეგვრცხვება მაშინდელი ნამოქმედარის.

ჩვენი კრიტიკის უფლება არავის აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ლიტერატურის შეფასებაზე ჯერჯერობით ასეთი ნახევრად ირონიული ტექსტებით გვინევს საუბარი. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, ჩვენი მთავარი პრობლემა ის, რომ ადამიანები, რომლებმაც იციან, რა არის ლიტერატურა, არასოდეს იკადრებენ, მაგალითად, ოჰრან ფამუქის ადვოკატობას, რადგან ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ამით მხოლოდ თავს დაიმცირებენ. ხოლო ისინი, ვისაც არაფერი წაუკითხავთ, ქუჩაში დაგვხვდებიან და გვცემენ, ისე, როგორც ზაზა ბურჭულაძეს. □

ინ მოიბოვებს მსოფლიო თასს, სამხრეთ ამერიკისა თუ ევროპის ქვეყნის გუნდი? * რიუ-დე-ჟანეიროში ჩაგულნის მსოფლიოს უძლიერესი ტენისკარტები * ძველავ იმპარატორს კვსტარალიური კოალი, * მთავარი გეგმული გეგმარებით—სფალტზე * ამერიკის ნიხონსონის ფედერაცია თაღლითობს




ხელბურთელ თ. ანთაძეს გააქვს 6 ბურთი

12 მაისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სპორტის მრავალი რეპლი ინტერესით ადევნებდა თვალს საქალაქთაშორისო შეხვედრის ხელბურთში (11x11). თამაშობდნენ ვორონეის „კურსანია სახა“ და თბილისის დიუკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენ-საწყობიდანე მასპინძლების იერიშები მწვავე და მოუქვრე იყო. ისინი ახერხებენ კართან უფრო თავისუფლად გახვალს იერი ტურცუნების განხორციელებას. მე-8 წუთზე ანთაძეს გააქვს პირველი ბურთი, მაღლ შირიანაშვილმა მოხდენილად გააქვს მეექვსე და მღიერი ტურცუნით ანგარიში გაწარმოა. ამის მიერ მიწოდებული ბურთი ლამაზად გაიტანა ჩხიკაძემ ბოლო 10 წუთი თანაბარ ბრძოლაში ჩატარდა და ან-4:2 დამთავრდა. შეხვედრის შემდეგ კვლავ თბილისელები ახდნენ და მათ შედარებით მეტი გამოცდილების მქონე მეტე საბატო გამარჯვება (11:4) მოიპოვეს. მასპინძლებიდან მოდნენ მეკარე კარაბეტოვი, თავდასხმელები ჩხიკვაძე, ში-ლო და განსაკუთრებით თ. ანთაძე, რომელმაც მოიწინააღმდეგა 6 ბურთი გაიტანა.

სტუმრებმა თამაშს დედაქალაქის „ბურჯვეტის“ წი-გამარჯვებს თბილისელებმა — 13:9.

რათ ზე: ასპარეზობის მომენტი.



რე პნახე მსოფლიო პირველობაზე

სტადიონზე მსოფლიო თასის მატჩის დროს მსოფლიო თასის მატჩის დროს მსოფლიო თასის მატჩის დროს...



პირის აკაბაკი

საბრძოლო დასახელება: ისტა...

ქართული საბჭოთა ჰეხსა და ფახეხითის მსოფლიო ჩეხვიონახის პიხვიდი სნოზა

გორგი კეკელიძე

თავიდან ეგრე იყო – ივერიაში ეწერა, გურულები და მეგრელები ბურთაობაში შეეჯიბრნენო, მეგრელები ორჯერ მეტნი იყვნენ და მოუგესო, მერე ამას მოჰყვა პირველი მერცხლის ამბები და ფოთური შფოთვა. სერალექსის არ იყოს, ფეხბურთმა, ამ სისხლიანმა ჯოჯოხეთმა ჩვენს მამულშიც დაიდო ბინა – ვნებებით, ტკივილით, გენიოსებით, ზარმაცი გენიოსებით და უბრალოდ ზარმაცებით. იმედგაცრუებით და იშვიათი სიხარულით, რომელიც ხანდახან ეროვნული გამოხატვის ერთადერთ იარაღად თუ გამოდგებოდა.

ახლა მოგიყვებით საბჭოთა დროზე და პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც რკინის ფარდის აქეთ სულ სხვა დროს დაიწყო. აი, ჩრდილოეთ კორეამ რომ ბრაზილიას იქაურ მცხოვრებთათვის მოუგო – ისე. მანამდე იყო პირველი წიგნები

ფეხბურთზე. დიდნილად, ცხადია, რუსულ ენაზე და მათ შორის, ცოტა გვიან, ქართულადაც. მაგალითად, 1925 წელს გამოვიდა ფეხბურთის წესების წიგნი და მისი გადამუშავებული ვერსია, 1934 წელს, სახელგანთქმული გრომოვის რედაქციით. გამოცემა ინგლისური ტერმინების გადმოქართულების მცდელობაა და იქ ნაიკითხავთ, რომ გოლკიპერს კარგუშავი უნდა ერქვას, ბურთის კარზე გადაცდომას – ზეცდენი, აუტს – გარე, ტაიმებს შორის შესვენებას – ერთხანი და ასე შემდეგ. ამ გადმოსახედიდან ცოტა კომიკური რამ. ხოლო გაზეთი „ლელო“ 1934 წელს დაიბადა. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, როგორც უკვე გაცნეთ, მასზე წერა 1957 წელს დავიწყეთ – რა გასაკვირია და დათბობის პოლიტიკის ფარგლებში. ნინ შვედეთის მუნდიალი და

ბრაზილიის ეპოქის დასაწყისი გველოდა. „ლელოს“ 25 ივნისის ნომერში ნააწყდებით მცირე რეპორტაჟს სათაურით „ანგარიში 3:0“, მშრალი ინფორმაციით: „პირველი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე სსრ კავშირსა და პოლონეთის გუნდებს შორის დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ, ანგარიშით 3:0. გუნდი თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: იაშინი, ოგნკოვი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, ვოიონოვი, ნეტო, ტატუშინი, ივანოვი, სიმონიანი, სტრელცოვი, ილინი“. იმავე ხასიათის ცნობაა გაზეთ „კომუნისტი“, ნეკროლოგის ფორმატის ნაწერში: „ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა კოლექტივი ჩაება მსოფლიოს პირველობისთვის ბრძოლაში, ახლა მიმდინარეობს შერჩევითი შეხვედრები“. საინტერესო ისაა, რომ ხსენებულ გამოცემებზე უფრო ვრცლად შესარჩევ მატჩებს „ახალგაზრდა კომუნისტი“ მიმოიხილავს – საერთოდ იქ ნაგაწყდით პირველ ცნობას მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ, რომელიც 1957 წლის 14 მაისით თარიღდება და მართალია ძალიან მოკლეა, მაგრამ მაინც ყველა ქვეყნის შეხვედრას მიმოიხილავს.

დრო გამოხდა და „ლელო“ შეეცადა გულშემატკივრისთვის აეხსნა, თუ რა ხილი იყო მსოფლიო ფეხბურთის მთავარი ასპარეზობა. სტატია – „ბრძოლა ჟიულ რიმეს თასისთვის“ დიდწილად ინფორმაციულია და, სიმართლე ითქვას, მისი პათოსი, ამ ტურნირს ძალიანაც არ სწყალობს. კრიტიკა არ ისმის, ფავორიტებად ინგლისს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და საბჭოთა კავშირს ასახელებენ, მაგრამ სტატიის ენა მეტად სტერილურია და რომელიმე რაიონის სკოლების შეჯიბრის აღწერას უფრო მიაგავს – „მსოფლიო პირველობის გათამაშება ფეხბურთში ტარდება 4 წელიწადში ერთხელ, მაგრამ არსებითად იგი თითქმის განუწყვეტილად, „მართონულად“ მიმდინარეობს. გათამაშების საბოლოო, ფინალური მატჩი უნდა შედგეს 1958 წლის 28 ივლისს შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში“.

ეს ამბავი მხოლოდ ერთ რამეს მიუთითებს: საბჭოთა კავშირს, ერთი მხრივ, სამყარო მის ირგვლივ მოტრიალე ეგონა და, მეორე მხრივ, პოსტსტალინური ეპოქის ცნობისმოყვარეობა ილვიძებდა. მიჭრილ-მოჭრილი, მაგრამ მაინც ჟონავდა ამ კედელში ჯაზი, დასავლური კინო, ბურჟუაზიული ლიტერატურა, მერე როკი და როკ-ენ-როლი და მსგავსი „მავენ საქმენი“.


ასეა, დიდი, ადამიანური რამეების შეკავება არაფერს შეუძლია, მცდელობები დიდხანს ვერ გასტანს და მერე სასაცილოდ მოგეჩვენება. ცოტა საბჭოთა კავშირმაც აიტაცა მსოფლიო ფეხბურთი და ჩემპიონატი. მართალია, ნაძალადევი კრიტიკით და ხელოვნური „დაკვირვებით“, მაგრამ ყველა ოჯახის თაროებს დაეფუძნა წიგნები ამ მოვლენაზე – მხატვრული რომანები თუ სტატისტიკური კრებულები. ძალიან ცნობილი ავტორების – ცხადია. და არამხოლოდ საფეხბურთო ავტორების.

1958 წლის „ლელოც“ უკვე სხვანაირია. 8 ივლისის ნომერი ბორის პაიჭაძის წერილით იხსნება – „რა ვნახე მსოფლიოს პირველობაზე“. საფეხბურთო ამბებს შორის უკვე „იპარება“, რომ „შვეციის დედაქალაქი ულამაზესი ქალაქია. მთლად მწვანეში ჩაფლული, ხიდეებით, ნათელი სუფთა ქუჩებით, ლამაზი სახლებით, აურაცხელი მაღაზიებით. უაღრესად წესიერი სატრანსპორტო მოძრაობით – იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს“. დიდი სპორტსმენის ეს სიტყვები ცენზურამ ვერ, ან არ შეიმჩნია (ისევე როგორც გურამ ფანჯიკიძის საფეხბურთო რომანებში ჩართული დასავლური ამბები). მე ეს ფეხბურთის მაგიური ძალის მიზეზი მგონია. ხომ გითხარით, დიდ ტალღებს კედლები ძნელად უძლებენ.

ბორის პაიჭაძე რეპორტაჟებს მომდევნო სამ ნომერშიც აგრძელებს. განსაკუთრებით აღაფრთოვანებს ბრაზილიის ნაკრები. კიდევ უფრო განსაკუთრებით ვაჟა და დიდი. ხოლო პელეს ბრაზილიური ფეხბურთის იმედს უწოდებს – „მარცხენა შუამარბი პელე სულ 17 წლის ჭაბუკია. იგი „ფლამენგომ“ იპოვა სადღაც პროვინციაში და სულ მალე მიიღო ბრწყინვალე ფორვარდი. პელემ არ იცის, რა არის შეცდომა. იგი გასაკვირი ალლოთი გრძნობს არა მარტო თავისი პარტნიორების, არამედ მოწინააღმდეგეების ჩანაფიქრსაც. შუა თამაშში პელე უცებ მოსწყდება ადგილს და არც უყურებს ბურთს, ისე მირბის „სადღაც“. ვაჟა წამი და „სადღაცაში“ ეშვება ბურთი, რომელსაც ეს ზანგი სურვილისამებრ იმორჩილებს თავით, ფეხით, მკერდით, ბარძაყით და... ასე წარმოიდგინეთ ზურგითაც კი“.

აი, ასე დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩვენთვის, საბჭოთა ქართველებისთვის. ფეხბურთში, რომელიც ცოტა უფრო მეტია სპორტზე და იმ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მეტი იყო. ■

■ „მარცხენა შუამარბი პელე სულ 17 წლის ჭაბუკია. იგი „ფლამენგომ“ იპოვა სადღაც პროვინციაში და სულ მალე მიიღო ბრწყინვალე ფორვარდი. პელემ არ იცის, რა არის შეცდომა. იგი გასაკვირი ალლოთი გრძნობს არა მარტო თავისი პარტნიორების, არამედ მოწინააღმდეგეების ჩანაფიქრსაც. შუა თამაშში პელე უცებ მოსწყდება ადგილს და არც უყურებს ბურთს, ისე მირბის „სადღაც“. ვაჟა წამი და „სადღაცაში“ ეშვება ბურთი, რომელსაც ეს ზანგი სურვილისამებრ იმორჩილებს თავით, ფეხით, მკერდით, ბარძაყით და... ასე წარმოიდგინეთ ზურგითაც კი“.



"შუქი მიწისქვეშეთიდან" -
ავტობუსის სტამბის უსწორი ისტორია

ირაკლი ხვადაგიანი

ფოტო: ლევან სიხარულიძე

„სტამბა კავკასიის კავშირის კომიტეტისა“ – მცირეფორმატიანი ბროშურების (ჯიბე-უბესა თუ სარჩულში რომ ადვილად მოთავსებულიყო) და პაპიროსის ქალაქზე ნაბეჭდი პროკლამაციების ბოლოში დასმული ფრაზა, თითქმის სამი წლის მანძილზე სიამაყით ავსებდა ახალუხიან მუშებს, გიმნაზისტებსა თუ თამამოზრდილ, მგზნებარე პროპაგანდისტ-ინტელიგენტებს, ტფილისის ჟანდარმერიას და ოხრანკას კი ძილს უფრთხობდა ის უხერხული ფაქტი, რომ აქვე, სადღაც, ყურის ძირში, გამალებით მუშაობდა აკრძალული სიტყვის ფაბრიკა და მთელ კავკასიაში ქართულ-რუსულ-სომხურ ენებზე ფენდა „კრამოლნიკურ“ აზრებს.

თანამედროვე მოქალაქისთვის რთულად წარმოსადგენია ის ეფექტი – გასაგებ ხალხურ ენაზე ნაწერი მწვავე პამფლეტები, პოლიტიკური შინაარსის ნოველები თუ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოწოდებები რომ ტოვებდნენ მკითხველებზე (რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ეშხს სახიფათოობა და საიდუმლოება მატებდა), რადგან კარგ ქალაქზე, ლამაზი შრიფტით და გემოვნებიანი დიზაინით სუფთად ნაბეჭდი პატარა წიგნები და ბროშურები ხარისხით არ ჩამოუვარდებოდნენ ოფიციალურ სტამბებში ნაბეჭდ, ცენზურაგავილ წიგნებს.

უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც ოდესმე იმ აკრძალული რადიოგადაცემის დაჭერა უცდიათ, მონდომებით რომ ახშობდა საბჭოთა რეჟიმი, შედარებით ადვილად გაიგებენ რამდენად მეტყველი ფაქტი იქნებოდა 1900-იანი წლების ტფილისის მოქალაქეთათვის ავლაზრის არალეგალურ სტამბაში ნაბეჭდი აგრერიგ ხარისხიანი „პროლეტციის“ დანახვა – ეს იატაკქვეშეთის სიძლიერის დამადასტურებელი ურყევი საბუთი იყო.

არალეგალური სტამბების თბილისური ისტორია ფეხდაფეხ მიჰყვება დიდი სოციალური ცვლილებების დასაწყისს. მუშათა წრეების და არალეგალური ბიბლიოთეკების ქსელის აწყობასთან ერთად, სოციალ-დემოკრატიული და ყველა თავმოყვარე პარტია თუ საზოგადოება უკვე საკუთარი ბეჭდური სიტყვის მასებზე მოფენის საშუალებებს ეძებდა.

ყველაფერი კუსტარული – „ჩოთქის და ვალიკის“ საბეჭდავებით, ხის შრიფტით თუ გამოკეტილ ოფიციალურ სტამბებში ღამისთევითა და ბეჭდვით – დაიწყო. დროთა განმავლობაში, უკვე მოპარული დაზგებითა და შრიფტით „შეიარაღებული“ პროფესიონალი ასოთამწყობებისა და კონსპირაციაში დაოსტატებული „დისტრიბუტორების“ კლასი ნაქირავებ ბინიდან-ბინაზე გადაბარგებით თუ ყოვლად წარმოუდგენელ ადგილებში თავმეფარებულები ტყვიის და საღებავის მომწამვლელი სუნით დაშუშულები, ნახევრად მშვირები და თვალბდასიებულები გამალებით კრეფდნენ და ბეჭდადნენ ტფილისის, პეტერბურგის თუ ყენევის „რედაქციებიდან“ გადმოგზავნილ „ჩერნოვიკებს“.


ერთხელ, მთანინდის წყალსადენის რეზერვუარში შეფარებულმა მბეჭდავებმა, პროკლამაციების გავრცელების მეტად ეფექტური გზაც მოსინჯეს – წყალსაცავში ჩაშვებული პროკლამაციებით სავსე ვარცლებიდან ერთი ამობრუნდა და დილით, ტფილისის მოქალაქეების ბინებში, ონკანებიდან რევოლუციური მოწოდებების ფრაგმენტები მოედინებოდა. ამ ამბავზე დიდხანს იცინოდნენ – როგორ მოუშვა დილით ჟანდარმთა შეფმა ონკანი და იქედან გადმოიღვარა მოწოდება – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“

როგორც მოგვიანებით უყვარდათ ხოლმე აღნიშვნა, „გმირული ბრძოლისა და თავდადების“ ეს ფურცლები კასპის ქუჩაზე, რკინიგზის პირას მდგომ პატარა სახლში „დაბნავდნენ“ და საბჭოთა საქართველოს მოქალაქეების კოლე-

ქტიურ მესხიერებაში ღრმად ჩაიბეჭდა დრამატული სურათი, თუ როგორ დალუპა ცნობისმოყვარე ჟანდარმის მიერ ჭაში ჩაგდებულმა ცეცხლმოკიდებულმა ფარატინა ფურცელმა აწყობილი საქმე.

ავლაზრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი კავკასიის ბოლშევიკთა ისტორიის ერთგვარ მექად იქცა – ათწლეულების განმავლობაში გიდთა თაობები წარმატებით უჭედადნენ თავში სტამბის შთამბეჭდავი საინჟინრო გადაწყვეტით მონუსხულ დამთვალიერებლებს ამხანაგი სტალინის დიდი ორგანიზატორული და პუბლიცისტური მოღვაწეობის სურათებს, ისე როგორც ამას სტამბა-მუზეუმის შესასვლელზე დღემდე დარჩენილი დაფა იუნყება ამაყად - „სტალინის სახელობის არალეგალური სტამბა“. მოქალაქეთა მესხიერებაში სტალინისა და ავლაზრის სტამბის სახელები მტკიცედ დაუკავშირდნენ ერთმანეთს და ეს მუზეუმი ღამის ახალგაზრდა სტალინის პერსონალური ხსოვნის ადგილად იქცა.

მსურველს დღესაც შეუძლია „დროის მანქანით“ მოგზაურობით ტკობა; საქართველოს ერთიანი კომპარტიის წევრები, რომლებმაც 1990-იან წლებში სტამბა და საგამოფენო ექსპოზიცია ძარცვა-განადგურებისგან კბილებით დაიცვეს, სიამოვნებით და დიდი სიამაყით მოგიყვებიან შთამბეჭდავ ეპიზოდებს ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილის ფანტასტიკური თავგადასავლებიდან, იმ სანოლსაც გიჩვენებენ, სადაც დაღლილი რევოლუციონერი თავს უფლებას აძლევდა რამდენიმე საათით მაინც მოეცუებინა თვალი.




ფოტო: შ.ს. ანაბერიძე (არქივი: შ.ს. ანაბერიძე)

Восстановительная
и другая часть, которая
содержалась от Европы
и подается органично
вместе царским садом,
свободными органами,
также обнародованы при
подарки / от архивных
материалов 1928г./



ფონდის მატერიალ სტამბის
ქვემოთ რესტავრაციის

1. Восточная часть здания
1928 года
2. Подземная часть здания
1928 года
Рис. IX



სტამბის ქრილი

■ ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი კავკასიის ბოლშევიკთა ისტორიის ერთგვარ მექად იქცა – ათწლეულების განმავლობაში გიდთა თაობები წარმატებით უჭედავდნენ თავში სტამბის შთამბეჭდავი საინჟინრო გადანყვევით მონუსხულ დამთვალიერებლებს ამხანაგი სტალინის დიდი ორგანიზატორული და პუბლიცისტური მოღვაწეობის სურათებს, ისე როგორც ამას სტამბა-მუზეუმის შესასვლელზე დღემდე დარჩენილი დაფა იუწყება ამაყად - „სტალინის სახელობის არალეგალური სტამბა“.

ერთი სიტყვით, ავლაბრის სტამბა-მუზეუმი ჯერ კიდევ „ნაკრძალია“, სადაც სრულად შეგიძლიათ იგრძნოთ საბჭოთა საქართველოსა და კომპარტიის გამირული ისტორიის სურნელი.

თუმცა ყოველივე ეს არ იარსებებდა, რომ არა კოტე როსტომაშვილის ჩვენი თანამედროვეებისათვის ასე საკვირველი პატიოსნება და შორსმჭვრეტელობა. 1906 წლის აპრილში, როდესაც ჟანდარმერიამ სტამბა შემთხვევით აღმოაჩინა, სახლი გადანვა და ააფეთქა, მეპატრონე დათიკო როსტომაშვილი კი ციმბირის გზას გაუყენა. ძმამ სახლისგან დარჩენილ პირლია ორმოს ღობე შემოავლო და ხელუხლებლად დატოვა, იმ იმედით, რომ ნამდვილად დადგებოდა დრო, როდესაც ეს ისტორიული ნაშთი სათანადოდ დაფასდებოდა.

დაფასებაც არის და დაფასებაც – ამხანაგმა ბერიამ 1936 წელს კარგად გაიაზრა, რამდენად ძვირფასი ცოცხალი ილუსტრაცია იქნებოდა აღდგენილი ავლაბრის სტამბა ბელადის საამებლად შექმნილი „კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის“ ყალბი ვერსიისთვის, რომლის ავტორობაც თავადვე მიიწერა.

არც ბერიას განადგურებამ, არც სტალინის პიროვნების კულტის დაგობამ, ავღაბრის სტამბისთვის დიდად არაფერი შეცვალა – საბჭოთა ისტორიკოსების ჩუმი და გაუბედავი რევიზიის მცდელობები, სადისერტაციო მასშტაბებს არ გასცდენია. 1990-იანი წლებიდან კი დღემდე არავის უცდია 1937 წლის ვერსიის „თეთრ ძაფებს“ მიჰყოლოდა და სტამბის შოკისმომგვრელი, ნამდვილი და დასაფასებელი ისტორია აღმოეჩინა.

ავღაბრის სტამბის რეალური ისტორიის ეშხიც უამრავ წერილმან ფაქტსა და ამბავშია, რომელსაც მცირე სტატია ვერ დაიტევს. თუმცა ორი სიტყვითაც კი შეიძლება გადმოიცეს ის მარტივი და კარგად მიჩქმალული ფაქტები, რაც სტამბის გაზეპირებულ ისტორიას ამსხვრევს და „ბოლშევიკური გმირული ბრძოლის“ სიმბოლოდან წარსულის გაყალბება-გადანერის შთამბეჭდავ ილუსტრაციად აქცევს:

დიდი და საიმედო არალეგალური სტამბის მოწყობის იდეა მისა ბოჭორიძესა და დათიკო როსტომაშვილს ეკუთვნოდათ. სწორედ მათ ზურგზე გადაიარა საინჟინრო გადაწყვეტის, სამუშაოს ორგანიზებისა და ასოთამწყობთა ჯგუფის დაკომპლექტების სიმძიმეებმა. ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილი ამ დროს ბათუმის მღელვარების ორგანიზების გამო იყო დაპატიმრებული და ქუთაისის ციხეში იხდიდა სასჯელს, საიდანაც ეტაპით ციმბირში გაამგზავრეს. მან სტამბის არსებობის შესახებ არაფერი იცოდა.

რეალურად სტამბა „ბოლშევიკური“ არ ყოფილა – საქართველოში, კავკასიაში და თბილისში სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილება გვიან, 1905 წლის დასაწყისში დაიწყო და აქ „მენშევიკები-მეუმცირესები“ უმრავლესობად იქცნენ, ხოლო „ბოლშევიკები“ კი — უმცირესობად. ავღაბრის სტამბის ორგანიზატორი და ასოთამწყობთა დიდი ნაწილი ბოლშევიკებს მიემხრნენ. სანამ „მენშევიკური“ ტფილისის კომიტეტი მათ საკუთარ ძალასა და გავლენას აგრძნობინებდა, არალეგალური პრესის ფურცლებზე ბოლშევიკ-მენშევიკთა კამათისთვის ბოლშევიკურ გაზეთებს ავღაბრის სტამბაში ბეჭდავენდნენ ხოლმე,

თუმცა უარს მენშევიკების არასადისკუსიო ლიტერატურის დაბეჭდვაზეც ვერ ამბობდნენ. ამასობაში რევოლუციამ ძალა მოიკრიბა, 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ლიტერატურისა და პრესის ბეჭდვა ლეგალურ სტამბებში დაიწყო და ავღაბრის სტამბაც მოსალოდნელი უარესი დროისათვის „დააკონსერვეს“.

1904-1905 წლების განმავლობაში, როდესაც სტამბა სრული დატვირთვით მუშაობდა, მისი ადგილსამყოფელი სასტიკად იყო გასაიდუმლოებული. არათუ ისეთმა საშუალო რანგის ინტელიგენტ-პროპაგანდისტებმა, როგორც ახალგაზრდა სტალინი იყო, არამედ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმაც კი არ იცოდნენ და არც უნდა სცოდნოდათ, ქალაქის რომელ ნაწილში იყო დაახლოებით მათი საამაყო სტამბა. ოხრანკის მიერ თვალთვალზე აყვანილი და დევნილი რევოლუციონერები მით უმეტეს ახლოსაც არ უნდა გაჰკარებოდნენ ასეთ მნიშვნელოვან ობიექტს. თბილისში მუშაობის დროს გადასახლებიდან გამოქცეული სტალინი ავღაბრის არალეგალურ სტამბაში ნამყოფიც კი არ იყო. იქ მხოლოდ „დიასახლისი“, უცხო თვალის მოსატყუებლად დასახლებული საიმედო ქალი, და ასოთამწყობები ცხოვრობდნენ, რომლებიც ორ ცვლაში უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ და გარესამყაროსთან კავშირი უკიდურესად შეზღუდული ჰქონდათ.

სწორედ მათი, ასოთამწყობების ბედი გახდა მომავალი საბჭოთა რეჟიმისა და ისტორიის ამ მონაკვეთის ტრაგიზმის წარმოდგენლად ცხადი და შთამბეჭდავი ილუსტრაცია. ერთი მათგანი ახალგაზრდა სტალინის მფარველი და მეგობარი – მანასე გოგუაძე – 1910 წლიდან სხვა სტამბის მოწყობის გამო კატორღაში გააგზავნეს, სადაც 1917 წლის რევოლუციამდე იყო. იქედან დაბრუნებული უკვე ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი გახდა. გასაბჭოების შემდეგ კი 1923 წელს უკვე ანტისაბჭოთა არალეგალური სტამბის მოწყობის გამო ჩეკამ დააპატიმრა, რომლის თანამშრომელი მეორე ყოფილი ასოთამწყობი (შესაბამისად ყოფილი ამხანაგების საიდუმლოთა

მცოდნე) – გიგო ლელაშვილი იყო; მანვე ამხილა 1927 წელს უკვე ტროცკისტული ოპოზიციის ლიდერობაში მესამე ყოფილი ასოთამწყობი – ლადო დუმბაძე. ეს უკანასკნელი ციმბირის რომელიღაც ბანაკში უკვალოდ გაქრა და მისი სახელი დღემდე წაშლილია საბჭოთა ისტორიაში.

ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი და მოულოდნელი ამბავი კი 1906 წელს თავად სტამბის ჩავარდნას უკავშირდება. ამ დროისათვის სტამბის შენობაში უკვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო რაზმის წევრები ცხოვრობდნენ და პარტიზანული ბრძოლის მეთოდებს სწავლობდნენ. მათ არც კი იცოდნენ, რომ ამავე სახლში იყო ასე საამაყო სტამბა. 1906 წლის 15 აპრილს შენობა თითქოს მასობრივი ჩხრეკის ფარგლებში მოყვა და სტამბაც შემთხვევით იპოვეს. უანდარმთა ოფიცერმა ჭაში სიღრმის შესამოწმებლად ცეცხლმოკიდებული ქალაღის ფურცელი ჩააგდო, ჭის ბოლოში სტამბისკენ გაჭრილმა გვირაბმა კი ქალაღი შიგნით გაიტაცა. ოფიცერი მიხვდა რომ შენობის ქვეშ რაღაც იყო. სტამბის შენობის მეპატრონე დათიკო როსტომაშვილი, რომელიც მაშინვე დააპატიმრეს, უკვე ციხეში ყოფნისას დააეჭვა იმ ფაქტმა, რატომ დაიწყო სტამბის აღმოჩენამდე უანდარმებმა ეზოში ზუსტად იმ ადგილების გათხრა, სადაც ყუმბარები იყო ჩამარხული. კვალმა როსტომაშვილი რაზმის ქიმიური საქმის „მასწავლებელ“ – შავგერემან მოქალაქემდე მიიყვანა, რომელიც, რა თქმა უნდა, სტამბის ჩავარდნის შემდეგ უკვალოდ გაქრა. სტამბის შენობის ოხრანკის თვალთვალის ოქმებში მისი კოდური სახელი „ამერიკანსკია“, რომლის მიღმა, თუკი დათიკო როსტომაშვილის ძიებას ვენდობით, მოქალაქე სახელად – გიორგი გურჯიევი იმალება. [1]

**საბჭოთა წარსულის კვლევის
ლაბორატორიისა და ჟურნალ
„ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.**





www.foxphoto.com

დავით სარაევსკის სახლის (ამჟამად მწიროლა სახლი) წელი შვიდი ექვსი მწიროლა, 2014

**დავით
 სახაჯიშვილი
 დაუსხადახაჯი
 იხსოვინა**

კირა ელისაშვილი



მანაბლის N13 - ეს არის ადგილი, სადაც თავის დროზე, როდესაც ეს ქუჩა სერგეევის სახელს ატარებდა, ამენდა თბილისისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სახლი, რომელიც მნიშვნელობას დღემდე არ კარგავს. ამ ტერიტორიაზე იდგა საცხოვრებელი სახლი, სადაც დაიბადა დავით სარაევსკი. მან აქ მოვიყვინებთ ასაღო სახლი ააშენა და ოჯახით დაფუძნდა.

სახლის მშენებლობა 1903 წელს გერმანიიდან სპეციალურად ჩამოყვანილი არქიტექტორის - კარლ ცაარის პროექტით დაიწყო. ეს მოდერნის სტილის მიმდინარეობიდან ერთ-ერთი გამორჩეული და ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შენობაა. თავად კარლ ცაარი მშენებლობის პროექტის მონიტორინგს არ უწყევდა, მაგრამ ცაარის პროექტის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოებს თბილისში იმ დროს მოღვაწე ორი გამორჩეული არქიტექტორი: ალექსანდრე ოზეროვი და კორნელი ტატოშვილი ასრულებდა.

შეობის ხის ელემენტები დავით სარაევსკის შვილებმა ილია მამაძაშვილმა დაამუშავა, რომელიც კვალდიკაციის ასა-მალღებლად დავითმა გერმანიაში გაგზავნა. მანვე გამოიწერა იმ ტიპის მასალა, რომელიც მაშინ თბილისში არ იყო - ეზოში გამავალი ტრასისთვის იღვრობი ბოხის ფილები გა-მოყენებული. აქ იყო ძალიან მნიშვნელოვანი კიბის უჯრედი, გადახურული იასპინისფერი მიწის ე.წ. "მარსელის" ფორმის კრამიტით, რომელიც პრინციპში სხვაგან არსად გვხვ-

ფოტოგრაფი: ლევან ბერიძე



დება. მშენებლობა 1905 წელს დასრულდა და სახლის გახსნა დავითმა მისი და ეკატერინე ფორაქიშვილის ქორწინების 25 წლისთავს დაამთხვია.

მოდერნის სტილი, თბილისური ეზოს მოტივი, ამ შენობის ურბანულ ქსოვილში სრულიად ჰარმონიულად ჩასმა, ევროპული ფასადი ქუჩის მხარეს, დაგეგმარება და შიდა ეზოს მონყობა წმინდა თბილისური კუთხით – ეს ყველაფერი დავით სარაჯიშვილის სრულიად უზადო ევროპულ გემოვნებასა და თბილისური ტრადიციის შენარჩუნებაზე მიუთითებს. ამიტომაც ეს არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი სახლი ზოგადად ქალაქისთვის, განსაკუთრებით როგორც მოდერნის ტიპის ნიმუში.

არქიტექტურული მნიშვნელობის გარდა, ეს არის სახლი, სადაც ძალიან დიდი ქართული საქმეები გადაწყვეტილა. სარაჯიშვილი ხომ იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეებს შორის უმნიშვნელოვანესი ფიგურა იყო.

სულ რომ არაფერი გაეკეთებინა ამ ადამიანს, მხოლოდ მისი ანდერძი იკმარებდა, რომ დღემდე ისეთივე ალფრთოვანებით გვესაუბრა მასზე, როგორც ახლა ვსაუბრობთ. ის იყო სანიმუშო ადამიანი, რომლის ცხოვრება ძალიან ჰგავდა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებას და, ზოგადად, ამ ორი ადამიანის ბედი გადაჯაჭვულია – არ არსებობდა საზოგადო საქმე, რომლის მოთავე ან მონაწილე ილია ან დავითი არ ყოფილიყვნენ.

დავით სარაჯიშვილის ანდერძი ის ქვაკუთხედაა, რომლითაც ამ ადამიანის მნიშვნელობაზე შეიძლება ვისაუბროთ. 1911 წლის პრესას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ დავითის გარდაცვალებასთან და მის ანდერძთან დაკავშირებით პირდაპირ წერდნენ, რომ მსგავსი ტიპის ანდერძი საქართველოს არ ახსოვს. ანდერძის მიხედვით, 3 მილიონი ქველმოქმედებაზე გადანაწილდა. თანხა ეკუთვნოდათ იმ მუშეებს, რომლებიც კონიაკის ქარხანაში მუშაობდნენ; თანხა გამოყოფილი იყო ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის; ქართული მუზეუმისა და ქირურგიული საავადმყოფოს დაარსებისთვის – ამ დეტალებს თუ დავაკვირდებით,



ფოტოგრაფი: ლეონი სარაჯიშვილი



დავით სარაჯიშვილის სასადლო ოთახი, 2014

დავით სარაჯიშვილს ყველაფერი ისე ჰქონდა გააზრებული, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ არც ერთი ქართული საზოგადო საქმე უპატრონოდ არ რჩებოდა.

მას ქალაქი დიდი მადლიერებით დაემშვიდობა, არსებობს ამის ამსახველი კონო და ფოტო მასალა. იენისის თვის პაპანაქება სიცხეში, დავითის დაკრძალვაზე – სერგეევის (დღევანდელი მაჩაბლის) ქუჩიდან დიდუბის პანთეონამდე ყოველ ორას მეტრში მიტროფანე ლალიძემ ღია დახლები დააყენა, სადაც სრულიად უფასოდ რიგდებოდა ლალიძის წყალი. დავით სარაჯიშვილი იყო სწორედ ის ადამიანი, ვინც თავის დროზე მიტროფანე ლალიძეს დახმარება გაუწია „ლალიძის წყლების“ ქუთაისიდან თბილისში გადმოტანაში. დავითის დაკრძალვის დღეს დაიკეტა ყველა მაღაზია, ყველა დუქანი, გადაიდო ყველა სპექტაკლი – ასე გამოხატა ქალაქმა მადლიერება ამ ადამიანის მიმართ.

გარდაცვალების შემდეგ დავით სარაჯიშვილის ბიოგრაფია ორი მიმართულებით გრძელდება:

პირველი: მის საქმეს ძალიან ღირსეულად აგრძელებდა მისი მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი, რომელმაც დავითის მიერ დაარსებული სპირტისა და კონიაკის ქარხნების ეკონომიკური მოგება საგრძნობლად გაზარდა და ასევე საოცარი ანდერძი დატოვა.

მეორე: 1939 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც დიდუბის პანთეონში არსებული „უცხო საფლავების“ სიის დაზუსტება დაევალა. ამ სიაში მოხვდა დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის საფლავები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნეშტები დიდუბის პანთეონიდან ათი დღის ვადაში უნდა გადაეხვეწებინათ, რადგან ისინი „არ იყვნენ საზოგადო მოღვაწეები და მნიშვნელოვანი ფიგურები ქართული საზოგადოებისათვის“.

ეს არის დახვრეტების შემდგომი პერიოდი, როდესაც იმის თქმაც კი

საშიშია, რომ კომერსანტის და ბურჟუაზიის წარმომადგენლის, დავით სარაჯიშვილის ნათესავი ხარ.

ორმა ადამიანმა – ნიკა ტარსაიძემ და ადამ ფორაქიშვილმა – რომლებიც დავითსა და ეკატერინეს ენათესავებოდნენ, გადანყვიტეს ამ გადასვენების საკუთარ თავზე აღება. თუმცა მათ არ ჰქონდათ ამისთვის საჭირო თანხა. მათ გაახსენდათ, რომ დაკრძალვისას დავითს ბრილიანტის თვლიანი ოქროს ბეჭედი ჩააყოლეს და გადანყდა, რომ სწორედ ეს ბეჭედი გაეყიდათ და დავითი და ეკატერინე ვაკის სასაფლაოზე გადაეხვეწებინათ.

ნიკა ტარსაიძე და ადამ ფორაქიშვილი ანტიკვარიატის მაღაზიის ერთ-ერთ მფლობელს დაუკავშირდნენ – ეს მაღაზია პუშკინის ქუჩის მიდამოებში მდებარეობდა – და მისგან გადასვენებისთვის საჭირო თანხა ისესხეს. ანტიკვარიატის მაღაზიის მფლობელს სანაცვლოდ დავითის ბეჭედი მიუტა-



ქალაქი ულის მთავარი, 2014

ნეს, რაზეც ასეთი პასუხი მიიღეს – «ეს ბეჭედი განუზომლად მეტი ღირს, ვიდრე ის თანხა, რომელიც მე გაგატანეთ». თუმცა სხვა გზა არ იყო და ბეჭედი დაიტოვა.

1995 წელს დაიწყო საუბარი იმაზე, რომ დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის ნეშტები ვაკის სასაფლაოდან უფრო შესაფერის ადგილას გადმოესვენებინათ. ასეთ ტერიტორიად ქაშუეთის ეკლესიის ეზო განისაზღვრა, რადგან 1904-1910 წლებში ქაშუეთის ეკლესია დღევანდელი სახით სწორედ დავით სარაჯიშვილის დაფინანსებით აშენდა და მის ცენტრალურ შესასვლელში, მთავარ კარზე არის როგორც ეკატერინე ფორაქიშვილის, ასევე დავით სარაჯიშვილის მონოგრამები. სამწუხაროდ, ეს საფლავი სრულიად შეუფერებელ ადგილზე აღმოჩნდა – მართალია ქაშუეთის ეზოშია, მაგრამ ის ჯერ ავტო-პარკინგის ტერიტორიის გაგრძელება იყო, შემდეგ

კი იმ მაღაზიისა, რომელიც ამ საფლავის უკან განთავსდა. სარაჯიშვილთა გვარის წარმომადგენლებმა შეკითხვით მიმართეს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის სამეცნიერო საბჭოს, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევენ ამ საფლავის ასეთ პირობებში არსებობას, რაზედაც მიიღეს პასუხი, რომ ასეთი რამ მიზანშეწონილი არ იყო. ამიტომ მათ გადასვენების რეკომენდაცია მიეცათ.

თანამედროვე თაობა ბევრს ვცოდავთ ამ ძვირფასი ადამიანების მიმართ, რადგან ვერ მოვუძებნეთ მათ შესაფერისი ადგილი სამუდამოდ განსასვენებლად. ადრე თუ გვიან ეს თემა აქტუალური უნდა გახდეს, იმიტომ, რომ ქალაქისათვის მნიშვნელოვანი მხოლოდ არქიტექტურა არ არის.

მაჩაბლის N13-ში დავითმა დატოვა თბილისისათვის ძალიან მნიშვნელოვანი სახლი, რომელიც მთელი არსებობის



მანძილზე საქვეყნო საქმეს ემსახურებოდა. თუმცა ჩვენს ხელისუფლებას, საზოგადოებას, მათ მიმართ პატივისცემის დასტურად ისიც კი არ გაგვიკეთებია, რომ დავითსა და ეკატერინეს შესაფერისი საფლავი ჰქონდეთ. ■

ტფილისის ჰამქრისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.



ანტიკური ხანის ნახეთობები



ყელსაბამი. ვანი. ძვ. წ. V საუკუნე, ოქრო.

ეროვნულ მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის ძეგლებიდან მომდინარე კოლექციებს, რომლებიც მრავალი კუთხით წარმოაჩენენ საზოგადოების ისტორიის ამ მნიშვნელოვან ეტაპს. კოლექციები შედგება ძვირფასი ლითონის (ვერცხლი, ოქრო) ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვის, ბრინჯაოს, რკინის, მინის, ძვლისა და თიხის ნაკეთობებისგან.



ყელსაბამი მედალიონით. ურბნისი. ახ. წ. III საუკუნე. ოქრო, ამეთვისტო.

კოლექციებში შემავალი ნივთები ცხადყოფს მაღალგანვითარებული ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის, სამეთუნეო საქმის, ქვის, ძვლისა და ხის დამუშავების, სამონეტო საქმის, ოქრომჭედლობისა და მხატვრული ხელოსნობის სხვა მრავალი დარგის განვითარების მაღალ დონეს.

მუზეუმში დაცული ანტიკური ხანის კოლექციები მიუთითებს კოლხურ-იბერიული სამყაროს თვითმყოფადობაზე. ამავე დროს, კარგად ჩანს ამ საზოგადოების მჭიდრო სავაჭრო-პოლიტიკური და კულტურული კავშირები როგორც ბერძნულ-რომაულ, ასევე ახლო აღმოსავლურ სამყაროსთან.

ამ ნომერში გაგაცნობთ ანტიკური ეპოქის სამკაულების უნიკალურ ნიმუშებს, რომლებიც წარმოდგენილია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის „არქეოლოგიური საგანძურის“ მუდმივ გამოფენაზე.



ბეჭედი. ერწო. ახ. წ. IV საუკუნე. ოქრო, ძოწი.



აგრაფი. კლდეეთი. ახ. წ. II-III საუკუნეები. ოქრო, სარდლიწი, გრანატი.



სამაჯურები, ვანი. ძვ. წ. IV საუკუნე,
პირველი ნახევარი, ოქრო



სასაფეთქლები. ვანი.
ძვ. წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი. ოქრო.



ჭვირული თავსამკაული. ვანი. ძვ. წ. IV
საუკუნის მეორე ნახევარი. ოქრო.



ჭვირული ბალთა. შუება.
ახ. წ. II - III საუკუნეები. ბრინჯაო.



ჭვირული ბალთა. ჭიათურა.
ახ. წ. II - III საუკუნეები. ბრინჯაო.



ჭვირული ბალთა. შემთხვევითი
მონაპოვარი (ადგილი უცნობია). ახ. წ.
II - III საუკუნეები. ბრინჯაო.


საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.



უხანსხელო სახიანაზი...

ზოგჯერ „საპნიანი“, ძალიან ბანალური და თითქმის ფსიქოტროპული

დავით ბუხრიკიძე



ტელესერიალები უკვე მყარად ჩამოყალიბებული სოციალურ-კულტურული მოვლენად იქცა და მათი გაშლენა მომხმარებელურ საზოგადოებაზე ლამის მაგიურია. თუ სამუდამოდ კარლ-გუსტავ ოუნგის არქიტექტურის მოვლენებით, უნდა ვილოთ, რომ შეიძლება საუკუნის მერო-რი ნახევარიმას მასკულტურა (განსაკუთრებით ამერიკაში) შეტანილად არქიტექტურულმა სერიალებმა ჩამოყალიბდა. რაც თავისთავად არც კარგია და არც ცუდი – ეს უბრალოდ დროის მთერ განსაზღვრული მოცემულობაა!

პირველი სერიალი ამერიკაში შოკიც საუკუნის 30-40-იან წლებში, ტელერადიო კორპორაციების დაარსებისთანავე გაჩნდა. სახლში დარჩენილ დისახლსებს ისინი იღუპოდ, ლამაზ და მარტივად აღსაქმელ სამყაროს სთავაზობდნენ. სერიალის ფერებისას ქალებს საოუზაბო საქმის სცივება შეეძლიათ. პარალელურად კი საქმეები ძვნილის რეკლამასაც ადევნებდნენ თვალ-ღრმის. სწორედ ამიტომ სერიალს საპნიანი ოპერა ეწოდა.

მოგვიანებით საპნიანი ოპერამ ტრანსფორმაცია განიცადა. სატელევიზიო სერიალები განიდა ევროპული სერიალები, ხოლო კიდევ უფრო გვიან – შედარებით პრიმიტიული ლათინურამერიკული მითგან განსხვავებით, კლასიკური ამერიკული სერიალები მტვი სრულყოფილებითა და მხატვრული ფილმისათვის დამსახურებული სტრუქტურით გამოირჩევა. მოქმედება ხშირად გადატვირთული პავლიონების გარე, უზუალედ ქუჩებით, რაც რეალობის შეგრძობას ამსაფრებს და აკონკრეტებს. ყოველი სერია დასრულებულ ამბავს მოგვითხრობს და ცალკე აღებული ფილმებისათვის.

განსხვავებით ლათინურამერიკულიდან, ამერიკული სერიალი მრავალფეროვანი და სტრუქტურული თემატიკით გამოირჩევა. მაგალითად, ამერიკული სერიალში დამაინტრიგებლად, სასაუკუნის შესამური ცოდნით აისახება სერიალურად კი საქმეები ძვნილის რეკლამასაც ადევნებდნენ თვალ-ღრმის. სწორედ ამიტომ სერიალს საპნიანი ოპერა ეწოდა.



„ფენტეზის“ ფანრის ნანარმოებს უტოპიური იდეებით შეპყრობილ მეცნიერებს. მაკ კომედიის სიმართლის მამბებელ დეტექტივებ ან საგას რომელიმე ცნობილ ისტორიულ პირზე.

21-ე საუკუნემ უკვე ახალი ტიპის სერიალები შეა: მაგალითად, ანგელოზებისა და დემონების ომზე. ბოროტ ნათელმხილველებზე, გამარბებზე, პლანეტებს შორის პრისილებზე... მოკლედ, მისი არაფერი საცერად გაფართოვდა, თუმცა შეიძლება მარც გამოყოფი რამდენიმე ამერიკული სერიალი, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს თანამედროვე საზოგადოების ცნობიერებასა და ფსიქოლოგიაზე.

ამერიკული ზონა
„სასონარკვეთილი დისახლსები“ (Desperate Housewives) რეჟისორისა და პროდუსერის, მარკ ჯერის ერთ-ერთი ცვლელი ცნობილი სატელევიზიო სერიალია, რომლის პრემიერა 2004 წელს გაიმართა. მოქმედების ადგილია გამო-

ვინილი ქუჩას სახელწოდებით ვისტრია ლეინი, გამოჩინილ ამერიკულ ქალაქში – ფეარუეს. სერიალი საშუალო ასაკის ქალების ოჯახურ დრამას, მათი დამაღვლ ვენების, საიდუმლოებებისა და დანამუდს გვახიარებს. კრატკოსებზე მაგარტებელმა სერიალი ექმს“, „კუჩრის გლობუსის“ და ენოშახიოთა გილდის პრინს მფლობელია. სამი სეზონის შემდეგ, 2007 წელს აღმოჩნდა, რომ მას 119 მილიონამდე მაყურებელი ჰყავს და ერთ-ერთი ცვლელზე პოპულარული შოუა ამერიკაში.


„დაკარგულები“ (LOST) სათავგადასავლო ტელესერიალია, რომლის ყურადღების ცენტრში იფშალებით მოცულ ტროპიკულ კუნძულზე კატასტროფამ მოხვედრილი ავია-ღაინრის მგზავრთა ისტორიაა. საცვდელი სერიას მარტენები იყო 2004 წელს და თითქმის 17 მილიონი მაყურებელი მიიზნა. უკვე გადაღებულია სერიალის ხუთი სეზონი. შეიძლება ითქვას, რომ „დაკარგულები“ გარკვეული



ნარდერი დეპუტატი



სადგურელი და სასურელი



Mad Men



თვალსაზრისით, კულტურული ფენომენი გახდა, რომელსაც მნიშვნელოვანი თანამედროვე მიღწევები გამოიწვია სერიალის სიუჟეტით ლიტერატურული ნაწარმოებები, კომიქსები და ვიდეოთამაშები გამოვიდა. 2007 წლის მაისში გამოცხადდა, რომ ყველ სამი სეზონის გადაღება იგეგმებოდა. ის 2010 წელს დასრულდა.

„ეჰმი ჰაუსი“ (HOUSE) ამერიკული სატელევიზიო სამედიცინო დრამა, რომლის დებიუტი 2004 წლის 16 ნოემბერს Fox Broadcasting Company-ის ეთერში შედგა. მის შემქმნელები დევიდ შორი და პოლ ატანია არიან. სერიალის მთავარი გმირია ეტხი გრეგორი ჰაუსი, რომელსაც პოპულარული ინგლისელი მსახიობი პო ლორი ასახვევებს. ჰაუსი სამედიცინო სფეროში ცნობილი ადამიანია, რომელიც პრინციპის საწინააღმდეგო ცენტრში დიაგნოსტიკის გუნდს უძღვება. სერიალი გამსვლელს დიდადან დიდი პოპულარიზაციას განიცდობდა მთელ მსოფლიოში და რამდენიმე პრესტიჟულ დაჯილდოებასზეც იყო ნარდგებული.

„ეჰმი ჰაუსი“ ამერიკაში საუკეთესო სატელევიზიო შოუების ათეულში შედიოდა, 2008 წელს კი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სერიალად აღიარეს. მიღწეული აქვს ოქროს გლობუსი, „ეჰმი“ და სხვა უამრავი ჯილდო. აღსანიშნავია, რომ ეთერში სულ რვა სეზონი გაიდა, ხოლო უკანასკნელი ეპიზოდის პრემიერა 2012 წელს გაიმართა.

Mad Men (წინ Medison მნიშვნება) არც ვარკვეული, ორსაზროვანი მნიშვნელობით „აიკანონი

ადამიანს“ ნიშნავს. თანამედროვე ამერიკული დრამატული სატელევიზიო სერიალი, რომლის შემქმნელი და რეჟისორი მეთუ ვინერია. სხვათა შორის მისივე გადაღებული კლასიკური სერიალი „სობრანოს კლანი“, პრემიერა 2007 წლის ივლისში გაიმართა, ბოლო მეხუთე სეზონი AMC-ის ეთერში 2011 წელს აპრილიდან გაივიდა.

Mad Men რეტრო-სერიალია, რომელიც 60-იანი წლების ნიუ-იორკის ცხოვრებას ასახავს ძირითადი ამბები გამოვიწვია „სტერლინგ კუპერის“ სატიკლოში სადგენლობით, შედისონ ავენიუზე, შემდეგ კი ახლადშექმნილ „სტერლინგ კუპერ პრაისში“ ხდება. სერიალის მთავარი გმირია დონ დრეიკერი, რომელსაც ვინ პეტი ასახვევს. სწორედ ის არის „სტერლინგ კუპერ დრეიკერ პრაისის“ დამფუძნებელი. დანაშაუმი გმირი დონ დრეიკერისა და კავშირებულის ადამიანები არიან, როგორც ოფისში, ასევე მის გარეთ. სერიალი ასევე აღწერს მეორე საუკუნის 60-იანი წლებში ამერიკაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ღირებულებების შეცვლას და გადაფასების პროცესს.

სერიალმა დროის ათვნიტურად ასახვისა და დახვეწილი ვიზუალური სტილისთვის კრეტკოსთა ქება დამსახურა. მოიპოვებულ, აქვს ცხრა „ეჰმი“ და ხუთი ოქროს გლობუსი. აღსანიშნავია, რომ ის იყო პირველი საკაბელო ტელევიზიო სერიალი, რომელსაც „საუკეთესო დრამატული სერიალისთვის“ „ეჰმის“ ჯილდო მიიღო (2008 და 2009 წლებში). „ნიუ-იორკ ტაიმსის“ შეფასებით, Mad Men ერთდარი „კულტურული

ფენომენად“ იქცა, ისევე როგორც თავის დროში ხალხი პოპულარული „სობრანოს კლანი“.

„ანამელი დეტექტივი“ (True Detective) სიახლე თუ არა, მცირე შოუი მინც იწყება ამერიკული სერიალების მოცაფრალითის. საკაბელო ტელესტუდია HBO-ს მიერ ნახალსტელე რეჟისორად თავიდან ფლმ „საბალიონის“ შემქმნელს, აღუხანდრო გონსალეს ინარტებს განიხილავდნენ, თუმცა საბოლოოდ, ის რეჟისორმა კარი ფუკუნავამ გადაიღო, რომლის აქტიუზუც უკვე მეორე რაიში გამოირჩეული „ვეინ ეარი“ იყო (2011 წელი).

გადაღება 2012 წელს დაიწყო და უკვე პირველად სეროებმა, რომელიც ბლუზის რიტმს, მინაგან დაძახებულობას და ლუიზიანას შტატის მულანქოლორ განწყობას ერწყმება, ცხადყო, რომ დეტექტიური სერიალების მოცაფრებებს უზარავი დევენიყარი ნუთი ელდობი. სცენარისტება ვეი აბაშამმა მოქმედება ერთდარი ელდობი 1995-2012 წლებში მოჰყავს. გამოიძიებულები რასტი კოული (მეთუი მაკინიში) და მარტი შარტი (სუდი პარულსონი) რტგვალური მკვლელობის საქმეს იძიებენ. 2012 წელს კი ისინი ისე უბრუნდებიან ამ საქმეს, ოლიოდ ამეყრად შოლიოდ ნარსულს იხსენებენ და ინფორმაციას სხვა დეტექტივებს – პაპანიას (ტორი კიტლზი) და გილბურს (მაიკი პოტსი) უზარაბენ. შეიძლება ითქვას, რომ „ანამელი დეტექტივი“ არა შოლიოდ მკვლელობის გაძიების ისტორიაა, არამედ ორი მთავარი პერსონაჟის – რასტისა და შარტის ფსიქოლოგიური პორტრეტის ნარმოქმნაც.

შარტული კონსება და „ჩხიი ცოლის დამაღწე“ პასუსი

უკასიკურად ანგობილ-გამართული ამერიკული სერიალები ქართულ ტელეარხებზე დღემდე იშვიათობაა. ამ ფონზე უახლოესი ნარსულის გახსენება თუ გვეხვევს. 90-იანი წლებიდან ლამის ინერყით შემორჩენილია პრსილიონერ-მექსიკურ-ვენესუელურმა სერიალებმა პრიმიტიულობითა თუ დამატებული საბეჭითი თავისი დრო მოგება. მოსაბეზრებულ და თავიანებულ სასიყვარულო სამკუთხედებს“, მტკიუნებულ-მოგდებულ ჰავემებას და 20 წლის შემდეგ აღმოჩენილ და-მეგებს რეალურად დაბიროსობრად მოგანი შემოსული თორუქული ნეოკონსერვაციული სერიალები. როგორც ჩანს, მაყურებელს მოუზარდა ერთი და იგივე სენსაციური სისხლელების სურება და მას რეალიზმი მოეჩვენა.

შესაძალია თრქული სერიალები – აიასის ერთი ღამე“, „ასი“, ან „სიყვარული და სასურელი“ და სხვები განსაკუთრებული მატერული ხარისხით არ გამოირჩევა, მაგრამ ისინი მაყურებლისთვის სოციალურად და ფსიქოლოგიურად გაკილებით დამაჯერებელია. ვერ ერთი – მსახიობების თამაში არც ისე კატასტროფულია. ამის მგავლითაა მოსაყვარული და ქარნოზატული მსახიობი პურტაგ იდლირიმი მეთუი – გამოსახულება არა მარს ბრტყული და „ერთგონიობიანი“, ის გაკილებით ახლია კონსერვაციასთან, მესამე – განად ქართულ პერსონაჟის – რასტისა და შარტის ფსიქოლოგიური პორტრეტის ნარმოქმნაც.



„ჩემი ცოლის დაქალები“

გავლენა ტელევიზიებზე, შეიძლება მოვიტანოთ სერიალ „სიყვარული და სასჯელის“ მაგალითი, რომლის შემდეგ ტელეკომპანია „მაესტროს“ რეიტინგი რამდენჯერმე გაიზარდა.

რაც შეეხება უცნაურ და ირაციონალურ შიშს, რომ თურქულ სერიალებს გარკვეული კულტურული ექსპანსია მოჰყვება, ეს სისულელეა. კულტურული მრავალფეროვნება, სიჭრელე და ადაპტაციის უნარი, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოსათვის დამახასიათებელი, არ გვიტოვებს ამგვარი შიშის საფუძველს.

სამწუხაროდ, ლათინურამერიკულ ვნებებსა და თურქულ სერიალებს შორის ევროპული სერიალები ერთგვარად ჩაიკარგა, რომელთაც დაინტერესებული მაყურებელი აქა-იქ მაინც მოჰკრავს თვალს. ერთ-ერთი ასეთია დასავლეთში ასევე პოპულარული „ბორჯია“, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადის. მთავარ როლს ჯერემი აირონსი (როდრიგო ბორჯია) ასრულებს. მოვლენების ეპიცენტრშია როდრიგო ბორჯიას ოჯახი, რომელმაც რენესანსის დროის იტალიაში ძალაუფლების მწვერვალს მიაღწია. ბორჯიას ოჯახის წევრები ხისტი და დაუნდობელი პოლიტიკით, სისასტიკით, ალვირაბსნილობით და, ამავე დროს, ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩევიან.

„ბორჯია“ ისტორიული მოვლენების მოულოდნელი და ირონიული გააზრებით, საინტერესო გმირებით, მგზნებარე სასიყვარულო კავშირებით და ფსიქოლოგიური ნიაღვრეებით გამოირჩევა. აღარაფერს ვამბობ მსახიობების ნამუშევარზე, მხატვრობასა და კოსტიუმებზე. სამწუხაროა, რომ ის ნაკლებად რეიტინგულია და საზოგადოებრივ მაუწყებელზე ცუდ დროს გადის.

დაბოლოს, ბედკრული ქართული სერიალების შესახებ. არავისთვის საიდუმლო აღარ არის, რომ ყოველ შაბათ-კვირას „რუსთავი 2“-

ის მაყურებელი (და არა მხოლოდ) უბრალოდ ელოდება „ჩემი ცოლის დაქალებს“ – ალბათ ყველაზე მეინსტრიმსერიალს ქართულ სატელევიზიო სივრცეში, რომელიც ხშირად მთელი კვირის განმავლობაში რეიტინგების ლიდერია.

სერიალი, რომელიც თავიდან სამი თბილისელი გოგონას მეგობრობითა და პრობლემებით შემოიფარგლებოდა, მოგვიანებით აშკარად გასცდა ვინრო ჩარჩოებს და საკუთარი „სოციალურ-ფსიქოლოგიური“ ანბანი, გარემო თუ სისტემა შექმნა.

ერთ დროს გერმანული ენის ახალგაზრდა მასწავლებელი ქეთი დედარიანი, „ფორმულა კრეატივის“ ნახალისებითა და რეჟისორ გიორგი ლიფონავას დახმარებით, მოსაწყენ პედაგოგიურ საქმიანობას ჩამოშორდა და სერიალის წყალობით აღიარებულ სცენარისტად იქცა. მისი ფანტაზიით შექმნილი და სოციალური რეალობით ნაკარნახევი სამი განსხვავებული პერსონაჟი – კატო, ნინა და თინა კი თანამედროვე ქართული რეალობის არქტიპულ პერსონაჟებად იქცნენ.

ქეთი დედარიანმა ტკივილამდე სასაცილო და ნაცნობ სოციალურ გარემოს უცნობი ირონიული სურნელი შეჰმატა. თითქოს ჩვენზე ნებით დაგვაბრუნა ეგზოტიკურ, მაგრამ მუდამ „ბაბულიკების“ აქტუალურ სამყაროში; გვაცრინობინა „დამსხვრეული“ ქალიშვილობის ინსტიტუტის დრამა და შეგვატყობინა სიახლეები პოზიტიური გეების არსებობის შესახებ. გარდა ამისა, გვითხრა, რა სასაცილოები და კომპლექსიანები არიან მამო-ქმრები, სტერილური პოლიტიკოსები, ემანსიპირებული ქალები, ჯერ კიდევ „უტაბურეტო“ მღვდლები, ყოველთვის მზრუნველი და ქოთქოთა დედები...

და ეს ყველაფერი ერთი შეხედვით უწყინარ და უსაფრთხო სერიალში, რომელიც ზოგჯერ ზედმეტად „საპნიანია“, ზოგჯერ ძალიან ბანალური, თითქმის ყოველთვის გამოირჩევა ფსიქოტროპული ზემოქმედებით. ■



WWW.LIBERALI.GE



WWW.LIBERALI.GE

გაგზავნი



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



გაგზავნი

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

გაგზავნი



<http://youtube.com/LiberaliMagazine>